



ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი

საქართველო

მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები
2021 წლის 2 და 30 ოქტომბერი

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის
საარჩევნო სადამკვირვებლო მისია

საბოლოო ანგარიში



ვარშავა

2022 წლის 8 აპრილ

შინაარსი

I.	შემაჯამებელი მიმოხილვა	1
II.	შესავალი და სამადლობელი სიტყვა	8
III.	წინასიტორია და პოლიტიკური კონტექსტი	9
IV.	სამართლებრივი ჩარჩო	11
V.	საარჩევნო სისტემა	13
VI.	საარჩევნო ადმინისტრაცია	14
VII.	ამომრჩევლების რეგისტრაცია	19
VIII.	კანდიდატების რეგისტრაცია	22
IX.	საარჩევნო კამპანია	24
X.	წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსება	29
XI.	ეროვნულ უმცირესობათა მონაწილეობა	34
XII.	მედია	35
	ა. მედიაგარემო	35
	ბ. სამართლებრივი ჩარჩო	37
	გ. მედიამონიტორინგის დასკვნები	38
XIII.	საჩივრები და სარჩელები	41
XIV.	დაკვირვება არჩევნებზე	45
XV.	კენჭისყრის დღე	47
	ა. პირველი ტური	47
	ბ. მეორე ტური	50
XVI.	შედეგების ტაბულაცია და გადათვლა	52
	ა. პირველი ტური	52
	ბ. მეორე ტური	56
XVII.	შედეგები და არჩევნების შემდეგ განვითარებული მოვლენები	57
XVIII.	საჩივრები და სარჩელები არჩევნების შემდეგ	58
	ა. პირველი ტური	58
	ბ. მეორე ტური	61
XIX.	რეკომენდაციები	64
	ა. პრიორიტეტული რეკომენდაციები	64
	ბ. სხვა რეკომენდაციები	65
	დანართი I. არჩევნების შედეგები	69
	დანართი II არჩევნებზე სადამკვირვებლო საერთაშორისო მისიაში მონაწილე დამკვირვებელთა სია	75
	ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის შესახებ	88

საქართველო
2021 წლის 2 და 30 ოქტომბერი
მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები
ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო
სადამკვირვებლო მისიის საბოლოო ანგარიში¹

I. შემაჯამებელი მიმოხილვა

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მოწვევის შედეგად და საკუთარი მანდატის შესაბამისად, 2 ოქტომბრის 2021 წლის ადგილობრივი არჩევნების დასაკვირვებლად ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისმა საქართველოში არჩევნებზე სადამკვირვებლო მისია გახსნა, შემდგომ კი გაიხანგრძლივა ვიზიტი, რათა 30 ოქტომბერს არჩევნების მეორე ტურსაც დაკვირვებოდა. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიამ შეაფასა თუ რამდენად შეესაბამებოდა საარჩევნო პროცესი ეუთოს წინაშე აღებულ ვალდებულებებს, დემოკრატიული არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით შესაბამის საერთაშორისო სტანდარტებს, ვალდებულებებსა და ეროვნულ კანონმდებლობას. პირველი ტურის არჩევნების დღის მოკლევადიანი დაკვირვების მიზნით ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიას, ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონალურ ხელისუფლებათა კონგრესი და ევროპარლამენტის დელეგაციები შეუერთდნენ რის შედეგადაც საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისია შეიქმნა. არჩევნების მეორე ტურისთვის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიას შეუერთდა ევროპარლამენტის დელეგაცია.

2021 წლის 3 ოქტომბერს გამოქვეყნებულ წინასწარი მიგნებებისა და დასკვნების შესახებ, მოხსენებაში, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიამ განაცხადა: "2 ოქტომბერს არჩევნები ზოგადად კარგად ადმინისტრირებული იყო, მაგრამ საარჩევნო პროცესი გაჭიანურებული პოლიტიკური კრიზისის ფონზე მიმდინარეობდა და გამძაფრებული პოლარიზაციით ხასიათდებოდა. საარჩევნო სუბიექტებს შესაძლებლობა ჰქონდათ საარჩევნო კამპანია თავისუფლად და კონკურენტულ გარემოში წარემართათ, თუმცა კამპანია დააზიანა დაშინების, ამომრჩეველთა მოსყიდვისა და კანდიდატებსა და ამომრჩევლებზე განხორციელებული ზეწოლის ფაქტების შესახებ ფართოდ გავრცელებულმა და თანმიმდევრულმა განცხადებებმა და არათანასწორმა საასპარეზო პირობებმა. სამართლებრივი ჩარჩო ზოგადად ხელს უწყობს დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას და არჩევნებისთვის მოსამზადებელი პერიოდი გამჭვირვალედ და პროფესიონალურად იყო ორგანიზებული. ეროვნულ საკითხებზე გადაჭარბებულმა ფოკუსირებამ და ეროვნულ პოლიტიკაზე ამ არჩევნების ზეგავლენამ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები გადაფარა. მრავალფეროვანი მედიაგარემო უაღრესად პოლარიზებული იყო და შეზღუდულ სივრცეს ტოვებდა ანალიტიკური ჟურნალისტიკისათვის; გაშუქება შერჩევითი იყო, რაც ხელს უშლიდა ამომრჩეველს სრულად ინფორმირებული არჩევანის გაკეთებაში, ხოლო ჟურნალისტების წინააღმდეგ მიმართული

¹ წინამდებარე ანგარიშის ინგლისური ვერსია ერთადერთი ოფიციალური დოკუმენტია. ანგარიშის არაოფიციალური თარგმანი ხელმისაწვდომია ქართული ენაზე.

საქართველო

მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები, 2021 წლის 2 და 30 ოქტომბერი

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისია საბოლოო ანგარიში

დაშინებისა და ძალადობის შემთხვევები შემფოთების საგანი იყო. რესურსებს შორის მნიშვნელოვანი დისბალანსი, კამპანიის დაფინანსების არასაკმარისი მონიტორინგი და ხელისუფლებაში ყოფნით მინიჭებული უპირატესობა მმართველ პარტიას აძლევდა ხელს. საარჩევნო კამპანიაში ქალების არასაკმარისი წარმომადგენლობა აჩვენებს პოლიტიკაში ადეკვატური წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფად უფრო მეტი ვალდებულების აღების საჭიროებას. არჩევნების დღემ მოწესრიგებულად და გამჭვირვალედ ჩაიარა რამდენიმე პროცედურული ხარვეზის მიუხედავად, რომლებიც კერძოდ ხმების დათვლის პროცესში გამოიკვეთა. თუმცა, სამოქალაქო სადამკვირვებლო ორგანიზაციების დამკვირვებლები, რომლებიც მოქმედებდნენ, როგორც პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები და დროდადრო საარჩევნო პროცესს ხელს უშლიდნენ, და ასევე, ზოგიერთი საარჩევნო უბნის გარეთ მყოფი ადამიანთა ჯგუფები, რომლებიც პოტენციურად ამომრჩევლებზე გავლენას ახდენდნენ, შემფოთების საფუძველს ქმნიდა.

30 ოქტომბერს გაიმართა ხელახალი კენჭისყრა ხუთ თვითმმართველ ქალაქში და 15 მუნიციპალიტეტში მერების არჩევნისთვის, ასევე 42 მაჟორიტარული ადგილისთვის 24 საკრებულოში. 2021 წლის 31 ოქტომბერს გამოქვეყნებული წინასწარი მიგნებებისა და დასკვნების შესახებ მოხსენებისას, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისმა განაცხადა: "მუნიციპალურ ორგანოთა არჩევნების მეორე ტური ზოგადად კარგად ადმინისტრირებული იყო, მაგრამ უწყვეტმა პოლარიზაციამ და ნეგატიური რიტორიკის გამწვავებამ პროცესზე უარყოფითად იმოქმედა. კამპანია კონკურენტული იყო და ხასიათდებოდა ეროვნულ საკითხებზე მნიშვნელოვანი ფოკუსირებით, რამაც ადგილობრივი საკითხები დაჩრდილა. ზოგადად კანდიდატებს კამპანიის თავისუფლად წარმართვა შეეძლოთ, მაგრამ ამომრჩეველთა დაშინებისა და ზეწოლის ბრალდებები შენარჩუნდა. რესურსებს შორის მკვეთრი დისბალანსი და ხელისუფლებაში ყოფნით მინიჭებული შეუსაბამო უპირატესობა მმართველ პარტიას დამატებით აძლევდა ხელს და საასპარეზო პირობებს ცვლიდა. კამპანიის დაფინანსების გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება შემცირდა არასაკმარისი კონტროლის გამო. კერძო სატელევიზიო არხები კვლავ აჩვენებდნენ პოლარიზაციის მაღალ დონესა და აშკარა მიკერძოებულობას, რაც ამომრჩევლებს ინფორმირებული არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას უზღუდავდა. არჩევნების დღემ მთლიანობაში მშვიდად ჩაიარა და კარგად იყო ადმინისტრირებული; თუმცა დაფიქსირდა საარჩევნო უბნებს გარეთ პარტიების მხარდამჭერებს შორის დაპირისპირების რამდენიმე შემთხვევა. მთლიანობაში დადებითად შეფასდა ხმის მიცემისა და დათვლის პროცედურები, რამდენიმე პროცედურული ხარვეზის მიუხედავად, განსაკუთრებით ხმების დათვლის პროცესში. თუმცა, დამკვიდრებული პრაქტიკა, რომ დამკვირვებელი ორგანიზაციების წარმომადგენლები მოქმედებენ როგორც პარტიის მხარდამჭერები, და დროდადრო პროცესში ერევიან, ასევე ზოგიერთი საარჩევნო უბნის გარეთ ცალკეული ადამიანების ჯგუფები, რომლებიც პოტენციურად ზეგავლენას ახდენენ ამომრჩევლებზე, შემფოთების საფუძველს ქმნიდა."

არჩევნები გაიმართა მმართველ პარტიასა და ოპოზიციურ პარტიებს შორის გაჭიანურებული პოლიტიკური კრიზისის ფონზე, რომელიც ჩიხში შევიდა 2020 წლის საპარლამენტო

საქართველო

მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები, 2021 წლის 2 და 30 ოქტომბერი

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისია

საბოლოო ანგარიში

არჩევნების შემდეგ, რადგან ოპოზიცია პროცესს ნაკლოვანად მიიჩნევდა. 2021 წლის 19 აპრილს მიღწეული პოლიტიკური შეთანხმება ითვალისწინებდა საარჩევნო და სასამართლო რეფორმებს და ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს 2022 წელს, იმ შემთხვევაში თუ მმართველი პარტია მუნიციპალურ ორგანოთა არჩევნებში ხმების 43 პროცენტს ვერ მიაღწევდა. ორმა ოპოზიციურმა პარტიამ ხელი არ მოაწერა შეთანხმებას, მოგვიანებით კი ქართულმა ოცნებამ დატოვა შეთანხმება. ამან გამოიწვია ეროვნული საკითხების წინ წამოწევა, რამაც ადგილობრივი საკითხები დაჩრდილა. ოპოზიციის მოწოდებებმა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების შესახებ და არჩევნების პირველი ტურის წინა დამეს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის დაკავებამ კიდევ უფრო გაამძაფრა კონკურენცია და გააფართოვა განხეთქილება მმართველ პარტიასა და ოპოზიციას შორის.

სამართლებრივი ჩარჩო, კეთილსინდისიერად შესრულების შემთხვევაში, მთლიანობაში ადეკვატურ ბაზას იძლევა დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად. თუმცა ის მეტისმეტად გადატვირთულია და შეიცავს ხარვეზებსა და შეუსაბამობებს. 19 აპრილს დადებული ხელშეკრულების შესაბამისად საარჩევნო კოდექსში ბოლო ცვლილებები 2021 წლის ივნისში შევიდა, თუმცა, კანონმდებლობის ყოვლისმომცველი გადახედვა არ მომხდარა. საკანონმდებლო ცვლილებებმა შეცვალა საარჩევნო კომისიების შემადგენლობა და კომისიის წევრთა დანიშვნის წესი, შემოიღო უფრო მაღალი პროპორციული კომპონენტი ადგილობრივი არჩევნებისათვის, გაზარდა დავების გადაწყვეტის ვადები, შემოიღო უზნებზე დათვლილი შედეგების სავალდებულო ხელახალი გადათვლა, და დამატებითი ზომები ამომრჩეველთა დაშინებებისა და ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენების აღკვეთის მიზნით. ეს ცვლილებები ნაწილობრივ ითვალისწინებდა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისისა და ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიის რეკომენდაციებს. თუმცა, არ იყოს შესრულებული დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის წინა რამოდენიმე რეკომენდაცია, მათ შორის რეკომენდაციები რომლებიც უკავშირდებოდა საარჩევნო დავების გადაწყვეტის სხვა ასპექტებს, ხელახალი გადათვლის დაშვებადობისა და ჩატარების კრიტერიუმებს, ასევე დამატებით ზომებს კამპანიის დაფინანსების გამჭვირველობასთან და ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენებასთან დაკავშირებით.

ზოგადად, საარჩევნო ადმინისტრაციამ საარჩევნო პროცესის ტექნიკურ ასპექტებს გამჭვირვალედ და კომპეტენტურად გაართვა თავი და დაიცვა კანონით დადგენილი ყველა ვადა COVID-19-ის პანდემიის გავრცელების საწინააღმდეგოდ აუცილებელი შესაბამისი ცვლილებების გათვალისწინებით. ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) ახალმა პლურალისტურმა შემადგენლობამ ხელი შეუწყო პროცესისადმი ნდობის გაუმჯობესებას დაინტერესებულ მხარეებს შორის და ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომებზე არსებით განხილვებს, რომელიც წელს პირველად პირდაპირი ეთერით გადაიცემოდა. თუმცა, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების მიუკერძოებლობისადმი ნდობა კვლავ დაბალი იყო მათი წევრების არჩევისა და დანიშვნის პროცედურის, კომისიებზე მმართველი პარტიის სავარაუდო გავლენისა და საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ არჩევნების შემდგომ შეტანილი საჩივრების განხილვის გამო.

საქართველო

მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები, 2021 წლის 2 და 30 ოქტომბერი

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისია

საბოლოო ანგარიში

ამომრჩეველთა რეგისტრაცია არის პასიური, ცენტრალიზებული და შესაბამისი უწყებების წარმომადგენლები მუდმივად ცდილობენ გააუმჯობესონ ამომრჩეველთა სიების სიზუსტე. ამომრჩევლებს საკმარისად ჰქონდათ შესაძლებლობა, გადაემოწმებინათ სარეგისტრაციო მონაცემები და მოეთხოვათ შესწორებები. სამოქალაქო რეესტრში ფოტოს გარეშე დარეგისტრირებულ ან ვადაგასული პირადობის მოწმობის მქონე მოქალაქეებს ხმის მიცემის უფლება არ ჰქონდათ. საბოლოო ამომრჩეველთა სია პირველი ტურისთვის 3 497 345 ამომრჩეველს მოიცავდა, ხოლო იმ ადგილებში, სადაც მეორე ტური გაიმართა, დაახლოებით 2,090,000 ამომრჩეველს ჰქონდა ხმის მიცემის უფლება. დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის სადამკვირვებლო მისიასთან საუბრისას თანამოსაუბრეთა უმეტესობამ გამოხატა ნდობა ამომრჩეველთა სიების სიზუსტესთან დაკავშირებით.

საარჩევნო კომისიებმა ინკლუზიურად დაარეგისტრირეს 239 მერობის კანდიდატი, 2769 მაჟორიტარი და 20,000-ზე მეტი პროპორციული კანდიდატი, რომლებიც წარდგენილნი იყვნენ 43 პარტიისა და 68 საინიციატივო ჯგუფის მიერ. თუმცა, ბევრმა ოპოზიციურმა კანდიდატმა არჩევნების დღემდე მოხსნა კანდიდატურა. რამდენიმე მათგანმა მიზეზად ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან სავარაუდო ზეწოლა დაასახელა. ცესკომ ორი დადგენილება გამოსცა, რომლებიც ავიწროებს საკანონმდებლო პირობებს და ზღუდავს კანდიდატებისა და ამომრჩეველთა სიებისთვის რეგისტრაციის გაუქმების შესაძლებლობას კანდიდატთა მოთხოვნილი მინიმალური რაოდენობის დაუცველობის ან დოკუმენტაციის არასრულად ჩაბარების გამო.

ქალები ნაკლებად არიან წარმოდგენილი საჯარო თანამდებობებზე და პარლამენტში ადგილების 19.3 პროცენტი უკავიათ, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოების მიმდინარე შემადგენლობაში 15.5 პროცენტი ეკავათ. მხოლოდ ერთი მერობის კანდიდატი ათიდან, ხოლო შვიდი მაჟორიტარული კანდიდატიდან ერთი იყო ქალი. კანონით მოთხოვნილია, რომ პროპორციული წესით ასარჩევი კანდიდატების სიებში ყოველი მესამე წარდგენილი კანდიდატიდან ერთი საპირისპირო სქესის იყოს; ქალების წილმა პროპორციულ სიებში 42,5 პროცენტი შეადგინა. 13 მინისტრიდან, 4 მინისტრი ქალია. 64 მერიდან რომლებსაც ვადა ეწურებოდათ, ერთი ქალი იყო. ქალები საარჩევნო კამპანიაში გამორჩეულად არ ჩანდნენ, რამდენიმე მნიშვნელოვანი გამონაკლისის გარდა, ძირითადად დედაქალაქში.

საარჩევნო გარემო მთლიანობაში მშვიდად მიმდინარეობდა, მაგრამ გამოირჩეოდა შეურაცხმყოფელი რიტორიკით და ნეგატიური კამპანიით. კანდიდატების უმეტესობამ, რომელთაც დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისია შეხვდა, განაცხადეს, რომ მათ კამპანიის თავისუფლად ჩატარების შესაძლებლობა ჰქონდათ, მათ შორის უმცირესობათა ენებზე; ამის მიუხედავად ცალკეულ პირებს შორის ძალადობისა და სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირების ერთეული შემთხვევები და გავრცელებული აგრესიული რიტორიკა ორივე ტურთან მიმართებაში არჩევნების დღის მოახლოებასთან ერთად გაძლიერდა. ამომრჩევლების, კანდიდატების და პოლიტიკური პარტიების მიერ ორივე ტურის წინ გაჟღერდა ფართოდ გავრცელებული და

საქართველო

მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები, 2021 წლის 2 და 30 ოქტომბერი

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისია

საბოლოო ანგარიში

თანმიმდევრული ანგარიშები ამომრჩეველთა ხმის მოსყიდვის, ადმინისტრაციული რესურსების არასწორად გამოყენების, დაშინებისა და ამომრჩეველზე ზეწოლის შესახებ, რაც შეშფოთების საფუძველს ქმნის ამომრჩეველთა შესაძლებლობის მიმართ ისარგებლონ ხმის მიცემის უფლებით „დასჯის შიშის გარეშე“ და ეწინააღმდეგება ეუთოს წინაშე აღებულ ვალდებულებებსა და სხვა საერთაშორისო სტანდარტებს. რესურსებს შორის მნიშვნელოვანი დისბალანსი, ხელისუფლებაში ყოფნით მინიჭებული უპირატესობა, როგორცაა საჯარო პროექტების დაანონსება, დაპირებები სოციალურ შეღავათებზე და წინასაარჩევნო კამპანიის დროს ხელფასების გაზრდის დაპირება, მმართველ პარტიას აძლევდა უპირატესობას.

კონსტიტუცია ეროვნულ უმცირესობებს ანიჭებს სრულ პოლიტიკურ უფლებებს და კრძალავს დისკრიმინაციას ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური ან ენობრივი ნიშნით, ასევე პოლიტიკური პარტიების პროპაგანდას ეთნიკურ დაპირისპირებაზე ან ტერიტორიულ საკითხზე აპელირებით. საარჩევნო ადმინისტრაცია უმცირესობათა ენებზე უზრუნველყოფს საარჩევნო ბიულეტენებს, ამომრჩეველთა ინფორმაციას და საუბნო საარჩევნო პერსონალის ტრენინგს. რამდენიმე კანდიდატი, რომელიც მიეკუთვნებოდა ეროვნულ უმცირესობებს, კენჭს იყრიდა მერისა და საკრებულოს მანდატისთვის, ძირითადად უმცირესობებით დასახლებულ რაიონებში. მიუხედავად ამისა, ეროვნული უმცირესობები, მათი მოსახლეობის რაოდენობასთან შედარების გათვალისწინებით, არასაკმარისად იყვნენ წარმოდგენილები.

საარჩევნო კამპანიის დაფინანსების საკანონმდებლო ჩარჩო ყოვლისმომცველია, თუმცა დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისისა (ოდირი) და „გრეკოს“ (GRECO) მიერ კამპანიის დაფინანსების შესახებ მანამდე გაცემული არაერთი რეკომენდაცია კვლავაც არ არის გათვალისწინებული, მათ შორისაა შემოწირულობებისა და ხარჯების ზღვრის დაწევა და კამპანიის დაფინანსებაზე ზედამხედველობის გაძლიერება. კანონის თანახმად, კანდიდატების მიერ წარმოდგენილი ანგარიშები სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა დროულად გამოაქვეყნა. გამოქვეყნებული ანგარიშების მიხედვით, მმართველმა პარტიამ მიიღო და დახარჯა კამპანიის განმავლობაში ყველა საარჩევნო სუბიექტის მიერ გამოცხადებული მთლიანი შემოსავლისა და ხარჯების 70 პროცენტი, რამაც საასპარეზო პირობებში ბალანსი კიდევ უფრო დაარღვია. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა გარკვეული გამოძიება შესაძლო დარღვევების შესახებ, მაგრამ აღნიშნა, რომ ის არ არის საკმარისად დამოუკიდებელი ზედამხედველობის განსახორციელებლად და არ აქვს უფლებამოსილება გამოავლინოს დაუზუსტებელი შემოსავლები და ხარჯები. მთლიანობაში, საკანონმდებლო ხარვეზებმა და მარეგულირებელი ჩარჩოს შეზღუდულმა აღსრულებამ, უარყოფითად იმოქმედა კამპანიის დაფინანსების გამჭვირვალობაზე და ანგარიშვალდებულებაზე.

მედია გარემო მრავალფეროვანია, მაგრამ პოლიტიკური გარემოს მსგავსად გამოხატულია ინტენსიური პოლარიზებით. ბევრი ეროვნული კერძო სატელევიზიო არხი ან ღიად უჭერს მხარს მმართველ პარტიას ან აშკარა მიკერძოებას გამოხატავს მის წინააღმდეგ. მედიის საკანონმდებლო ჩარჩო გამოხატვის თავისუფლებისთვის და მედიის თავისუფლებისათვის მყარ საფუძვლებს უზრუნველყოფს. თუმცა მედია გარემოს გაუარესება, რაც ბოლო დროს

საქართველო

მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები, 2021 წლის 2 და 30 ოქტომბერი

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისია

საბოლოო ანგარიში

ჟურნალისტების წინააღმდეგ მიმართული დაშინებისა და მუქარის შემთხვევებმა და ასევე ამ საქმეების სწრაფი და საფუძვლიანი გამოძიების ნაკლებობამ გამოიწვია, მედიის უსაფრთხო და დაცულ გარემოში ფუნქციონირების შესაძლებლობების კუთხით შემფოთების საფუძველი შექმნა. დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის მიერ ჩატარებული მედია მონიტორინგი აჩვენებს, რომ ეროვნული სატელევიზიო არხების გაშუქება უმეტესად ქართულ ოცნებაზე, ნაციონალურ მოძრაობაზე და მთავრობაზე იყო ფოკუსირებული, და შეზღუდულად წარმოაჩენდა სხვა პოლიტიკურ ალტერნატივებს. პირველ და მეორე ტურს შორის მთავარმა კერძო სატელევიზიო არხებმა გაზარდეს მიკერძოებულობის დონე, რაც გამოხატავდა პარტიული აქტივიზმს. გაშუქების უმეტესი ნაწილი დაეთმო საარჩევნო სუბიექტების ურთიერთბრალდებებს, ამასთანავე მნიშვნელოვან საკითხებზე დაფუძნებული ანალიტიკური და საგამომიებო გაშუქება ძალიან შეზღუდული იყო, რაც ამომრჩევლებს ინფორმირებული არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას არ აძლევდა.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ინკლუზიურად დაარეგისტრირა 88 ადგილობრივი და 52 საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაცია. რამდენიმე ადგილობრივმა სადამკვირვებლო ორგანიზაციამ საზოგადოებისთვის არჩევნების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით ყოვლისმომცველი შუალედური ანგარიში გამოაქვეყნა, რამაც პროცესის შესახებ საჯარო ინფორმაციის გავრცელებაში დადებითი წვლილი შეიტანა. პოლიტიკური პარტიების პრაქტიკა, რაც სადამკვირვებლო ჩარჩოს ბოროტად გამოყენებით საშუალებას აძლევს პარტიებს ხელოვნურად გაზარდონ მათი წარმომადგენლების რაოდენობა უბნებზე კვლავ პრობლემატურად რჩება და ფართოდ გავრცელებული პრაქტიკაა. ამას დაემატა კამპანიები, მათ შორის ონლაინ სივრცეში, რომელიც მიმართული იყო ადგილობრივ სადამკვირვებლო ორგანიზაციებზე ოპოზიციის ან მთავრობის მხარდამჭერი სავარაუდო დამკვირვებელთა სიების გამოქვეყნებით. აღნიშნულმა ხელი შეუწყო ზოგადად სადამკვირვებლო ჯგუფების ისე აღქმას, თითქოს ისინი პარტიულ მიზნებს ემსახურებიან, და სავარაუდოდ უარყოფითი ზეგავლენა იქონია სადამკვირვებლო ორგანიზაციების მიმართ საზოგადოების ნდობის ხარისხზე.

2 ოქტომბრის კენჭისყრის დღემ შეფასების თანახმად ზოგადად მშვიდად და გამჭვირვალე გარემოში ჩაიარა, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის დამკვირვებლებმა თავისი დაკვირვების არეალში მოქცეული საარჩევნო უბნების აბსოლუტურ უმრავლესობაში გახსნისა და ხმის მიცემის პროცედურები დადებითად შეაფასეს, თუმცა ანგარიშებში ასახულია ხალხმრავლობის შემთხვევები, რომლებიც COVID19-ის პანდემიის გავრცელების შესაკავებლად შემოღებული წესების დაცვას კიდევ უფრო ართულებდა. დამკვირვებლებმა ასევე აღნიშნეს რომ იყო გარკვეული პრობლემები ხმების დათვლის და შედეგების ოქმების შევსების დროს. 30 ოქტომბერს, არჩევნების მეორე ტური შეფასდა, როგორც ზოგადად მშვიდი და კარგად ორგანიზებული, დაფიქსირდა პარტიის მხარდამჭერებს შორის დაპირისპირების რამდენიმე შემთხვევა საარჩევნო უბნების გარეთ. დამკვირვებლებმა ასევე მთლიანობაში დადებითად შეაფასეს კენჭისყრა და დათვლის პროცესი, მიუხედავად იმისა რომ იყო გარკვეული პროცედურული პრობლემები, განსაკუთრებით დათვლის დროს.

საქართველო

მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები, 2021 წლის 2 და 30 ოქტომბერი

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისია

საბოლოო ანგარიში

ორივე ტურში დამკვირვებლებმა შეშფოთებით ხაზი გაუსვეს დამკვირვებელი ორგანიზაციების წარმომადგენლების მოქმედების პრაქტიკას, რომლებიც მოქმედებენ როგორც პარტიის მხარდამჭერები და ზოგჯერ ერეოდნენ კენჭისყრის პროცესში, ასევე პარტიის მხარდამჭერების და კოორდინატორების დამთრგუნველი ყოფნა ზოგიერთ საარჩევნო უბნის გარეთ, რომლებიც პოტენციურად ახდენენ ზეგავლენას ამომრჩევლებზე. ორივე ტურის შემდეგ ცესკომ დაუყოვნებლივ გამოაქვეყნა წინასწარი შედეგები და საუბნო საარჩევნო კომისიის შედეგების ცალკეული ოქმები, რამაც პროცესის გამჭვირვალობას ხელი შეუწყო.

პირველი ტურის შემდეგ საოლქო საარჩევნო კომისიებმა, უპრეცედენტო რაოდენობის, 811 უბნის შედეგი გადათვალეს. ამ გადათვლებმა მცირე ცვლილებები გამოიწვია და მთლიანობაში თავდაპირველი შედეგები დაადასტურა, მუნიციპალიტეტის ორგანოს - საკრებულოს ორი ადგილის გარდა, რომელიც მმართველი პარტიის სასარგებლოდ შეიცვალა. მიუხედავად იმისა, რომ გადათვლებმა მთლიანობაში ტაბულაციის პროცესის შემოწმების დამატებითი ფენა წარმოქმნა, არასაკმარისმა რეგულაციებმა გადათვლების არათანმიმდევრული ჩატარება განაპირობა, რამაც პროცესის ანგარიშვალდებულება შეამცირა. მეორე ტურის შემდეგ ჩატარებულ 274 გადათვლას წინასწარ შედეგებზე გავლენა არ მოუხდენია. არჩევნების შედეგების მართვის გამჭვირვალობის ხარისხი გაუმჯობესდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) მიერ სრული არასეგურეგირებული შედეგების მომხმარებლისთვის მოსახერხებელ ცხრილებში პირველად გამოქვეყნებით.

მთლიანობაში დავის გადაწყვეტის მექანიზმები საკმარისია პროცესის უზრუნველსაყოფად, მაგრამ მისი ეფექტიანი სამართლებრივი დაცვა დამატებით გარანტიებს საჭიროებს. დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიასთან შეხვედრებისას პროცესში მონაწილე რამდენიმე მხარემ არასაკმარისი ნდობა გამოხატა საარჩევნო კომისიების, სასამართლოებისა და სამართალდამცავი ორგანოების მიერ არჩევნებთან დაკავშირებული საჩივრების მიუკერძოებლად და ეფექტურად განხილვის მიმართ. ბოლოდროინდელი საკანონმდებლო ცვლილებები ნაწილობრივ შეასრულა დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის ზოგიერთი წინა რეკომენდაცია, მათ შორის დავების გადაწყვეტის პროცესის გამარტივება და საჩივრების შეტანისა და განხილვის ვადების გახანგრძლივება. თუმცა, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის სხვა რეკომენდაციები ჯერ ისევ შეუსრულებელია, მათ შორის რეკომენდაციები რომლებიც ეხება საჩივრების შეტანასთან დაკავშირებული უფლებამოსილების გაფართოებას, კრიტერიუმებს შედეგების გადათვლისა და პროცესის წარმართვაზე, ასევე ეფექტური გამოძიების ჩატარებასთან დაკავშირებით. საერთო ჯამში, დაახლოებით 2500 საჩივარი დარეგისტრირდა, ისინი ძირითადად, ხმების დათვლის და საუბნო საარჩევნო კომისიის საბოლოო შედეგების ოქმებს ეხებოდნენ. საარჩევნო ადმინისტრაციამ და სასამართლოებმა საჩივრების უმეტესობა არსებითად და კანონიერ ვადებში განიხილეს. განხილული საჩივრების უმეტესობა არ დაკმაყოფილდა დაუსაბუთებლობის საფუძველზე.

საქართველო

მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები, 2021 წლის 2 და 30 ოქტომბერი

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისია
საბოლოო ანგარიში

მეორე ტურის შემდეგ ნაციონალურმა მოძრაობამ და ზოგიერთმა სხვა ოპოზიციურმა პარტიამ არჩევნები გაყალბებულად გამოაცხადეს და სხვადასხვა ქალაქში დაიწყეს საპროტესტო აქციები რიგგარეშე არჩევნებისა და სააკაშვილის გათავისუფლების მოთხოვნით. ოპოზიციონერმა პარლამენტის წევრების(დეპუტატების) გარკვეულმა ნაწილმა გამოაცხადა, რომ ბოიკოტს უცხადებს პარლამენტს, ორმა მათგანმა კი საკუთარი მანდატის მოქმედების შეწყვეტა მოითხოვა.

წინამდებარე ანგარიში გთავაზობთ რეკომენდაციებს საქართველოში არჩევნების ჩატარების ჩარჩოს გასაძლიერებლად და დემოკრატიული არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით ეუთოს წინაშე აღებულ ვალდებულებების და სხვა საერთაშორისო სტანდარტებს შესაბამისად. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის პრიორიტეტული რეკომენდაციები ფოკუსირებულია საარჩევნო კომისიების მიუკერძოებლობის გაუმჯობესებაზე, ამომრჩევლებსა და კანდიდატებზე დაშინებისა და ზეწოლის აღმოფხვრაზე, ასევე თანაბარი პირობების გაუმჯობესებაზე. დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი მზადაა დაეხმაროს ხელისუფლებას ამ და წინა ანგარიშებში მოცემული რეკომენდაციების შესრულებაში.

II. შესავალი და სამადლობელი სიტყვა

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მოწვევით, 26 აგვისტოს ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის სადამკვირვებლო მისიამ 2021 წლის 2 ოქტომბრის ადგილობრივ არჩევნებზე დაკვირვება დაიწყო. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისია, რომელსაც ელჩი ალბერტ იონსონი ხელმძღვანელობდა, 2 ოქტომბრის არჩევნებისთვის თბილისში 13 ექსპერტით, ხოლო მთელი ქვეყნის მასშტაბით 30 გრძელვადიანი დამკვირვებლით იყო წარმოდგენილი; არჩევნების მეორე ტურისთვის დედაქალაქში 12 ექსპერტი, ხოლო ქვეყნის მასშტაბით 16 გრძელვადიანი დამკვირვებელი გახლდათ. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისია საქართველოში არჩევნების შემდგომ პერიოდზე დასაკვირვებლად 9 ნოემბრამდე დარჩა.

არჩევნების პირველი ტურისთვის, არჩევნების დღეს ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის შეუერთდნენ ევროპარლამენტის წარმომადგენლები და ევროსაბჭოს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებების კონგრესის დელეგაციები. არჩევნების მეორე ტურისთვის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიას შეუერთდა ევროპული პარლამენტის დელეგაცია. ამ სამმა მონაწილე ორგანიზაციამ 2005 წელს მიღებულ „არჩევნებზე საერთაშორისო დაკვირვების პრინციპების დეკლარაციას“ დაუჭირეს მხარი. არჩევნებზე სადამკვირვებლო საერთაშორისო მისიაში 2 ოქტომბერს ეუთოს 32 მონაწილე ქვეყნიდან 302 დამკვირვებელი იყო წარმოდგენილი ხოლო 30 ოქტომბრისთვის ეუთოს 32 მონაწილე ქვეყნიდან 149 დამკვირვებელი.

საქართველო

მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები, 2021 წლის 2 და 30 ოქტომბერი

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისია
საბოლოო ანგარიში

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიამ არჩევნების პროცესის ეუთოს წინაშე აღებულ ვალდებულებებთან და დემოკრატიულ არჩევნებთან დაკავშირებით არსებულ სხვა საერთაშორისო ვალდებულებებთან და სტანდარტებთან და ასევე ადგილობრივ კანონმდებლობასთან შესაბამისობა შეაფასა. საბოლოო ანგარიში წინასწარი მიგნებებისა და დასკვნების შესახებ ანგარიშს ერთვის, რომელიც 3 და 31 ოქტომბერს გამართული პრეს კონფერენციების დროს გამოქვეყნდა.

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიას სურს მადლობა გადაუხადოს საქართველოს ხელისუფლებას არჩევნებზე დასაკვირვებლად მოწვევისთვის, გარდა ამისა, მისიას სურს მადლობა გადაუხადოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიასა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მათი თანამშრომლობისა და გაწეული დახმარებისთვის. მისია ასევე მადლიერებას გამოხატავს სხვა სახელმწიფო ინსტიტუტების, სასამართლო სისტემის, პოლიტიკური პარტიების, მედიის, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, საერთაშორისო საზოგადოების წარმომადგენლებისა და სხვა თანამოსაუბრეების მიმართ თანამშრომლობისა და მათი მოსაზრებების გაზიარებისთვის.

III. წინასწორია და პოლიტიკური კონტექსტი

2 ოქტომბრის ადგილობრივ არჩევნებზე ამომრჩევლებს შეეძლოთ აერჩიათ მერები და წარმომადგენლობითი ორგანოს (საკრებულო) წევრები ხუთ თვითმმართველ ქალაქსა და 59 მუნიციპალიტეტში. არჩევნების მეორე ტური გაიმართა 30 ოქტომბერს მერების ასარჩევად ხუთ თვითმმართველ ქალაქსა და 15 მუნიციპალიტეტში, ასევე 24 მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს 42 წევრის ასარჩევად შესაბამის მაჟორიტარულ ოლქებში.

საარჩევნო პროცესი მმართველ და ოპოზიციურ პარტიებს შორის ღრმა პოლარიზაციისა და გაჭიანურებული პოლიტიკური კრიზისის ფონზე მიმდინარეობდა. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების პირველი ტურის შემდეგ ოპოზიციამ უარყო არჩევნების შედეგები გაყალბების ბრალდებით და ბოიკოტი გამოუცხადა მეორე ტურს.² ოპოზიციურმა პარტიებმა პარლამენტში ადგილების დაკავებაზე უარი განაცხადეს, და მოითხოვდნენ ხელახალ არჩევნებს.³ პოლიტიკური ჩიხი კიდევ უფრო გაამძაფრა 2021 წლის თებერვალში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის (ნაციონალური მოძრაობის) თავმჯდომარის დაკავებამ საპროტესტო აქციებში

² 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ პარლამენტი შემდეგნაირად დაკომპლექტდა: ქართული ოცნება - 90; საარჩევნო ბლოკი - ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია „სიძლიერე ერთობაშია“ - 35; ევროპული საქართველო - 5; ლელო - 4; სტრატეგია აღმაშენებელი - 4; პატრიოტთა ალიანსი - 4; გირჩი - 4; მოქალაქეები - 2 და ლეიბორისტული პარტია - 1 მანდატი.

³ ორმა პარტიამ, „ევროპელი სოციალისტები“ და „მოქალაქეები“, 2021 წლის იანვარში პარლამენტში შესვლის თაობაზე მმართველ პარტიასთან შეთანხმებას მიაღწიეს.

საქართველო

მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები, 2021 წლის 2 და 30 ოქტომბერი

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისია საბოლოო ანგარიში

ძალადობის წაქეზებისთვის 2019 წლის ივნისში.⁴ 2021 წლის 19 აპრილს, მოლაპარაკებების პროცესის შედეგად, რომელიც ევროკავშირის მედიაციით წარიმართა, შეთანხმება მიიღწა საარჩევნო და სასამართლო რეფორმის შესახებ. შეთანხმების ერთ-ერთი პუნქტი ითვალისწინებდა 2022 წელს ვადამდელი არჩევნების ჩატარებას იმ შემთხვევაში, თუ მმართველი პარტია 2021 წლის ადგილობრივ არჩევნებზე პროპორციული სიით ხმების 43 პროცენტს ვერ მიაღწევდა.⁵ შეთანხმების შემდეგ ოპოზიციის უმრავლესობა საპარლამენტო მანდატების აღებაზე დათანხმდა.⁶ 28 ივლისს მმართველმა პარტიამ, ქართულმა ოცნებამ, შეთანხმება დატოვა და განაცხადა, რომ მან შეთანხმების ყველა პუნქტი შეასრულა და რიგმა პარტიებმა შეთანხმებას ხელი არ მოაწერეს.⁷

არჩევნების პირველი ტურის წინ ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის დაბრუნებამ და დაკავებამ დიდი გავლენა იქონია პოლიტიკურ დისკურსზე.⁸ არაერთი აქცია გაიმართა მისი გათავისუფლებისა და მეორე ტურისთვის მხარდამჭერების მობილიზების მოთხოვნით. ყოფილი პრეზიდენტის მოწინააღმდეგე ჯგუფებმა კი კონტრ-აქციები გამართეს. ამ მოვლენებმა და ეროვნულ პოლიტიკაზე ფოკუსირებამ გააღრმავა კონკურენცია, გაამკაცრა პოლიტიკური დისკურსი და გაზარდა განხეთქილება მმართველ პარტიასა და ოპოზიციას შორის. მეორე ტურის წინ ნაციონალურმა მოძრაობამ მოუწოდა ყველა ოპოზიციურ პარტიას მხარი დაეჭირათ ოპოზიციურ კანდიდატებისთვის, მათი პარტიული კუთვნილების მიუხედავად. ზოგიერთმა პარტიამ გაითვალისწინა მოწოდება და მოუწოდა თავიანთ ამომრჩევლებს ხმა მიეცათ ნებისმიერი პარტიის კანდიდატებისთვის, გარდა მმართველი პარტიისა, სხვებმა კი არჩიეს რომ არცერთი პარტიისთვის ან კანდიდატისთვის დაეჭირათ მხარი.⁹

ქალები ნაკლებად არიან წარმოდგენილი საჯარო თანამდებობებზე და პარლამენტში ადგილების 19.3 პროცენტი, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით

⁴ საპროტესტო აქციები მას შემდეგ დაიწყო, რაც 2019 წლის 20 ივნისს მართლმადიდებლობის საპარლამენტაშორისო ასამბლეის სხდომაზე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სავარძლიდან სიტყვით გამოვიდა რუსეთის დუმის წევრი. ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე ნიკანორ მელია 2021 წლის 10 მაისს გაათავისუფლეს მას შემდეგ, რაც ევროკავშირმა გირაო გადაიხადა.

⁵ იხ. 2021 წლის [19 აპრილის შეთანხმება](#).

⁶ მაშინ ყველა პარტიამ ხელი არ მოაწერა, მათ შორის ნაციონალურმა მოძრაობამ, რომელმაც შეთანხმებას 2 სექტემბერს ხელი მოაწერა.

⁷ იხილეთ ქართული ოცნების [პოლიტიკური განცხადება](#), 2021 წლის 28 ივლისი.

⁸ მიხეილ სააკაშვილის სასჯელი დაუსწრებლად შეეფარდა 2018 წელს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების გამო და ამავდროულად მის მიმართ წარდგენილი იყო თანხის გაფლანგვისა და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ბრალდებები. დაკავების შემდეგ მან გათავისუფლების მოთხოვნის მიზნით შიმშილობა დაიწყო.

⁹ „ევროპული საქართველო“, „გირჩი-მეტი თავისუფლება“, „დროა“, „ლელო“, „მესამე ძალა-სტრატეგია აღმაშენებელი“ და „ვადამდელი არჩევნები - ერთიანი საქართველო - დემოკრატიული მოძრაობა“ დასთანხმდნენ „ქართული ოცნების“ კონკურენტი ნებისმიერი კანდიდატის მხარდაჭერას, ხოლო „გახარია-საქართველოსთვის“, „გირჩი“, „ევროპელი სოციალისტები“, „ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები“ და „ანა დოლიძე - ხალხისთვის“ და „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ საკუთარ ამომრჩევლებს არ მოუწოდეს მეორე ტურში რომელიმე კონკრეტული პარტიისთვის დაეჭირათ მხარი.

საქართველო

მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები, 2021 წლის 2 და 30 ოქტომბერი

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისია საბოლოო ანგარიში

ორგანოების მიმდინარე შემადგენლობაში 15.5 პროცენტი უკავიათ. 13 მინისტრიდან, 4 მინისტრი ქალია.

IV. სამართლებრივი ჩარჩო

მუნიციპალური არჩევნები ძირითადად 1995 წლის კონსტიტუციით, 2011 წლის საარჩევნო კოდექსით, 1997 წელს მიღებული „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ ორგანული კანონით და ასევე ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) დადგენილებებითა და განკარგულებებით რეგულირდება.¹⁰ საქართველო დემოკრატიული არჩევნების ჩატარების შესახებ დადებული ძირითადი საერთაშორისო და რეგიონალური შეთანხმებების ხელმომწერია.¹¹ საკანონმდებლო ჩარჩო, კეთილსინდისიერად შესრულების შემთხვევაში, მთლიანობაში ადეკვატურ ბაზას ქმნის დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად. თუმცა ის მეტისმეტად გადატვირთულია და საარჩევნო პროცესის არაერთ ასპექტს საჭიროზე მეტად არეგულირებს.¹² ის ასევე შეიცავს ხარვეზებს და შეუსაბამობებს.¹³ 2020 წლის ივლისში მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები ითვალისწინებდა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის წინა რეკომენდაციებს არჩევნების მეორე ტურის სხვადასხვა ასპექტების დასარეგულირებლად, საარჩევნო კომისიების მანდატისა და დამკვირვებელთა ჯგუფების და მედია საშუალებების აკრედიტაციის გახანგრძლივებას, ასევე ითვალისწინებდა უფასო და ფასიანი საეთერო დროის განაწილების პირობებს.

¹⁰ გამოყენებადი დებულებები ასევე მოცემულია 2004 წლის მაუწყებლობის შესახებ კანონში, 1999 წლის სისხლის სამართლის კოდექსში, 1984 წლის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, 1999 წლის ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში და 1999 წლის ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში.

¹¹ მათ შორის [1966 წლის საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ](#), [1979 წლის ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია](#), [1965 წლის საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ](#), [2003 კონვენცია კორუფციის წინააღმდეგ](#), [2006 წლის კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ](#), და [1950 წლის ევროპული კონვენცია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ](#).

¹² მათ შორის კანდიდატთა რეგისტრაციისთვის აუცილებელ ტექნიკურ მოთხოვნებს, არჩევნების დღის პროცედურებს რომლებიც შეიძლება ცესკოს რეგულაციებით დარეგულირდეს, ასევე ერთი და იგივე სამართლებრივი მოთხოვნების მრავალჯერ გამეორება, მაგალითად ვინ უნდა შეიტანოს საჩივარი, და ის რომ საჩივარი დადგენილ ვადებში უნდა იქნას შეტანილი.

¹³ საარჩევნო კოდექსი შეიცავს დებულებებს, რომლებიც აღარ არის გამოყენებადი, ასევე რიგი დებულებები არ არის ჰარმონიზებული. მაგალითად: 21-ე მუხლი კვლავ აძლევს საოლქო საარჩევნო კომისიებს უფლებას შეცვალონ მონაცემები საუბნო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელ ოქმებში გადათვლის გარეშე, და ასევე ახსენებს რომ განმეორებითი კენჭისყრა შეიძლება ჩატარდეს პირველი ტურიდან ორი კვირის შემდეგ საარჩევნო დავის გადაწყვეტის პროცესის დასრულებამდე; 186.14 მუხლი არ აკონკრეტებს უფასო საეთერო დროის ოდენობას, რომელიც საზოგადოებრივმა მაუწყებელმა უნდა დაუთმოს სხვა პარტიებს, გარდა კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტებისა; 186.6 მუხლი კი ეხება სსიპ-ის 30.12-ე გაუქმებულ მუხლს საარჩევნო სუბიექტებისთვის რეგიონულ და ადგილობრივ მაუწყებლებზე უფასო საეთერო დროის განსაზღვრის შესახებ.

საქართველო

მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები, 2021 წლის 2 და 30 ოქტომბერი

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისია საბოლოო ანგარიში

19 აპრილს დადებული შეთანხმების შესაბამისად საარჩევნო კოდექსში ბოლო ცვლილებები 2021 წლის ივნისში შევიდა.¹⁴ მიუხედავად იმისა, რომ არჩევნების მოწვევამდე ცოტა ხნით ადრე ფუნდამენტური ცვლილებების შემოღება ეწინააღმდეგება საერთაშორისო კარგ პრაქტიკას, ეს ცვლილებები მიღებული იქნა ფართო კონსენსუსით, ინკლუზიური კონსულტაციების შედეგად.¹⁵ საარჩევნო რეფორმის სამუშაო ჯგუფი 2019-2020 წლებში ფუნქციონირებდა და შემდგომ მუშაობა 2021 წლის იანვარში განაახლა, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და დიპლომატიური საზოგადოების წევრების მონაწილეობით. თებერვალში ოპოზიციური პარტიების უმეტესობამ სამუშაო ჯგუფის შეხვედრებში მონაწილეობისგან თავი შეიკავა, თუმცა დაესწრნენ მაისში, 19 აპრილის შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ. ბოლო დროინდელმა ცვლილებებმა შეცვალა საარჩევნო კომისიების შემადგენლობა და კომისიის წევრთა დანიშვნის წესი, გაზარდა დავების გადაწყვეტის ვადები, შემოიღო უფრო მაღალი პროპორციული კომპონენტი ადგილობრივი არჩევნებისთვის და გარანტიები საუბნო საარჩევნო კომისიების კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში, ასევე უზნებზე დათვლილი შედეგების სავალდებულო შემთხვევითი ხელახალი გადათვლა, დამატებით შემოიღო ზომები ამომრჩეველთა დაშინებისა და ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენების აღკვეთის მიზნით. ეს ცვლილებები ნაწილობრივ ითვალისწინებდა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისისა და ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიის რამდენიმე წინა რეკომენდაციას, რომლის თანახმადაც სასურველია საკანონმდებლო ბაზა უფრო მეტად შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებსა და კარგ პრაქტიკას.¹⁶ თუმცა, არ შესრულებულა წინა რეკომენდაციები, მათ შორის რეკომენდაციები რომლებიც უკავშირდებოდა ხმის მიცემის უფლებაზე არასათანადო შეზღუდვას, დავის გადაწყვეტის პროცესის რამდენიმე ასპექტს, სახელმწიფო რესურსების ბოროტად გამოყენებასა და საარჩევნო კამპანიის დაფინანსებას.

სამართლებრივი განჭვრეტადობისა და ეფექტური აღსრულების გასაუმჯობესებლად, კანონმდებლობას წაადგება ყოვლისმომცველი გადახედვა, რათა აღმოიფხვრას ხარვეზები და შეუსაბამობები და უფრო მეტად შესაბამისობაში მოვიდეს ეუთოს წინაშე აღებულ ვალდებულებებთან, საერთაშორისო სტანდარტებთან და კარგ პრაქტიკასთან შემდეგ საარჩევნო პერიოდამდე დიდი ხნით ადრე ინკლუზიური და გამჭვირვალე საკონსულტაციო პროცესის საფუძველზე.

¹⁴ იხილეთ ვენეციის კომისიის და დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის გადაუდებელი ერთობლივი [მოსაზრებები](#) საქართველოს საარჩევნო კოდექსში ცვლილებების პროექტის შესახებ.

¹⁵ 2002 წლის [ვენეციის კომისიის „საარჩევნო საკითხებში კარგი პრაქტიკის კოდექსის“ სახემდგვანელო პრინციპი](#) II 2.b ნაწილობრივ ადგენს რომ “ფუნდამენტური დებულებები, განსაკუთრებით კი საარჩევნო სისტემის საარჩევნო კომისიების წევრობისა და საარჩევნო ოლქების საზღვრების დებულებები, არჩევნებამდე ერთი წლით ადრე არ უნდა შეიცვალოს”.

¹⁶ იხილეთ დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის წინა არჩევნებზე დაკვირვების [ანგარიშები](#) საქართველოს შესახებ.

საქართველო

მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები, 2021 წლის 2 და 30 ოქტომბერი

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისია საბოლოო ანგარიში

V. საარჩევნო სისტემა

მერები და ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოს (საკრებულოს) წევრები აირჩევიან პირდაპირი წესით 4 წლის ვადით, ეს უკანასკნელი შერეული პროპორციულ-მაჟორიტარული სისტემით. ივნისში მიღებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა პროპორციულად არჩეული ადგილების საერთო რაოდენობა 970-დან 1,404-მდე გაზარდა, მაჟორიტარული ოლქების რაოდენობა კი 1,088-დან 664-მდე შეამცირა. *საკრებულოში* მანდატების მოსაპოვებლად, პარტიულმა სიებმა მუნიციპალიტეტებში უნდა მოიპოვონ ნამდვილი ხმების სულ მცირე სამი პროცენტი (2.5 პროცენტი თბილისში). მაჟორიტარი და მერობის კანდიდატები, რომლებიც ხმების უმეტესობას მიიღებენ, იმ შემთხვევაში თუ ისინი შესაბამისად ხმების 40 და 50 პროცენტზე მეტს დააგროვებენ, გამარჯვებულად ცხადდებიან. იმ შემთხვევაში, თუ ვერცერთი კანდიდატი ვერ მოიპოვებს ხმების საჭირო რაოდენობას, ოთხ კვირაში არჩევნების მეორე ტური საუკეთესო შედეგის მქონე ორ კანდიდატს შორის გაიმართება.

საკანონმდებლო ცვლილებებით 664 მაჟორიტარული ოლქიდან 569-ის საზღვრები განისაზღვრა. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, კანონის თანახმად, თბილისის მუნიციპალიტეტის ათი ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქის საზღვრები არჩევნების ჩატარების თარიღის გამოცხადებიდან ხუთი დღის ვადაში განსაზღვრა. დანარჩენი ოთხი უდიდესი ქალაქისთვის საოლქო საარჩევნო კომისიებმა 28 მაჟორიტარული ოლქის, ისევე როგორც მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ ცენტრებში მდებარე 57-მდე საარჩევნო ოლქის საზღვრები დაადგინეს. კანონი არ ადგენს კრიტერიუმებს ოლქის საზღვრების დადგენისათვის რაც არ შეესაბამება საერთაშორისოდ აღიარებულ საუკეთესო პრაქტიკას. მიუხედავად იმისა, რომ საზღვრების დადგენა არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე მოხდა, არჩევნებში მონაწილე პირებს ამ საკითხთან დაკავშირებული უკმაყოფილება არ გამოუთქვამთ.¹⁷

საარჩევნო ოლქების საზღვრების დადგენა და მანდატების განაწილება უნდა გადაიხედოს ყოველ ათ წელიწადში ერთხელ, სასურველია არა საარჩევნო პერიოდში, მკაფიო და ობიექტური კრიტერიუმებით, საერთაშორისო სტანდარტებისა და კარგი პრაქტიკის შესაბამისად.

¹⁷ [კარგი პრაქტიკის კოდექსის](#) I.2.2.v სახელმძღვანელო პრინციპი ადგილების ხელახალი გადანაწილების რეკომენდაციას იძლევა და ამბობს, ეს გადანაწილება სასურველია შესრულდეს არასაარჩევნო პერიოდში“ 18 სექტემბერს „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“ საკონსტიტუციო სასამართლოს საჩივრით მიმართა და გამოთქვა ვარაუდი, რომ კანონი საოლქოებს არ უდგენს კრიტერიუმებს საზღვრების დადგენისათვის და რომ ზოგიერთი მაჟორიტარული ოლქის საზღვრები ხმის მიცემის თანასწორობის პრინციპს არღვევს. საჩივარი არჩევნების მეორე ტურის შემდეგ ჯერ კიდევ არ იყო განხილული.

საქართველო

მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები, 2021 წლის 2 და 30 ოქტომბერი

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისია საბოლოო ანგარიში

VI. საარჩევნო ადმინისტრაცია

არჩევნების ადმინისტრირება განხორციელდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის, 73 საოლქო და 3,664 სტანდარტული საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ.¹⁸ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში არჩევნები არ ჩატარებულა. 2021 წლის ივნისში მიღებული ცვლილებებით ყველა კომისიის შემადგენლობა და ასევე, ცესკოს თავმჯდომარისა და არაპარტიული წევრების არჩევის წესი შეიცვალა, რაც დაბალანსებული წარმომადგენლობის მეშვეობით საზოგადოების ნდობის განსამტკიცებლად გაცხადებულ მიზანს ემსახურება. ყველა დონეზე საარჩევნო კომისიის წევრების რაოდენობა 12-დან 17 წევრამდე გაიზარდა რომელთაგანაც რვა არაპარტიულია, ცხრამდე წევრს კი პოლიტიკური პარტიები ნიშნავენ.¹⁹ ცესკოს წევრებიდან ოთხი ქალი იყო.

ბოლოდროინდელ საკანონმდებლო ცვლილებებთან შესაბამისად, ცენტრალური საარჩევნო კომისიის რვა არაპარტიული წევრი, მათ შორის თავმჯდომარე, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და აკადემიური წრეების საკონკურსო კომისიის შეთავაზებაზე დაყრდნობით, პრეზიდენტის წარდგინებით პარლამენტმა უნდა აირჩიოს.²⁰ მათ ასარჩევად საჭირო იყო კვალიფიციური უმრავლესობის ორი მესამედი. თუ საჭირო უმრავლესობა ვერ შედგა, კომისიის წევრები „პოლიტიკური ჩიხის საწინააღმდეგო მექანიზმის“ პრინციპზე დაყრდნობით ხუთწლიანი ვადის მაგივრად ექვსთვიანი ვადით აირჩევიან უბრალო უმრავლესობით.²¹ ახალი თავმჯდომარე და ორი არაპარტიული წევრი კვალიფიციური უმრავლესობის მიღწევის სამი წარუმატებელი მცდელობის შემდეგ 2 აგვისტოს „პოლიტიკური ჩიხის საწინააღმდეგო მექანიზმის“ პრინციპზე დაყრდნობით აირჩიეს.²²

საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად, ცესკოს თითო წევრის დანიშვნა ცხრამდე საპარლამენტო პარტიას შეუძლია. იმ შემთხვევაში, თუ საპარლამენტო პარტიების რაოდენობა ცხრაზე მეტია, პრიორიტეტი იმ პარტიებს ენიჭება, რომლებმაც წინა საპარლამენტო არჩევნებში

¹⁸ 70 სპეციალური საუბნო საარჩევნო უბანი ადაპტირებული იყო კარანტინში მყოფი ამომრჩევლებისთვის, და ასევე ცხრა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფი პირებისთვის. მეორე ტურში ჩართული საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების რაოდენობა ნაკლები იყო (იხ. არჩევნების დღე).

¹⁹ წარსულში, ბოლო საპარლამენტო არჩევნების შედეგებთან მიმართებით პროპორციის დაცვით, კომისიები ექვსი პროფესიონალი და ექვსი საპარლამენტო ფრაქციების მქონე პარტიების მიერ დანიშნული წევრისგან შედგებოდა, რაც კრიტიკის საგანი იყო საარჩევნო კომისიებში მმართველი პარტიის ფაქტობრივი დომინირების გამო.

²⁰ საკანონმდებლო ცვლილებებით უფლებამოსილი სამოქალაქო ორგანიზაციების სპექტრი შემცირდა და აკადემიკოსები "საკონკურსო კომისიაში" დაემატნენ, მათ კონკრეტული წილის ან შერჩევის კრიტერიუმების დადგენის გარეშე, რამაც პრეზიდენტს მნიშვნელოვანი დისკრეცია დაუტოვა.

²¹ ორი მესამედის მოპოვების ორი წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, გათვალისწინებულია კიდევ ორი მცდელობა, რომელიც მოითხოვს 3/5-ის მოპოვებას და შემდეგ კი - უბრალო უმრავლესობას.

²² ცესკოს ყოფილმა თავმჯდომარემ საკანონმდებლო ცვლილებების მიღების შემდეგ თანამდებობა დატოვა. ცესკოს ხუთ არაპარტიულ წევრს ვადა ეწურებათ 2024 და 2025 წლებში. ცესკოს თავმჯდომარის პოსტზე „საკონკურსო კომისიამ“ სულ შვიდი განაცხადი განიხილა. „საკონკურსო კომისიის“ ხუთი სამოქალაქო ორგანიზაციების მიერ დანიშნული წევრიდან ოთხმა არცერთს არ დაუჭირა მხარი. არჩეულ წევრებს უფლებამოსილება 2022 წლის 2 თებერვალს დაუმთავრდათ და ისინი ხელახლა ხელახლა აირჩიეს "ჩიხის საწინააღმდეგო" მექანიზმის დახმარებით შემდგომი ექვსი თვის ვადით.

საქართველო

მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები, 2021 წლის 2 და 30 ოქტომბერი

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისია საბოლოო ანგარიში

მეტი ხმა მიიღეს.²³ საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად ცესკოს თავმჯდომარის მოადგილის დამატებითი თანამდებობა წარმოიშვა, რომელიც ოპოზიციური პარტიების მიერ დანიშნული წევრებიდან აირჩევა. ცესკოს ახალმა პლურალისტურმა შემადგენლობამ ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომებზე არსებით განხილვებს შეუწყო ხელი, მაგრამ არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიასთან შეხვედრებისას პროცესში მონაწილე ზოგიერთმა მხარემ განაცხადა რომ „პოლიტიკური ჩიხის საწინააღმდეგო მექანიზმის“ გამოყენებით კონსენსუსზე დაფუძნებული საარჩევნო ადმინისტრაციის ფორმირების შესაძლებლობა გაქრა.

ქვედა დონის საარჩევნო კომისიების შემადგენლობა ცესკოს შემადგენლობის მაგალითზეა დაფუძნებული. საარჩევნო პერიოდში საოლქო საარჩევნო კომისიების ხუთ მუდმივ წევრს შეუერთდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ შერჩეული სამი არაპარტიული წევრი და პოლიტიკური პარტიების მიერ დანიშნული ცხრამდე საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი. არასათანადო გამჭვირვალობასთან დაკავშირებით, სამოქალაქო ორგანიზაციების ნაწილის მიერ გაჟღერებული კრიტიკის საპირწონედ, ისტორიაში პირველად ცესკომ, მონაწილეების თანხმობით, პირდაპირი ეთერში გადასცა საოლქო საარჩევნო კომისიების წევრობის არაპარტიულ კანდიდატებთან გამართული გასაუბრებები.²⁴ დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიასთან შეხვედრებისას პროცესში მონაწილე ზოგიერთმა მხარემ გააკრიტიკა წევრების შერჩევა, რადგან ცენტრალური და საუბნო საარჩევნო კომისიებისგან განსხვავებით საოლქო საარჩევნო კომისიის წევრების არჩევის წესები არ გამორიცხავს წარსულში პოლიტიკური პარტიების მიერ დანიშნული წევრების არაპარტიულ წევრებად დანიშვნას, რაც ექვემდებარება აყენებს საოლქო საარჩევნო

²³ ცესკოს წევრების დანიშვნის უფლებამოსილი მხარეები იყვნენ “ქართული ოცნება”, “ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”, “ლელო”, “ევროპული საქართველო”, “მესამე ძალა - სტრატეგია აღმაშენებელი”, „მოქალაქეები“, „გირჩი“, „ევროპელი დემოკრატები“ და „ევროპელი სოციალისტები“. საარჩევნო კოდექსში შემოღებული ორი დროებითი წესის გათვალისწინებით ორმა პარტიამ დაკარგა ცესკოს წევრების დასახელების უფლება, რომელიც ორ სხვა პარტიას გადაეცა რაც თანხვედრაში არ არის ზოგად წესთან; 196¹ მეორე მუხლი ადგენს რომ თუ უფლებამოსილი პარტიების რაოდენობა ცხრაზე მეტი იქნება, პარტიების წევრების დანიშვნის უფლებამოსილება საჯარო დაფინანსების მიხედვით მიენიჭებათ. ამ დებულებამ „ევროპელი დემოკრატები“, „ლეიბორისტულ პარტიაზე“ წინ დააყენა. 196¹-ე მუხლის მე-4 პუნქტი ითვალისწინებს უჩვეულო გარემოებას, როდესაც პარტიის მიერ არჩეული ყველა დეპუტატი ტოვებს ამ პარტიას და „ყველა მათგანი ხდება სხვა პარტიის წევრი“, ამ შემთხვევაში მათი თავდაპირველი პარტია კარგავს უფლებას დანიშნოს ცესკოს წევრი. "პატრიოტთა ალიანსმა" დაკარგა წევრის დანიშვნის უფლება მას შემდეგ, რაც მათმა ყველა დეპუტატმა შექმნა ახალი პარტია "ევროპელი სოციალისტები" 2021 წლის იანვარში. საარჩევნო კომისიების დანიშვნის პროცესიდან მათი გამორიცხვა, "პატრიოტთა ალიანსმა" საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა. საქმე ანგარიშის წერის პერიოდში ჯერ ისევ მიმდინარეობდა.

²⁴ მუდმივმოქმედი საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებიდან თითქმის ნახევარს (162 წევრი 365-იდან) უფლებამოსილების ვადა 2021 წლის თებერვალში ამოეწურა; 141 ხელახლა აირჩია (35 მათგანი მეოთხე ვადით) ცესკოს წინა შემადგენლობამ, რომელიც უმეტესად მმართველი პარტიის მიერ დანიშნული წევრებისგან შედგებოდა.

საქართველო

მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები, 2021 წლის 2 და 30 ოქტომბერი

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისია საბოლოო ანგარიში

კომისიების წევრების მიუკერძოებლობას.²⁵ ახალი საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად, საოლქო საარჩევნო კომისიის წევრების ასარჩევად ცესკოს უმრავლესობის ორი მესამედის თანხმობაა საჭირო, თუმცა თუ ხმების ეს რაოდენობა ვერცერთმა კანდიდატმა ვერ დააგროვა, მაშინ წევრების არჩევა ხდება უბრალო უმრავლესობით და ამგვარად არჩეული წევრი სრული უფლებამოსილებით სარგებლობს. დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის რეკომენდაციის შესაბამისად, საკანონმდებლო ცვლილებებით აიკრძალა საოლქო საარჩევნო კომისიის პარტიული წევრების შეცვლა არჩევნების დღემდე სამი კვირით ადრე. საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა თითქმის 62 პროცენტი ქალი იყო.

სასურველია კიდევ უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბდეს საოლქო საარჩევნო კომისიის წევრების დანიშვნის შერჩევის კრიტერიუმები იმისთვის რომ გაძლიერდეს საზოგადოების ნდობა და საარჩევნო ადმინისტრაციის მიუკერძოებლობა.

ბოლოდროინდელი საკანონმდებლო ცვლილებებისა და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის მიერ მანამდე გაცემული რეკომენდაციების მიუხედავად, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრობისთვის განცხადების წარდგენისა და შერჩევის ვადები შემჭიდროებული დარჩა.²⁶ საოლქო საარჩევნო კომისიებმა ოთხი დღის ვადაში 31,483 კანდიდატიდან 29,312 არაპარტიული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი აირჩიეს, რამაც საფუძვლიან განხილვებსა და კანდიდატებს შორის ნამდვილ კონკურენციას ხელი შეუშალა. კანონის თანახმად, ბოლო საპარლამენტო არჩევნებში პარტიის მიერ დანიშნული კომისიის წევრობის გამო 903 კანდიდატს კომისიის წევრობაზე უარი ეთქვა.²⁷ თუმცა, კანონმდებლობის თანახმად ეს არ ეხება მათ, ვინც ადრე არჩევნებში მონაწილე სუბიექტებს წარმოადგენდნენ.²⁸

საუბნო საარჩევნო კომისიების დაახლოებით 59 პროცენტს ზუსტად რვა კანდიდატი ჰყავდა რვა არაპარტიული წევრის თანამდებობაზე გამოცხადებულ ვაკანსიაზე. დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისთან საუბრებისას პროცესში მონაწილე ბევრი მხარე აღნიშნავდა, რომ კომისიის წევრთა დანიშვნის პროცესი ხელისუფლებების მიერ იყო

²⁵ ცესკოს მონაცემებით, მოქმედი უპარტიო საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა ერთი მესამედი წარსულში პარტიული წევრები იყვნენ. კომისიის წევრები, რომლებიც ადრე პოლიტიკური პარტიების მიერ იყვნენ დანიშნულნი, ცესკოს წევრობის კანდიდატად ხუთი წლის განმავლობაში ვერ დასახელდებიან; ხოლო ბოლო საყოველთაო არჩევნებზე პარტიების მიერ წარდგენილი პირები არ შეიძლება იყვნენ საუბნო საარჩევნო კომისიების უპარტიო წევრები.

²⁶ ბოლოდროინდელი საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად, მათი არჩევა შესაძლებელია ნებისმიერ დროს არჩევნების 46-ე დღემდე. პრაქტიკაში კი ისინი აირჩიეს არჩევნების დღემდე 49-იდან - 460 დღის შუალედში.

²⁷ საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ, თავმჯდომარის მოადგილედ და მდივნად მხოლოდ არაპარტიული წევრების არჩევა შეიძლება.

²⁸ საუბნო საარჩევნო კომისიის არაპარტიული წევრების თითქმის 20 პროცენტი 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში პარტიის წარმომადგენლები იყვნენ.

საქართველო

მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები, 2021 წლის 2 და 30 ოქტომბერი

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისია საბოლოო ანგარიში

კოორდინირებული და შესაბამისად, არ იყო კონკურენტული.²⁹ ბევრ საოლქო საარჩევნო კომისიაში ზოგიერთმა ოპოზიციური პარტიის მიერ დანიშნულმა წევრმა თავი შეიკავა საუბნო საარჩევნო კომისიების წევრობის კანდიდატებისთვის ხმის მიცემისგან ან განსხვავებული აზრი წარადგინა, სადაც აღნიშნავდნენ რომ აპლიკანტების უმრავლესობას მმართველ პარტიასთან სავარაუდოდ კავშირი ჰქონდა და ახსენებდნენ განცხადებების სერიას რომლებიც შევსებული იყო ერთი და იგივე ხელწერით ან გაგზავნილი იყო ერთი და იმავე ელექტრონული ფოსტის მისამართიდან.³⁰ დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიასთან საუბრისას პროცესში მონაწილე რამდენიმე მხარემ განაცხადა რომ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების აბსოლუტური უმრავლესობა საჯარო მოხელეა, ძირითადად მასწავლებლები, რომლებიც მუშაობენ ერთწლიანი განახლებადი კონტრაქტებით და შესაძლოა დაუცველები იყვნენ ხელისუფლების მხრიდან ზეწოლისაგან.

ასევე, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრობისთვის კანდიდატების წარდგენის მოქმედი ვადები დაემთხვა უფლებამოსილი პარტიების მიერ საოლქო საარჩევნო კომისიების წევრების დანიშვნის ვადას. პარტიების შესაძლებლობა რომ ეფექტურად გაეწიათ ზედამხედველობა აპლიკაციებისათვის და აერჩიათ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები საგრძნობლად შემცირდა და აპლიკანტების შერჩევის პროცესი მხოლოდ საოლქო საარჩევნო კომისიების მუდმივი წევრების მიერ იყო ორგანიზებული.

სასურველია განაცხადების წარდგენისა და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრად არჩევის ვადები დარეგულირდეს ისე, რომ საოლქო საარჩევნო კომისიის ყველა წევრისთვის შესაძლებელი იყოს განაცხადების სათანადო განხილვა და ეფექტიანი ზედამხედველობა.

მიუხედავად იმისა, რომ არჩევის უფლების მქონე პარტიებმა ოფიციალურად შეავსეს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების კვოტა, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიასთან საუბრისას პროცესში მონაწილე რამდენიმე მხარე ვარაუდს გამოთქვამდა, რომ საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა თანამდებობები ვაჭრობის საგანი იყო და შედარებით დიდი პარტიების წარმომადგენლებით

²⁹ 23 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლომ არსებითად განიხილა და არ დააკმაყოფილა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინააღმდეგ შეტანილი სარჩელი, რომელიც შეეხებოდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ კრწანისის საოლქო კომისიაში დანიშნული წევრისთვის საუბნო საარჩევნო კომისიების წევრობის კანდიდატების მიერ შეტანილი განცხადებებზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობას; ფაქტს, რომ განხილული განცხადებების უმეტესობა მხოლოდ რამდენიმე ელექტრონული ფოსტის მისამართიდან იყო შესული (მათ შორის 38 მხოლოდ ერთი მისამართიდან); და ისიც, რომ არ მოხდა განცხადებების შემოწმება წარსულში საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების გადასამოწმებლად.

³⁰ მაგალითად, ნაციონალური მოძრაობის კომისიის მიერ წარმოდგენილი განსხვავებული მოსაზრებები შემდეგი საოლქო საარჩევნო კომისიებიდან: N4 კრწანისი, N11 საგარეჯო, N13 სიღნაღი, N14 დედოფლისწყარო, N15 ლაგოდეხი, N16 ყვარელი, N17 თელავი, N19 თიანეთი, N21 გარდაბანი, N24 დმანისი, N28 დუშეთი, N66 ხობი, N83 ხელვაჩაური და N84 ხულო.

საქართველო

მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები, 2021 წლის 2 და 30 ოქტომბერი

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისია

საბოლოო ანგარიში

შეივსო.³¹ საუბნო საარჩევნო კომისიების არაპარტიული წევრების შერჩევისა და დანიშვნის გარშემო წამოჭრილმა დაპირისპირებებმა მნიშვნელოვნად გააღვივა საარჩევნო ადმინისტრაციის მიუკერძოებლობის მიმართ არსებული ზოგადი ნდობის ნაკლებობა, განსაკუთრებით ქვედა დონის კომისიების მიმართ.

საარჩევნო კომისიების შემადგენლობისთვის განსაზღვრულმა ახალმა ფორმულამ ხელი შეუწყო მოქმედ კომისიებში უფრო ინკლუზიურ პოლიტიკურ წარმომადგენლობას. თუმცა, არ არის მკაფიოდ დასაბუთებული უპარტიო წევრების რაოდენობის გაზრდა. ასევე, ერთის მხრივ უპარტიო წევრების ფიქსირებული რაოდენობა, მეორე მხრივ კი პარტიების მიერ არჩეული წევრების არა ფიქსირებული რაოდენობა, რომელიც საპარლამენტო არჩევნების შედეგებზეა დამოკიდებული, გრძელვადიან პერსპექტივაში არასტაბილურ შემადგენლობას განაპირობებს და არ იძლევა ინკლუზიურობისა და პარტიული ზედამხედველობის გარანტიას.

საარჩევნო ადმინისტრაციამ კანონით განსაზღვრული ვადები დაიცვა და COVID-19-ის პანდემიის გავრცელების საწინააღმდეგოდ აუცილებელი შესაბამისი ცვლილებების გათვალისწინებით არჩევნებისთვის მზადების ტექნიკურ ასპექტებს ეფექტიანად გაართვა თავი. ცესკო რეგულარულად ატარებდა სხდომებს, რომლებიც ღია იყო არჩევნებში მონაწილე სუბიექტების წარმომადგენლებისთვის, აკრედიტებული დამკვირვებლებისა და მედიისთვის, წელს პირველად კი სხდომები პირდაპირ ეთერში გადაიცა. ცესკოსა და საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებები და სხდომის ოქმები ონლაინ ქვეყნდებოდა. სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელ ორგანიზაციებთან და პარტიების წარმომადგენლებთან კონსულტაციების შედეგად, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ COVID-19-თან დაკავშირებით რამდენიმე დადგენილება გამოსცა, რომლებიც საარჩევნო ადმინისტრაციის შენობებში შესვლის, სტანდარტული საარჩევნო უბნების მუშაობისა და კარანტინის პირობებში ხმის მიცემის წესებს არეგულირებს. ცენტრალური საარჩევნო კომისიამ დააარსა ინფორმაციის დაცულობის ცენტრი, რომელიც შექმნილია ტრადიციული მედია საშუალებებითა და სოციალური ქსელების მეშვეობით საარჩევნო ადმინისტრაციის შესახებ გავრცელებული დეზინფორმაციის წინააღმდეგ საბრძოლველად. მან რამდენიმე შემთხვევაში კონკრეტული მედია საშუალების, ოპოზიციური პარტიების და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი ორგანიზაციების წინააღმდეგ მიმართული დაუბალანსებელი ანგარიშები წარმოადგინა. 23 სექტემბერს სამი ონლაინ მედია საშუალების მიერ გამოქვეყნებული განცხადების საპასუხოდ, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საპასუხო განცხადება გამოაქვეყნა, რომელშიც ტექნიკური ხარვეზების არსებობა და მცდარი მიგნებების დაშვება აღიარა.³²

³¹ პარტიებს შეეძლოთ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების შეცვლა მეორე ტურამდე ოთხი დღით ადრე. ცესკოს ინფორმაციით, მეორე ტურამდე სულ 4,683 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი გაათავისუფლეს ან მათ თვითონვე მოხსნეს კანდიდატურა. მათ შორის იყო 975 არაპარტიული და 3,708 პარტიული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი. აღნიშნულთაგან პარტიებმა 2,666 წევრი შეცვალეს, შესაბამისად 1,042 პარტიული თანამდებობა შესავსები დარჩა. შესაბამისად, საოლქო საარჩევნო კომისიებს უნდა შეერჩიათ სულ 2,017 არაპარტიული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი.

³² 24 სექტემბერს USAID-მა განაცხადა, რომ მათ გადაწყვიტეს ცენტრისთვის დახმარების შეწყვიტა.

საქართველო

მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები, 2021 წლის 2 და 30 ოქტომბერი

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისია საბოლოო ანგარიში

საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა ტრენინგები, პოლიტიკური პარტიების მიერ დანიშნული წევრების დასწრების სხვადასხვაგვარი ხარისხის მიუხედავად, მთლიანობაში კარგად ორგანიზებული იყო. ცენტრალური საარჩევნო კომისიის ტრენინგ-ცენტრმა ყოვლისმომცველი სასწავლო პროგრამები შესთავაზა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეს, მათ შორის, პოლიტიკურ პარტიებს, ქალ კანდიდატებს, მედიასა და უსაფრთხოების სამსახურებს. მეორე ტურის წინ კი ჩაატარა გადასამზადებელი ტრენინგები საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის რომლებიც მოიცავდა სპეციალურ სესიებს საბოლოო შედეგების შემაჯამებელი ოქმების შედგენასთან დაკავშირებით. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ტელევიზიით და რადიოთი გაავრცელა ინფორმაცია სადაც აქცენტი არჩევნების დღის პროცედურებზე და COVID-19 უსაფრთხოების ზომებზე იყო გაკეთებული, ამომრჩევლებისთვის განკუთვნილი ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყო უმცირესობათა ენებზე.

VII. ამომრჩევლების რეგისტრაცია

ხმის მიცემის უფლება არჩევნების დღისთვის 18 წელს მიღწეულ ყველა მოქალაქეს აქვს. პირებს, რომლებიც განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის იხდიან სასჯელს ან სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ გამოცხადდნენ და სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებაში არიან მოთავსებული, საარჩევნო უფლება ჩამორთმეული აქვთ³³. სასამართლოს მიერ ხმის მიცემის უფლების ჩამორთმევა ქმედუუნაროდ გამოცხადებული პირთათვის ინტელექტუალურ ან ფსიქო-სოციალურ შეზღუდულობის საფუძველზე არ შეესაბამება საერთაშორისო ადმინისტრაციულ სტანდარტებსა და დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის მიერ მანამდე გაცემულ რეკომენდაციებს.³⁴ დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისთან საუბრისას თანამოსაუბრეთა უმეტესობამ გამოხატა ნდობა ამომრჩეველთა სიების სიზუსტესთან დაკავშირებით.

ამომრჩეველთა რეგისტრაცია არის პასიური, ცენტრალიზებული და განგრძობადი. ცესკო ამომრჩეველთა სიებს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ დაცული სამოქალაქო რეესტრის მონაცემთა ბაზის საფუძველზე ადგენს, რომელიც კვარტალურად

³³ განსაკუთრებით მძიმე დანაშაული გულისხმობს დანაშაულს, რომლისთვისაც პირი 10 ან მეტი წლით იხდის სასჯელს, ან უვადო პატიმრობა აქვს მისჯილი. 2021 წლის სექტემბრის მონაცემებით სტაციონარში იმყოფებოდა 209 ადამიანი.

³⁴ იხ. [2006 წლის გაეროს კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებების შესახებ](#), რომელიც ადგენს: “შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს შეუძლიათ თანაბრად, ეფექტურად და სრულყოფილად მიიღონ მონაწილეობა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, უშუალოდ ან თავისუფლად არჩეული წარმომადგენლების მეშვეობით, რაც გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებას ხმა მისცენ და კენჭი იყარონ. იხილეთ ასევე ამ [კონვენციის კომიტეტის ზოგადი შენიშვნა #1](#), 48 პარაგრაფი: “ადამიანის მიერ გადაწყვეტილებების მიღების უნარი ვერ ჩაითვლება შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანებისთვის [...] ხმის მიცემის და არჩევნებში კანდიდატის სტატუსით მონაწილეობის უფლების, ჩამორთმევის გამართლებად“.

საქართველო

მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები, 2021 წლის 2 და 30 ოქტომბერი

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისია

საბოლოო ანგარიში

ახლდება და ასევე უშუალოდ არჩევნების წინ.³⁵ დამატებითი ინფორმაცია ამომრჩევლების შესახებ ცესკოს მიეწოდება სხვა პასუხისმგებელი უწყებების მიერ.³⁶ სერვისების განვითარების სააგენტომ ძალისხმევა გაიღო რათა გაეუმჯობესებინა სამოქალაქო ბაზა დუბლიკატებისა და გარდაცვლილი პირების ბაზიდან ამოღებით.³⁷ კანონის თანახმად, ამომრჩეველთა წინასწარ სიაში ხვდებიან მხოლოდ მოქმედი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (ID) მქონე ამომრჩევლები, მათი რეგისტრირებული იურიდიული მისამართის ან სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში არსებული ბოლო დროებითი მისამართის მიხედვით. ამ დებულებიდან გამომდინარე, ვადაგასული პირადობის მოწმობების მქონე ამომრჩევლებს წაერთვათ ხმის მიცემის უფლება, კერძოდ, სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ ცესკოსთვის ამომრჩეველთა სიის გადაცემის შემდეგ, ისინი ვეღარ მოხვდებიან ხელახლა ამომრჩეველთა სიაში პირადობის დამადასტურებელი მოწმობის განახლების შემთხვევაში.³⁸ არჩევნების პირველი ტურისათვის, დაახლოებით 41,000 მოქალაქე, რომლებიც სამოქალაქო რეესტრში პოტენციურ ამომრჩევლად ირიცხება, სხვადასხვა მიზეზთა გამო არ შეიყვანეს ცენტრალური საარჩევნო კომისიის საბოლოო სიაში.³⁹ ამომრჩევლებს შესაძლებლობა ჰქონდათ წინასწარი სიები რამდენიმე გზით გადაემოწმებინათ: ცესკოს ვებგვერდისა და ცხელი ხაზის მეშვეობით, სწრაფი გადახდის 12,780 ტერმინალით და ამობეჭდილი, უბნებზე თვალსაჩინოდ გაკრული ამომრჩეველთა წინასწარი სიების შემოწმებით.⁴⁰ ამომრჩევლებს, რეგისტრირებულ პარტიებსა და აკრედიტებულ დამკვირვებელ ორგანიზაციებს შეეძლოთ მოეთხოვათ სარეგისტრაციო მონაცემების განახლება ან შესწორება 14

³⁵ საჯარო სერვისების განვითარების ეროვნულმა სააგენტომ ჩაატარა გრძელვადიანი პროექტი სამოქალაქო რეესტრის გასაწმენდად, მათ შორის ამოიღო დუბლიკატები და განახორციელა გარდაცვლილი პირების იდენტიფიკაცია. საჯარო სერვისების განვითარების ეროვნული სააგენტოს მონაცემებში 15 სექტემბრის მდგომარეობით სიებში 3,540,609 პოტენციურ ამომრჩეველი იყო.

³⁶ მათ შორისაა ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები; თავდაცვის სამინისტრო, საგარეო საქმეთა სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო; სპეციალური სასჯელაღსრულების სამსახური; სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური და სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო.

³⁷ ცესკომ ამოიღო 842 გარდაცვლილი ამომრჩეველი 15-დან 25 სექტემბრის შუალედში ამორიცხა სიიდან, მას შემდეგ რაც პირველ ტურამდე ბოლო განახლებები მიიღეს.

³⁸ საჯარო სერვისების განვითარების ეროვნული სააგენტოს მიხედვით, 2021 წლის სექტემბრის მონაცემებით, სამოქალაქო რეესტრში რეგისტრირებულ 165,500 მოქალაქეს არ ჰქონდა მოქმედი საიდენტიფიკაციო დოკუმენტი. საჯარო სერვისების განვითარების ეროვნული სააგენტოს ამ პირების ადგილსამყოფლის შესახებ ინფორმაცია არ ჰქონდა, მაგრამ აღნიშნა რომ პირადობის მოწმობის ვადები მათ ნაწილს მხოლოდ ახლახან გაუვიდათ.

³⁹ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიხედვით ეს მოიცავდა 16,166 მოქალაქეს მხოლოდ საზღვარგარეთ რეგისტრირებული მისამართით; 22,160 იძულებით გადაადგილებულ პირს რეგისტრაციის მისამართით მხოლოდ აფხაზეთის ან სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე; 2,669 მსჯავრდებული მძიმე დანაშაულის გამო, დაახლოებით 2,300 ამომრჩეველს მისამართის გარეშე ან დაკარგული მისამართით, და 997 მოქალაქეს დაკარგული ან ცუდი ხარისხის ფოტოების გამო.

⁴⁰ ცესკოს მონაცემებით, ამომრჩეველთა სიის ვებგვერდს პირველ ტურამდე 1,000,000-ზე მეტი ადამიანი ეწვია.

საქართველო

მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები, 2021 წლის 2 და 30 ოქტომბერი

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისია

საბოლოო ანგარიში

სექტემბრამდე.⁴¹ საბოლოო ამომრჩეველთა სია პირველი ტურისთვის 3,497,345 ამომრჩეველს მოიცავდა.⁴² 2020 წლის ივლისში მიღებული საკანონმდებლო ცვლილებებით სავალდებულო გახდა ამომრჩეველთა სიაში იმ პირთა დამატება, რომელთაც პირველიდან მეორე ტურამდე პერიოდში 18 წელი შეუსრულდათ და ასევე გარდაცვლილ პირთა სიიდან ამოღება. მიუხედავად იმისა, რომ პირველი ტურის მსგავსად ამომრჩეველს კვლავაც ჰქონდა საკუთარი მონაცემების გადამოწმების შესაძლებლობა, კანონმდებლობა ამომრჩეველთა მონაცემებში მეორე ტურამდე არანაირი სხვა ცვლილებების შეტანის შესაძლებლობას არ იძლევა. 31 მუნიციპალიტეტში სულ 2,088,722 ამომრჩეველს ჰქონდა მეორე ტურში მონაწილეობის უფლება, მათ შორის 2,069 ამომრჩეველს პირველად.⁴³

სპეციალური ამომრჩეველთა სიები შეიქმნა საარჩევნო მოხელეებისთვის, სამედიცინო, სამხედრო და უშიშროების პერსონალისთვის.⁴⁴ მოქალაქეებს შეეძლოთ მოეთხოვათ ხმის გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით მიცემა მათი რეგისტრაციის შესაბამის საარჩევნო ოლქში ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მიზეზების ან სამუშაო მოვალეობის გამო. კანონის თანახმად, მობილური ხმის მიცემის მოთხოვნა არ უნდა აღემატებოდეს საუბნო საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებული ამომრჩეველთა სამ პროცენტს.⁴⁵ დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის დამკვირვებლებმა აღნიშნეს საოლქო საარჩევნო კომისიების არათანმიმდევრული მიდგომა ამომრჩეველთა გადასატანი ყუთის საბოლოო სიების დამტკიცებასთან მიმართებაში და ოპოზიციის წარმომადგენლებმა გამოთქვეს შეშფოთება იმის თაობაზე რომ შესაძლოა გადასატანი საარჩევნო ყუთის სიები ნაადრევად შეივსო "ქართული ოცნების" მხარდაჭერების ადრეული მოთხოვნით, რომელთა მიზანიც იყო თავიდან აეცილებინათ ოპოზიციის მხარდამჭერების შემდგომი რეალური

⁴¹ მოთხოვნების შედეგად, პირველ ტურამდე 190 ამომრჩევლის მონაცემები დამუშავდა, რომლებიც ძირითადად გარდაცვლილ პირთა სიიდან ამოღებას ეხებოდა. ოთხმა პოლიტიკურმა პარტიამ, ოთხმა დამკვირვებელმა ორგანიზაციამ და ერთმა საინიციატივო ჯგუფმა ამომრჩეველთა სიის ელექტრონული ვერსია მოთხოვნისთანავე მიიღო.

⁴² მათ შორის 202,035 იძულებით გადაადგილებული პირი რომლების მისამართის სამთავრობო კონტროლის ტერიტორიებზეა, 293,516 საზღვარგარეთ მცხოვრები ამომრჩეველი და 51,799 საკონსულო რეესტრში მყოფი ამომრჩეველი.

⁴³ მეორე ტურში მონაწილე ყველა ამომრჩევლის თითქმის ნახევარი რეგისტრირებული იყო თბილისში (1,002,525), ხოლო 11 მუნიციპალიტეტში, სადაც მხოლოდ მაჟორიტარული არჩევნები გაიმართა, არჩევნებზე მხოლოდ 27,865 ამომრჩეველი იყო მოწვეული (ლენტეხის მუნიციპალიტეტში მხოლოდ 653).

⁴⁴ სამხედრო და უშიშროების პერსონალს ხმის მიცემა მუნიციპალური ორგანოს არჩევნებზე მათი განლაგების ზონაში შეეძლოთ, თუ ისინი იქ მინიმუმ ექვსი თვის განმავლობაში ცხოვრობდნენ. ცესკოს მონაცემებით, სტანდარტულ საარჩევნო უბნებზე 29 000-მდე პირი იყო შეყვანილი სპეციალურ საარჩევნო სიაში, მათ შორის 25, 495 საარჩევნო მოხელე. არჩევნების პირველ ტურში სასჯელადსრულების დაწესებულებებში დაარსებულ ცხრა საარჩევნო უბანზე რეგისტრირებული იყო 1538 პირი, ხმა კი 1,037 მისცა. სასჯელადსრულების დაწესებულებებში დაარსებულ ცხრა საარჩევნო უბანზე რეგისტრირებული იყო 821 პირი. ამომრჩეველთა სპეციალური სიები მეორე ტურისთვის განახლდა და ის 18,410 ამომრჩეველს შეიცავდა.

⁴⁵ პირველ ტურში 74,556 ამომრჩეველი მოხვდა გადასატანი ყუთით ხმის მიცემის სიაში, მათმა რაოდენობამ ამომრჩეველთა სამ პროცენტს გადააჭარბა 26-ს საოლქო საარჩევნო კომისიაში; ასეთი ამომრჩევლების წილი მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში განსაკუთრებით მაღალი იყო.

საქართველო

მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები, 2021 წლის 2 და 30 ოქტომბერი

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისია საბოლოო ანგარიში

მოთხოვნები.⁴⁶ COVID-19 ის გამოწვევების საპასუხოდ, ცესკომ პირველ ტურში სპეციალური მობილური კენჭისყრა ჩაატარა საავადმყოფოებში მყოფ 3,822 ამომრჩევლისთვის, კარანტინში მყოფ 147 და 1,198 თვითიზოლაციაში მყოფ ამომრჩევლისთვის; მეორე ტურში კი 5,730 ამომრჩევლისთვის, რომელთაგანაც 2,165 თვითიზოლაციაში იმყოფებოდა.⁴⁷ დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის წინა რეკომენდაციები დაუსწრებელი ხმის მიცემისთვის უსაფრთხო მექანიზმის დანერგვის შესახებ კვლავაც არ შესრულებულა.

VIII. კანდიდატების რეგისტრაცია

ხმის მიცემის უფლების მქონე 21 წელს მიღწეულ ნებისმიერ მოქალაქეს, რომელსაც საქართველოში 5 წელზე მეტი ხანი უცხოვრია, საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობის მიღება შეუძლია.⁴⁸ მერობის კანდიდატი კი სულ მცირე 25 წლის უნდა იყოს, რომელსაც საქართველოში ხუთ წელზე მეტი ხანი უცხოვრია და უნდა ჰქონდეს ხმის მიცემის უფლება.⁴⁹ პარტიებს ან საინიციატივო ჯგუფებს, რომლებიც სულ მცირე ხუთი ამომრჩევლისგან შედგება, მერობის და საკრებულოს მაჟორიტარი კანდიდატების წარდგენის უფლება აქვთ. კანონით მოთხოვნილია, რომ პროპორციული წესით ასარჩევი კანდიდატების სიებში ყოველი მესამე წარდგენილი კანდიდატიდან ერთი საპირისპირო სქესის იყოს.⁵⁰

კანდიდატების წარსადგენად პარტიები და ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფები, შესაბამისად, პირველ რიგში, ცესკოში და საოლქო საარჩევნო კომისიებში უნდა დარეგისტრირდნენ. იმ პარტიებს, რომლებსაც წინა საპარლამენტო არჩევნებში არ დარეგისტრირებულან ან მუნიციპალური არჩევნების დანიშვნის დროს არ ჰყავდათ

⁴⁶ „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციამ - „განათლების პროფესიულმა კავშირმა“ 55 საჩივარი შეიტანა სენაკის საოლქო საარჩევნო კომისიაში, რომლებიც ძირითადად შეეხებოდა შეზღუდულ წვდომას საუბნო საარჩევნო კომისიების სარეგისტრაციო ჟურნალზე, და რომელშიც აღწერილი იყო მოთხოვნები გადასატან საარჩევნო ყუთის სიაში შესაყვანად.

⁴⁷ ამ სიებს შეიძლება დაემატოს მხოლოდ ისეთი ამომრჩეველი, რომელიც რეგისტრირებულია სახელმწიფო უწყებებში. თვითიზოლაციაში მყოფ პირებს, სპეციალური გადასატანი ყუთით ხმის მისაცემად, ცხელი ხაზის მეშვეობით უნდა მიემართათ ცესკოსთვის, პირველ ტურში 25-დან 27 სექტემბრამდე, ხოლო მეორე ტურში 23-იდან 25 ოქტომბრამდე მხოლოდ მათ შეეძლოთ მოთხოვნის შეტანა ვინც თვითიზოლაციაში თავიანთ ოლქში რჩებოდა.

⁴⁸ [კარგი პრაქტიკის კოდექსის](#) სახელმძღვანელო პრინციპი 1.1.c.iv ნათქვამია, რომ "საცხოვრებელ ადგილზე ყოფნის ვადა არ უნდა აღემატებოდეს ექვს თვეს, უფრო გრძელი ვადა შესაძლოა საჭირო იყოს მხოლოდ ეროვნული უმცირესობების დასაცავად".

⁴⁹ კანონი მოითხოვს ქართული ენის ფლობას თბილისის საკრებულოს კანდიდატებისთვის, რაც ცესკოს მიხედვით, პრაქტიკაში აღსრულებული არ ყოფილა. კანდიდატად დარეგისტრირებამდე, სავალდებულოა თანამდებობიდან გადადგომა რიგი საჯარო სამსახურის მოხელეებისათვის.

⁵⁰ „ერთი-ორში“ კვოტა კანდიდატებისთვის 2020 წლის ივლისში დაინერგა მაგრამ შემცირდა „ერთი-სამში“ პრინციპამდე 2021 წლის ივნისში. ევროპულმა სასამართლომ გენდერული კვოტების კონსტიტუციურობა საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრა, მტკიცებით რომ იგი პოლიტიკურ მონაწილეობას უშლიდა ხელს. 21 ოქტომბერს, საკონსტიტუციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა ევროპული საქართველოს საკონსტიტუციო სარჩელი კანდიდატთა სიის რეგისტრაციისთვის გენდერული კვოტის მოთხოვნის კონსტიტუციურობის შესახებ და დაადგინა, რომ გენდერული კვოტა მხოლოდ ქალებს ეხება.

საქართველო

მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები, 2021 წლის 2 და 30 ოქტომბერი

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისია საბოლოო ანგარიში

წარმომადგენელი პარლამენტში, ცესკოსთვის 25,000 მხარდამჭერთა ხელმოწერის ჩაბარება ევალუბოდათ.⁵¹ ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფების მიერ წარდგენილ თითოეულ კანდიდატურას მხარდამჭერთა ხელმოწერები უნდა ჰქონოდა დართული.⁵² ცენტრალურ საარჩევნო კომისიასა და საოლქო საარჩევნო კომისიებში შემდგარმა კომისიებმა წარმომადგენელი სიები ამომრჩეველთა სიაში არსებულ მონაცემებს პარტიებისა და კანდიდატთა წარმომადგენლების თანდასწრებით შეადარეს.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ინკლუზიური პროცესით 52-იდან 43 პარტია და 68 საინიციატივო ჯგუფი დაარეგისტრირა.⁵³ პარტიებმა და საინიციატივო ჯგუფებმა დაარეგისტრირეს 239 მერობის კანდიდატი (12 დამოუკიდებელი), 2,769 მაჟორიტარი კანდიდატი (56 დამოუკიდებელი) და 770 პროპორციული სია საერთო ჯამში 20,624 კანდიდატით.⁵⁴ 25 ქალი დაარეგისტრირდა მერობის კანდიდატად (10 პროცენტი), 488 - მაჟორიტარ კანდიდატად (17 პროცენტი); კანდიდატთა სიებში 8,767 ქალია (42,5 პროცენტი).⁵⁵

ყველა დონეზე დაბალანსებული გენდერული წარმომადგენლობის ხელშეწყობის მიზნით, სასურველია რომ პარტიებმა გააძლიერონ შიდაპარტიული პოლიტიკა, რათა წახალისონ ქალების მონაწილეობა და გაზარდონ ქალი კანდიდატების რაოდენობა მაჟორიტარ და მერობის კანდიდატებს შორის.

ბევრმა კანდიდატმა არჩევნების დღემდე მოხსნა კანდიდატურა, რამდენიმე მათგანმა, არსებული ინფორმაციით, მიზეზად ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან ზეწოლა

⁵¹ ცესკომ 7 ახალი პარტია დაარეგისტრირა ამ პროცედურის გამოყენებით.

⁵² ხელმოწერთა რაოდენობა განისაზღვრა ცესკოს მიერ თითოეული მაჟორიტარული უბნის და მერის თანამდებობისთვის ცალ-ცალკე. ზოგადად, ის შეესაბამებოდა უბანში რეგისტრირებული ამომრჩევლების 1 %-ს, მაგრამ არანაკლებ 50 ხელმოწერისა.

⁵³ სამ პარტიას უარი ეთქვა რეგისტრაციაზე ვადის გადაცდენის, არასაკმარისი ხელმოწერების, რეგისტრაციის დოკუმენტებში ხარვეზების არგამოსწორების გამო; ერთმა პარტიამ განაცხადი გააუქმა. რეგისტრაციის შემდგომ რეგისტრაცია გაუუქმდა 5 პარტიას კანდიდატების წარუდგენლობის გამო.

⁵⁴ მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში მერობის კანდიდატები მხოლოდ სამმა პარტიამ წარადგინა: „ქართული ოცნებამ“ ყველა 64 მუნიციპალიტეტში, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობამ“ 57-ში და „გახარია საქართველოსთვის პარტიამ“ კი 42-ში. ოთხმა პარტიამ წარადგინა კანდიდატების პროპორციული სიები ყველა მუნიციპალიტეტში, მათ შორის არიან "ევროპული საქართველო", "ქართული ოცნება", "გახარია საქართველოსთვის" და "ნაციონალური მოძრაობა". დაარეგისტრირებული კანდიდატთა პროპორციული სიების რაოდენობა მუნიციპალიტეტის მიხედვით მერყეობდა 7-დან (ადიგენი) 31-მდე (თბილისი). ექვს მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში მხოლოდ ერთი კანდიდატი (ქართული ოცნების მიერ წარდგენილი) იყო, ხოლო 78 მაჟორიტარულ ოლქში მხოლოდ ორი კანდიდატი.

⁵⁵ იხილეთ დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის და ვენეციის კომისიის სახელმძღვანელო პრინციპების 166-170 პუნქტები [პოლიტიკური პარტიების რეგულირების შესახებ](#), სადაც ხაზგასმულია შიდაპარტიული წესების მნიშვნელობა, რომელიც მიზნად ისახავს ქალთა პოლიტიკურ მონაწილეობის გაძლიერებას.

საქართველო

მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები, 2021 წლის 2 და 30 ოქტომბერი

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისია

საბოლოო ანგარიში

დაასახელა.⁵⁶ საერთო ჯამში 14 პროპორციულ სიას 328 კანდიდატით, რეგისტრაცია გაუქმდა და დამატებით საკრებულოს პროპორციულ სიაში შემავალმა 285 კანდიდატმა, რომელთა ერთი მესამედიც ქალია, არჩევნების წინ მოხსნა კანდიდატურა, ისევე როგორც 102 მაჟორიტარმა და სამმა მერობის კანდიდატმა. სულ 19-მა პოლიტიკურმა პარტიამ და 15-მა საინიციატივო ჯგუფმა გაიწვიეს კანდიდატები წარმატებული რეგისტრაციის შემდეგ.⁵⁷ მმართველ პარტიას არც ერთი კანდიდატი არ მოუხსნია. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, კანდიდატთა რეგისტრაციის საბოლოო დამტკიცების ვადამდე ცოტა ხნით ადრე, ორი დადგენილება გამოსცა, რამაც შეავიწროვა სამართლებრივი პირობები, რაც კანონის თანახმად, კანდიდატთა მინიმალური რაოდენობის მოთხოვნის შეუსრულებლობის ან დოკუმენტაციის არასრულად წარმოდგენის გამო კანდიდატებისთვის ან კანდიდატთა სიებისთვის რეგისტრაციის გაუქმებას გამოიწვევდა.⁵⁸ ამ ზომამ რამდენიმე კანდიდატი, 34 კანდიდატთა სია და ერთი პოლიტიკური პარტია რეგისტრაციის გაუქმებისგან დაიცვა.⁵⁹

IX. საარჩევნო კამპანია

საარჩევნო კამპანიის ოფიციალური პერიოდი 3 აგვისტოს, არჩევნებამდე 60 დღით ადრე დაიწყო. კანონი ითვალისწინებს კამპანიის ჩატარებისთვის თანასწორ პირობებს, მათ შორის წვდომას საჯარო შენობა-ნაგებობებსა და ადგილებზე, სადაც სააგიტაციო მასალების განთავსებაა შესაძლებელი. ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება, მათ შორის საჯარო

⁵⁶ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიამ მიიღო ინფორმაცია და ცნობები, მათ შორის პირველადი ანგარიშები, აჭარიდან, გურიიდან, იმერეთიდან, კახეთიდან, მცხეთა-მთიანეთიდან, რაჭა-ლეჩხუმიდან და ქვემო სვანეთიდან, სამეგრელო-ზემო სვანეთიდან, სამცხე-ჯავახეთიდან და შიდა ქართლიდან.

⁵⁷ ესენი იყვნენ: "თავისუფალი საქართველო", „ევროპული საქართველო“, „პატრიოტთა ალიანსი“, "ლეიბორისტული პარტია", "გახარია საქართველოსთვის", "გირჩი", "გირჩი მეტი თავისუფლება", „ლელო“, "მესამე ძალა", "ევროპელი სოციალისტები", "დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველო", "ხალხის პარტია", „მოქალაქეები“, "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა", "დროა", "საქართველო", "ევროპელი დემოკრატები" "პროგრესი და თავისუფლება" და "ანა დოლიძე ხალხისთვის".

⁵⁸ ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2021 წლის 7 სექტემბრის მე-60 დადგენილების მეშვეობით რეგისტრაცია არ გაუქმდათ იმ პროპორციულ სიებს, რომლებმაც ვერ შეასრულეს კანდიდატთა მოთხოვნილი მინიმალური რაოდენობის ვალდებულება ცალკეული კანდიდატების მიერ თავისი რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნის გამო. 8 სექტემბრის 63-ე დადგენილებამ ხელი შეუწყო ან აღადგინა იმ კანდიდატთა რეგისტრაცია, რომელთაც ვერ შეასრულეს ფოტოსა და საიდენტიფიკაციო დოკუმენტის წარდგენის მოთხოვნა, რადგან ეს დოკუმენტები ხელმისაწვდომი იყო ცესკოს ამომრჩეველთა სიაში.

⁵⁹ სხვაგვარად გაუქმდებოდა შემდეგი პარტიების სიები: "მესამე ძალა" (8 სია), "თავისუფალი საქართველო" (5), "ლეიბორისტული პარტია" (4), "ევროპული საქართველო" (4), "ლელო" (3), "გირჩი მეტი თავისუფლება", "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა", "ევროპელი დემოკრატები", "პატრიოტთა ალიანსი" (თითო 2) და "გახარია საქართველოსთვის" და "გირჩი" (თითო-თითო). საქართველოს ერთადერთი სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროპორციული სიის (თბილისის) ხელახალი მიღების შედეგად, პარტიის რეგისტრაციაც განახლდა.

საქართველო

მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები, 2021 წლის 2 და 30 ოქტომბერი

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისია საბოლოო ანგარიში

მოხელეებისათვის სამუშაო საათების დროს საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობა და ამომრჩევლის ხმების მოსყიდვა აკრძალულია.⁶⁰

საარჩევნო კამპანია კონკურენტულ გარემოში წარიმართა, საარჩევნო სუბიექტები განსხვავებულ შეხედულებებს წარმოადგენდნენ და კამპანია ყველაზე აქტიურად მედიასა და ონლაინ გამოცემებში შუქდებოდა.⁶¹ ბევრმა პარტიამ შეამცირა კარდაკარ და პირისპირ კამპანიის აქტივობები COVID-19-თან დაკავშირებით გავრცელებული წუხილის გამო და მხოლოდ რამოდენიმე ღონისძიების დაორგანიზებით შემოიფარგლნენ. მათ შორის იყო ორი აქცია ორგანიზებული ნაციონალური მოძრაობისა და ქართული ოცნების მიერ, თითოეულში ათიათასობით ადამიანი შეიკრიბა. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის დამკვირვებლებმა მიიღეს თანმიმდევრული ცნობები იმის შესახებ, რომ საჯარო მოხელეებს ხელმძღვანელები აძლევდნენ ინსტრუქტაჟს, მონაწილეობა მიეღოთ "ქართული ოცნების" მიერ გამართულ აქციაში, მმართველი პარტიის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების შესახებ ცნობები შეშფოთებას იწვევს. ქალები საარჩევნო კამპანიაში გამორჩეულად არ ჩანდნენ, რამდენიმე მნიშვნელოვანი გამონაკლისის გარდა, ძირითადად დედაქალაქში.

ორი პარტიის გარდა არჩევნებში მონაწილე ყველა პარტია აქტიურობდა სოციალურ ქსელში, უმთავრესად ფეისბუქზე. პარლამენტში მყოფი ყველა პარტია ყოველდღიურად აქვეყნებდა პოსტებს მათი კანდიდატების, პროგრამებისა და კამპანიის საქმიანობის შესახებ და ყველა, გარდა ერთისა, იყენებდა დასპონსორებულ მასალებს. მერობისა და მაჟორიტარობის კანდიდატების უმეტესობა ჩანდა ინტერნეტსივრცეში, ისინი ძირითადად მათი პარტიებიდან ან მედიიდან აზიარებდნენ მასალებს, ძირითადად ნეიტრალური ან პოზიტიური ტონით.⁶²

საარჩევნო კამპანია მთლიანობაში მშვიდი იყო, მაგრამ ადგილი ჰქონდა შეურაცხმყოფელი რიტორიკის ესკალაციასა და ნეგატიური კამპანიას.⁶³ ორი უმსხვილესი პარტია არაერთხელ

⁶⁰ საჯარო მოხელეებს, მასწავლებლებს და საქველმოქმედო ორგანიზაციების თანამშრომლებს საარჩევნო კამპანიის წარმოება სრულიად ან სამუშაო საათებში ეკრძალებათ.

⁶¹ საარჩევნო სადამკვირვებლო მისიასთან, ბევრმა მოსაუბრემ განაცხადა რომ საარჩევნო კამპანიის ღონისძიებებზე დამსწრე ამომრჩევლები ერიდებოდნენ იქ გადაღებული ფოტოებზე გამოჩენას, ზოგი კი ამტკიცებდა, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურები აკვირდებოდნენ ამგვარ ღონისძიებებს, მათ შორის თეთრიწყაროსა და ბათუმში.

⁶² სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ (ISFED) კამპანიის განმავლობაში ჩაატარა სოციალური მედიის მონიტორინგი და დაასკვნა, რომ ოფიციალური კამპანიის გარდა, Facebook-ზე ძირითადად ანონიმურად ხდებოდა აგიტაცია. მათ დაასკვნეს, რომ მიუხედავად იმისა, რომ მთლიანობაში ოპოზიციის დისკრედიტაციისთვის უფრო ნაკლები კონტენტი იყო მიმართული ვიდრე მმართველი პარტიისკენ, მომხმარებელთა ინტერაქცია ოპოზიციის წინააღმდეგ პოსტებში მნიშვნელოვნად მაღალი იყო, ვიდრე "ქართული ოცნების" წინააღმდეგ.

⁶³ არჩევნების პირველი ტურის წინ, დიდ ქალაქებში გამოჩნდა დაუსათაურებელი ბილბორდები, რომლებზეც გამოსახული იყო ოპოზიციის ლიდერები, ტელევიზიის მფლობელი და ჟურნალისტი; ბილბორდები მათზე გამოსახული ადამიანების სისხლიან წარსულზე აპელირებდა. მეორე ტურის წინ „ქართულმა ოცნებამ“ და „ნაციონალურმა მოძრაობამ“ სოციალურ ქსელებსა და ტელევიზიაში გაავრცელეს ვიდეოები, სადაც

საქართველო

მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები, 2021 წლის 2 და 30 ოქტომბერი

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისია

საბოლოო ანგარიში

დაემუქრნენ ერთმანეთს დასრულებით და ჩვეულებრივ მოიხსენიებდნენ მოწინააღმდეგეებს კრიმინალებად, მატყუარებად, ნარკომანებად და მოღალატეებად.⁶⁴ კანდიდატების უმეტესობამ, რომელთაც დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისია შეხვდა, განაცხადეს, რომ მათ კამპანიის თავისუფლად ჩატარების შესაძლებლობა ჰქონდათ, მათ შორის უმცირესობათა ენებზე; ამის მიუხედავად, კანდიდატებზე ზეწოლა, ერთეული მაგრამ სერიოზული ძალადობის შემთხვევები, და სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირებები ორივე ტურთან მიმართებაში არჩევნების დღის მოახლოებასთან ერთად გაძლიერდა.⁶⁵

ფართოდ გავრცელებული და თანმიმდევრული ანგარიშები ამომრჩეველთა ხმის მოსყიდვის, ადმინისტრაციული რესურსების არასწორად გამოყენების, და დაშინებისა და ამომრჩეველზე ზეწოლის შესახებ ცნობები ორივე ტურის წინ გაჟღერდა ამომრჩევლების, კანდიდატების და პოლიტიკური პარტიების მიერ.⁶⁶ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის სადამკვირვებლო მისიასთან, ბევრმა თანამოსაუბრემ განაცხადა, რომ პირებს რომლებზეც სავარაუდოდ განხორციელდა ზეწოლა ემინოდან ამგვარი ქმედებების

ასახული იყვნენ მათი ოპონენტები, როგორც მმართველობისთვის შეუფერებლები, კრიმინალები, მატყუარები და კორუმპირებულები.

⁶⁴ 13 ოქტომბერს „ქართულმა ოცნებამ“ წარმოადგინა კანონპროექტი, რომელიც საარჩევნო კოდექსსა და მაუწყებლობის შესახებ კანონში შესწორებების შეტანას ისახავდა მიზნად და კრძალავდა ისეთ სააგიტაციო მასალას, რომელიც გამიზნული იყო „საარჩევნო სუბიექტისადმი უარყოფითი დამოკიდებულების შესაქმნელად“. საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა არ დააკმაყოფილა პროცესის დაჩქარებულად წარმართვის მოთხოვნა. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა გამოთქვეს წუხილი, რომ მსგავსი ცვლილება გამოხატვის თავისუფლებისა და მედიის თავისუფლების შეზღუდვა იქნებოდა.

⁶⁵ "მესამე ძალის" კანდიდატმა სამტრედიისში, საჯაროდ მისცა ჩვენება იმის შესახებ რომ ის გაიტაცეს და აიძულეს მოეხსნა კანდიდატურა. მისი თხოვნით, საოლქო საარჩევნო კომისიამ არ გაატარა მისი სიიდან ამოღების მოთხოვნა, და შესაბამისად ის დარჩა კანდიდატების სიაში. სექტემბერში, რუსთავში ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერს დაესხნენ თავს, დმანისის რაიონში კი ნაციონალური მოძრაობის ორი მხარდამჭერი დაჭრეს; დმანისის ოლქის საქმე დამნაშავეს მენტალური არასტაბილურობის დადგენის გამო დაიხურა „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელობასა და თანამშრომლებს ქუთაისსა და ხელვაჩაურში „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერები სიტყვიერად დაუპირისპირდნენ. ასევე სექტემბერში უცნობმა პირებმა ცაგერში ცეცხლი გაუხსნეს "გახარია საქართველოსთვის" კანდიდატის მანქანას, ხოლო 24 ოქტომბერს, რუსთავში, ნაციონალური მოძრაობის პარტიის ოფისთან ძალადობრივი დაპირისპირება მოხდა, როდესაც მამაკაცთა ჯგუფი შენობაში შესვლას ცდილობდა.

⁶⁶ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიამ მიიღო მრავალი ცნობა ყველა 12 რეგიონიდან, რომ მმართველი პარტიის წარმომადგენლები ამომრჩევლებს და სხვა პარტიების პოტენციურ კანდიდატებს ჰპირდებოდნენ სამუშაოს, საკვების შემოწირულობას ან ფულს მათი მხარდაჭერის სანაცვლოდ და ემუქრებოდნენ ოპოზიციის კანდიდატებს, დონორებსა და მხარდამჭერებს სამსახურიდან გათავისუფლებითა და სოციალური შეღავათების გაუქმებით მათთვის და მათი ოჯახებისთვის. 1 სექტემბერს სახალხო დამცველმა გამოთქვა შეშფოთება წინასაარჩევნოდ თანამშრომლების პოლიტიკური შეხედულებების გამო სავარაუდო დისკრიმინაციულ გათავისუფლებასთან დაკავშირებით. "გახარია საქართველოსთვის" პარტიამ აცნობა დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიას კანდიდატებზე გათავისუფლებისა და ზეწოლის 110-ზე მეტი შემთხვევის შესახებ.

საქართველო

მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები, 2021 წლის 2 და 30 ოქტომბერი

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისია

საბოლოო ანგარიში

გამომჟღავნების და შესაბამისი უწყებებისთვის მიმართვის შემთხვევაში, ისინი საკმარისად არ იძიებდნენ შესაძლო დაშინების ბრალდებებს.⁶⁷ ეს შემთხვევების საფუძველს ქმნიდა ამომრჩეველთა შესაძლებლობაზე რომ ისარგებლონ ხმის მიცემის უფლებით „დასჯის შიშის გარეშე“ და ეწინააღმდეგება ეუთოს წინაშე აღებულ ვალდებულებებს და სხვა საერთაშორისო სტანდარტებს.⁶⁸

საარჩევნო პროცესის მიმართ საზოგადოების ნდობის გაძლიერებისა და თავისუფალი და სამართლიანი სარჩევნო გარემოს შესაქმნელად, საჯარო მოხელეებმა და საარჩევნო კანდიდატებმა თავი უნდა შეიკავონ ამომრჩევლებზე და კანდიდატებზე ზეწოლისაგან, შესაბამისმა უწყებებმა უნდა გადადგან სწრაფი და ქმედითი ნაბიჯები დაშინების, იძულების და ხმების მოსყიდვის შესახებ ბრალდებების გამოსაძიებლად; ასევე მათ უნდა იმუშაონ პროაქტიულად, ამგვარი პრაქტიკის აღსაკვეთად და ამომრჩევლებისათვის მათი უფლებების და გარანტიების გასაცნობად.

19 აპრილის შეთანხმების შედეგად მმართველ პარტიასთან მიმართებით წარმოქმნილი 43-პროცენტის მხარდაჭერის ნიშნული დისკუსიის ძირითადი საკითხი იყო არჩევნების პირველ ტურამდე, ხოლო ადგილობრივი საკითხები უფრო მეტად აქტუალური იყო მუნიციპალიტეტებში. მიუხედავად იმისა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ 19 აპრილის შეთანხმება დატოვა, ბევრი არჩევნების პირველ ტურს მმართველი პარტიის მხარდაჭერის განმსაზღვრელ ეროვნულ რეფერენდუმად აღიქვამდა. მეორე ტურში ნაციონალურმა მოძრაობამ ყურადღება გაამახვილა კოალიციური პოლიტიკის მნიშვნელობაზე და სხვა პარტიებს მოუწოდა ოპოზიციის ერთობით დახმარებოდნენ „ქართული ოცნების“ დამარცხებაში. ქართულმა ოცნებამ, პირველ ტურთან შედარებით, თავისი კამპანიის სტრატეგია ბევრად უფრო ძლიერ ეროვნულ ფოკუსზე ააწყო.

მეორე ტურამდე ერთი კვირით ადრე, პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ ნებისმიერი მუნიციპალიტეტი, რომელშიც ოპოზიცია გაიმარჯვებს, განცალკევდება ცენტრალური ხელისუფლებისგან და მოკლებული იქნება პროექტების განხორციელების შესაძლებლობას.

⁶⁷ პროკურატურის ცნობით, მათ განიხილეს ხმების მოსყიდვის ბრალდებები, დაშინების, ძალადობისა და ფიზიკური შეურაცხყოფის სავარაუდო ფაქტები და ზოგიერთ საქმეზე დაიწყეს სისხლის სამართლის გამოძიება.

⁶⁸ 1990 წლის ეუთოს კოპენჰაგენის დოკუმენტის 7.7 პარაგრაფის მოთხოვნათა მიხედვით საარჩევნო კამპანია „სამართლიან და თავისუფალ გარემოში უნდა ჩატარდეს, რომელშიც ადმინისტრაციული ქმედება, ძალადობა ან დაშინება არ უზღუდავს პარტიებს ან კანდიდატებს საკუთარი შეხედულებების და კვალიფიკაციების თავისუფლად წარდგენის შესაძლებლობას ან არ უშლის ამომრჩევლებს ხელს გაეცნონ და განიხილონ ადნიშნული შეხედულებები და ხმა მისცენ დასჯის შიშის გარეშე“. „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტთან დაკავშირებით 1996 წლის ზოგადი კომენტარი N25“-ის მე-19 პარაგრაფი ადგენს, რომ „ამომრჩევლებმა უნდა შეძლონ თავისი მოსაზრების დამოუკიდებლად, თავისუფლად, ძალადობის, ზემოქმედებისა, ზეწოლისა და რაიმე სახის მანიპულაციის გარეშე ფორმირება“.

საქართველო

მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები, 2021 წლის 2 და 30 ოქტომბერი

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისია საბოლოო ანგარიში

ოპოზიციამ ეს დაგმო, როგორც მათი ამომრჩევლებისადმი დამუქრების მცდელობა.⁶⁹ ხელისუფლებაში ყოფნით მინიჭებული შეუსაბამო უპირატესობა ორივე ტურის საარჩევნო კამპანიის დროს შენარჩუნდა, რაც ხასიათდებოდა საჯარო პროექტების შესახებ გაკეთებული განცხადებებით, სოციალური სარგებლის დაპირებებითა და გეგმით, რომ 2022 წლის იანვრიდან საჯარო მოხელეების ხელფასები გაიზრდებოდა.⁷⁰ მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი პროექტის ინიცირება კამპანიის დაწყებამდე მოხდა, აღნიშნული კანონის სულისკვეთებას ეწინააღმდეგებოდა და სახელმწიფოსა და პარტიას შორის ზღვარს ბუნდოვანს ხდიდა, რაც წინააღმდეგობაში მოდის ეუთოს წინაშე აღებულ ვალდებულებებთან და კარგ პრაქტიკასთან.⁷¹

ყველა კანდიდატისათვის თანაბარი საასპარეზო პირობების უზრუნველსაყოფად, სასურველია ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი ჩარჩოს გამოყენება და მისი აღსრულება მათ შორის საჯარო სამსახურის ბოროტად გამოყენება საარჩევნო კამპანიის დროს.

⁶⁹ მომდევნო დღეს, 24 ოქტომბერს, პრემიერ-მინისტრმა დააზუსტა, რომ ეს უკავშირდებოდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მხრიდან ცენტრალურ მთავრობასთან მჭიდრო კოორდინაციის საჭიროებას და ოპოზიციის კანდიდატები საბოტაჟსა და ქაოსში დაადანაშაულა.

⁷⁰ კამპანიის განმავლობაში სამთავრობო მინისტრები, მათ შორის პრემიერ-მინისტრი, აქტიურად მონაწილეობდნენ მმართველი პარტიის წინასაარჩევნო ღონისძიებებში, აცნობდნენ ამომრჩევლებს ჯამში 40 მილიარდ ლარზე მეტი (1 ევრო უდრის 3,7 ლარს) მოცულობის დაგეგმილ ინფრასტრუქტურულ, ეკონომიკურ და სასოფლო-სამეურნეო პროექტებზე. მათ შორის იყო დაპირებები დევნილთა ოჯახებისთვის ასობით ბინის გადაცემაზე, ვეტერანებისთვის ყოველთვიური შემწეობის გაზრდაზე, ასევე მთავრობის გეგმებზე - საჯარო მოხელეთა ხელფასების და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტის გაზრდასა და სამომავლო მასშტაბური ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ. თბილისის მერიაში მთავრობის სხდომაზე მოქმედმა მერმა წარადგინა საარჩევნო დაპირება სოციალურად დაუცველი პენსიონერებისთვის მედიკამენტების შესაძენად 500 ლარიანი ვაუჩერის გაცემის შესახებ.

⁷¹ [1990 წლის ეუთოს კოპენჰაგენის დოკუმენტის](#) 5.4 პარაგრაფი ამბობს, რომ „სახელმწიფოსა და პოლიტიკურ პარტიებს შორის მკვეთრი ზღვარი უნდა გადიოდეს“. 2016 წლის „საარჩევნო პროცესების დროს ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენების პრევენციისა და მასზე რეაგირების დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისისა და ვენეციის კომისიის ერთობლივი სახელმძღვანელო პრინციპების“ ([„სახელმძღვანელო პრინციპები“](#)) II.B.1.3 პარაგრაფი აცხადებს, რომ საარჩევნო პერიოდში მთავრობის ყოველდღიური საქმიანობა უნდა გაგრძელდეს. თუმცა, საარჩევნო კონკურენციისას თანაბარი პირობების ბალანსის დარღვევის მიზნით ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენების პრევენციისთვის, სამართლებრივი ჩარჩო უნდა ადგენდეს, რომ საარჩევნო კამპანიის დროს არ უნდა გაკეთდეს განცხადებები ისეთი მნიშვნელოვანი ინიციატივების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია კონკრეტულ პარტიასთან ან კანდიდატთან ან მიზნად ისახავს კონკრეტული პარტიის ან კანდიდატის მიმართ ხელსაყრელი აღქმის ჩამოყალიბებას. „სახელმძღვანელო პრინციპების“ II.B.1.1 პარაგრაფის თანახმად „სამართლებრივმა ჩარჩომ უნდა უზრუნველყოს ეფექტური მექანიზმები, რათა საჯარო თანამდებობის პირებს აკრძალოთ მათი პოზიციით წარმოქმნილი უპირატესობის არასამართლიანი გამოყენება საარჩევნო კამპანიის მიზნებისთვის ოფიციალური, საჯარო ღონისძიებების გამართვით, მათ შორის საქველმოქმედო ღონისძიებების, ან ღონისძიებების, რომლებიც რომელიმე პარტიის ან კანდიდატისთვის ხელსაყრელი ან არახელსაყრელია.“

საქართველო

მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები, 2021 წლის 2 და 30 ოქტომბერი

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისია საბოლოო ანგარიში

X. წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსება

წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსება მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ ორგანული კანონით, საარჩევნო კოდექსით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ კანონითა და ასევე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სხვა ქვემდებარე სამართლებრივი აქტებით რეგულირდება. დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიისა და ევროპის საბჭოს კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოთა ჯგუფის ზოგიერთი წინა რეკომენდაცია გათვალისწინებულ იქნა 2020 წლის საკანონმდებლო ცვლილებებში, მათ შორის, რეგულაციების დამოუკიდებელ კანდიდატებზე გავრცელების, ანგარიშების გამოქვეყნების, ჯარიმების გაზრდისა და მესამე მხარის მიერ სახსრების ხარჯვისთვის ჯარიმების დაწესება. გაუთვალისწინებელი რეკომენდაციები მოიცავს შემოწირულებებისა და ხარჯების ზღვრის დაწევას, შუალედურ ანგარიშებზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნის არჩევნების დღემდე გამოცემის დაწესება და ზედამხედველობის გაძლიერება.⁷² მთლიანობაში, დარჩენილი საკანონმდებლო ხარვეზები და მარეგულირებელი ჩარჩოს შეზღუდული აღსრულება ამცირებს გამჭვირვალობას და კამპანიის ფინანსების ანგარიშვალდებულებას.

კამპანიის დაფინანსების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გასაზრდელად, სასურველია კანონმდებლობის შემდგომი გადახედვა დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიისა და ევროპის საბჭოს კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოთა ჯგუფის წინა რეკომენდაციების გასათვალისწინებლად.

საპარლამენტო პოლიტიკური პარტიები იღებენ წლიურ სახელმწიფო დაფინანსებას ბოლო საპარლამენტო არჩევნებში მიღებული ხმების პროპორციულად, რომელიც ასევე შეიძლება გამოიყენონ კამპანიისათვის.⁷³ 2021 წლის ცვლილებების თანახმად, პარტიის სახელმწიფო დაფინანსება წყდება, თუ მისი დეპუტატების ნახევარი დატოვებს პარტიას ან თუ ისინი არ ესწრებიან რეგულარული საპარლამენტო პლენარული სხდომების ნახევარზე მეტს.⁷⁴

⁷² იხ. ევროპის საბჭოს კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოთა ჯგუფის (GRECO) [ანგარიშები საქართველოს შესახებ](#) და [დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის სადამკვირვებლო მისიის წინა არჩევნებზე დაკვირვების ანგარიშები საქართველოს შესახებ](#).

⁷³ პარტიები, პირველ 50,000 მიღებულ ხმაზე, თითო ხმაში 15 ლარს იღებენ და 5 ლარს ყოველ დამატებით ხმაზე. 2021 წლისთვის 14 მილიონი ლარი განაწილდა 14 პარტიაზე, მათ შორის დაახლოებით 5 მილიონი მიეცა "ქართულ ოცნებას", 2 მილიონი - "ნაციონალურ მოძრაობას", თითო მილიონი "ევროპულ საქართველოს", "პატრიოტთა ალიანსს" და "სტრატეგია აღმაშენებელს", 780,000 ლარი სათითაოდ "ლელოსა" და "გირჩის", ნახევარი მილიონი სათითაოდ "მოქალაქეებს" და "ევროპულ დემოკრატებს", 240,000-მდე - "მოძრაობას სახელმწიფო ხალხისთვის", 290,000 - ლეიბორისტულ პარტიას, 200,000 - "რესპუბლიკურ პარტიას", 100,000 "კანონსა და სამართლიანობას" და 12,000 - "პროგრესი და თავისუფლებას".

⁷⁴ საკანონმდებლო ცვლილებები ძალაშია 2022 წლის თებერვლიდან. დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის და ვენეციის კომისიის ერთობლივ გადაუდებელ [მოსაზრებაში](#), რომელიც შეეხებოდა საქართველოს საარჩევნო კოდექსში, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ

საქართველო

მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები, 2021 წლის 2 და 30 ოქტომბერი

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისია საბოლოო ანგარიში

წლიური ლიმიტი ფიზიკური პირების შემოწირულობებისთვის არის 60,000 ლარი და იურიდიული პირებისათვის 120,000 ლარი.⁷⁵ ყველა ფულადი შემოწირულობა უნდა გაკეთებულიყო გადარიცხვით. იკრძალება შემოწირულობების მიღება საჯარო და არაკომერციული იურიდიული პირების, რელიგიური ორგანიზაციების, უცხოური წყაროების, ზოგიერთი სახის საჯარო კონტრაქტორებისაგან, ანონიმური წყაროებიდან, შუამავლების მეშვეობით ან იმ დონორებისაგან, რომელთა რეგულარული გაცხადებული შემოსავალი არ მიიჩნევა საკმარისად. თითოეულ არჩევნებში მონაწილე სუბიექტს შეეძლო ქვეყნის მასშტაბით დაეხარჯა 50 მილიონ ლარამდე, რაც ერთ ამომრჩეველზე 15 ლარს შეადგენდა. მესამე მხარეთა მიერ კონკრეტულ კანდიდატთა სასარგებლოდ გაწეული ხარჯები ასევე სასურველია იყოს გაცხადებული კანდიდატთა მიერ და დაანგარიშდეს ლიმიტის ფარგლებში. პარტიებისთვის ეს ლიმიტი მოიცავს მთელი წლის განმავლობაში გაწეულ ხარჯებს, ხოლო დამოუკიდებელი კანდიდატებისთვის მხოლოდ კამპანიის დაწყების შემდეგ გაწეულ ხარჯებს.⁷⁶

პარტიებს მოეთხოვებოდათ კამპანიის ყველა ტრანზაქციის ერთი ანგარიშის მეშვეობით განხორციელება, ხოლო დამოუკიდებელ კანდიდატებს მოეთხოვებოდათ სპეციალური საბანკო ანგარიშების გახსნა. პარტიებს და დამოუკიდებელ კანდიდატებს მოეთხოვებოდათ სახელმწიფო აუდიტის სამსახურისათვის ფინანსური ანგარიშის წარდგენა არჩევნების გამოცხადებიდან ყოველ სამ კვირაში. პარტიის მიერ წარდგენილ კანდიდატებს შეეძლოთ მხოლოდ თავიანთი პარტიების სახსრების გამოყენება და, შესაბამისად, არ იყვნენ ფინანსებზე დამოუკიდებლად ანგარიშვალდებული. კამპანიის ფარგლებში, “ქართულმა ოცნებამ” განაცხადა, რომ მიიღო და დახარჯა დაახლოებით 15 მილიონი ლარი, ხოლო ყველა კანდიდატის მიერ ერთობლიობაში გაცხადებული შემოწირულობისა და ხარჯის საერთო რაოდენობა 22 მილიონი ლარი იყო.⁷⁷ კამპანიების შემოსავლებისა და ხარჯების მხრივ მნიშვნელოვანმა დისბალანსმა ასპარეზობის უთანასწორო პირობების შექმნას შეუწყო ხელი. დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიასთან საუბარში ზოგიერთი აღნიშნავდა, რომ პარტიების უშუალოდ

კანონსა და პარლამენტის რეგლამენტში შესატანი ცვლილებების კანონპროექტებს, ამ საკანონმდებლო ცვლილებების ხელახლა გადახედვას რეკომენდაცია გაუწია.

⁷⁵ შემოწირულობა შეიძლება იყოს როგორც ფულადი, ისე არამატერიალური სახის.

⁷⁶ პარტიებისთვის წლიური საარჩევნო ხარჯების საერთო ოდენობის ზედა ზღვარი გასული წლის მთლიანი შიდა პროდუქტის 0,1 პროცენტია. დამოუკიდებელი მაჟორიტარი კანდიდატისთვის პოლიტიკური პარტიის ხარჯების ზედა ზღვარი ქვეყნის მასშტაბით ამომრჩეველთა რაოდენობაზე უნდა გაიყოს და მიღებული რიცხვი შესაბამისი საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა რაოდენობაზე უნდა გამრავლდეს.

⁷⁷ ფინანსური ანგარიშების მიხედვით 2 აგვისტოდან 2 ოქტომბრამდე „ქართული ოცნების“ შემოწირულობების საერთო რაოდენობა 12,5 მილიონ ლარს შეადგენდა, „ლელოსი“ - 2,3 მილიონს, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ - 1,8 მილიონს, „გახარია საქართველოსთვის“ - 1 მილიონს, „ევროპული საქართველოსი“ - 0,8 მილიონს, „მოქალაქეებისთვის“ - 0,4 მილიონს, „მესამე ძალა - სტრატეგია აღმაშენებლის“ - 0,3 მილიონს, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ - 0,2 მილიონს. ეს მაშინ, როდესაც სხვა საარჩევნო სუბიექტებმა გაცილებით მცირე თანხები ან შემოწირულობების არქონა დააფიქსირეს. დაფიქსირდა იგივე ოდენობის ხარჯები.

საქართველო

მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები, 2021 წლის 2 და 30 ოქტომბერი

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისია

საბოლოო ანგარიში

ხალხისგან დაფინანსება მწირია და უმეტესად მსხვილ კორპორაციულ დონორებს ეყრდნობოდნენ.⁷⁸

სახელმწიფო აუდიტის სამსახური აღჭურვილია პარტიებისა და კამპანიების დაფინანსების ზედამხედველობის მანდატით. მან კანდიდატთა ფინანსური ანგარიშები თავის ვებგვერდზე გამოაქვეყნა მიღებიდან ხუთ დღეში, როგორც ამას კანონი მოითხოვს.⁷⁹ პირველი ტურის ბოლო სამი კვირის ანგარიშები უნდა გამოქვეყნებულიყო და გამოქვეყნდა არჩევნების მეორე დღეს, ხოლო მეორე ტურისა უნდა გამოქვეყნებულიყო მეორე ტურამდე სამი დღით ადრე და გამოქვეყნდა არჩევნების დღეს. ამ ანგარიშების გამოქვეყნების დრომ შეამცირა საზოგადოების მიერ მათი დროულად განხილვის შესაძლებლობა.⁸⁰ სამართლებრივი მოთხოვნის არარსებობის პირობებში, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გამოაქვეყნა თავისი დასკვნა მხოლოდ პირველი ტურის წინა საღამოს, ხოლო მეორე ტურის წინ არავითარი დასკვნა არ გამოუქვეყნებია, რამაც შეამცირა ზედამხედველობის ეფექტიანობა. კანდიდატთა საბოლოო ანგარიშები უნდა წარდგენილიყო არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებიდან ერთი თვის შემდეგ.

სასურველია, ზედამხედველობის ეფექტურობის გასაზრდელად, პარტიათა და კამპანიათა დაფინანსების აუდიტი მოიცავდეს არგაცხადებული შემოსავლებისა და ხარჯების იდენტიფიცირებას. შესაძლებელია ეფექტური მეთოდების შემოღება კამპანიის ხარჯების, მათ შორის – მედია და ონლაინკამპანიებისათვის გაწეული ხარჯების მოცულობის მონიტორინგისა და შეფასებისათვის.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გამოიკვლია “ქართული ოცნების” 92 დონორი, რომლებიც, სავარაუდოდ, შეიძლებოდა ყოფილიყვნენ შემომწირველების შუამავლები ან შემოწორილობის დროს ზეწოლის ქვეშ იმყოფებოდნენ. სახელმწიფო აუდიტის სამსახური დარწმუნდა, რომ შემოწირულებები გაკეთდა დასაშვები ზღვრების ფარგლებში და რომ შემომწირველებს ჰქონდათ საკმარისი შემოსავალი შემოწირულობის გასამართლებლად, მაგრამ არ ჩაუტარებია შემდგომი კვლევა რათა მათი შუამავლებად გამოყენება გამოერიცხა.⁸¹ იმ ანტიკოოპოზიციური

⁷⁸ დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიასთან მოსაუბრეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ქართულმა ოცნებამ 2012 წელს რამდენიმე ე.წ. პოლიტკატიმარი გაათავისუფლა, მათ შორის რამდენიმე ბიზნესმენი, რომლებიც, სავარაუდოდ, იყვნენ ქართული ოცნების ერთგული მხარდამჭერები და სპონსორები.

⁷⁹ ონლაინკამპანიის ხარჯები რეგულირდება გენერალური აუდიტორის დადგენილებით, რაც ცალკე აისახება ანგარიშებში.

⁸⁰ სულ 48 პარტიამ და 38 დამოუკიდებელმა კანდიდატმა წარადგინა 2-იდან 22 აგვისტომდე პერიოდის პირველი ანგარიში 26 აგვისტოს, მეორე ანგარიში - რომელიც მოიცავდა 23 აგვისტოდან 12 სექტემბრამდე პერიოდის - 16 სექტემბერს, ხოლო მესამე ანგარიში 32 პარტიამ და 26 დამოუკიდებელმა კანდიდატმა 7 ოქტომბერს წარადგინეს.

⁸¹ “ქართული ოცნების” 92 დონორიდან ყველა სამცხე-ჯავახეთიდან იყო და 2-დან 16 აგვისტოს ჩათვლით შემოწირულებებმა 714 000 ლარი შეადგინა. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გადაამოწმა მათი საგადასახადო დეკლარაციები და გამოიკითხა ერთ-ერთი მათგანი.

საქართველო

მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები, 2021 წლის 2 და 30 ოქტომბერი

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისია

საბოლოო ანგარიში

ბილბორდების საქმის კვლევისას, რომლებზეც არ იყო დატანილი კანონით მოთხოვნილი ნიშნები, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გამოავლინა პირი, რომელმაც გადაიხადა მათი საფასური და დარწმუნდა, რომ ეს ხარჯი არ აღემატებოდა შემოწირულებისათვის დადგენილ ზღვარს.⁸² თუმცა, აღნიშნა, რომ ანონიმური ბილბორდები არ შეიძლება ჩაითვალოს რომელიმე კანდიდატის სასარგებლოდ მესამე პირის კამპანიად ან არამატერიალურ შემოწირულებად, რადგან შეუძლებელია სარგებლის მიმღები კანდიდატის იდენტიფიცირება, და მათ ჩამოსახსნელად ნაბიჯები არ გადადგმულა.⁸³ სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გამოიკვლია პოლიტიკური პარტია გირჩის მიერ საოლქო საარჩევნო კომისიის თანამდებობების აუქციონზე გატანის შედეგად შემოსული თანხის ორგანიზაცია „საქართველოს ქრისტიანული, ევანგელური, პროტესტანტული ეკლესია - ბიბლიური თავისუფლების“ ანგარიშზე დარიცხვის საკითხი.⁸⁴

რეგულაციების გვერდის ავლის თავიდან ასაცილებლად, სასურველია ზომების გატარება იმაში დასარწმუნებლად, რომ ანონიმური არამატერიალური შემოწირულებები და მესამე პირები, რომლებიც კამპანიას მართავენ, სათანადოდ არიან იდენტიფიცირებული, ხოლო შემდეგ საჭიროა ეფექტური ნაბიჯების გადადგმა კანონის აღსასრულებლად.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურს მოეთხოვება სასამართლოს დადგენილება დონორების გამოკითხვისა და მათი შემოსავლების დეკლარაციებისა და საბანკო ანგარიშების შესამოწმებლად. ამასთანავე, არ არსებობს დაჩქარებული ვადები საჩივრების განხილვის ან სხვა დაწესებულებებიდან ინფორმაციის მისაღებად.⁸⁵ დაჩქარებული ვადების არარსებობის გამო, ყველა გამოძიება კვლავ გრძელდებოდა მეორე ტურის შემდეგ, ხოლო სავარაუდო დარღვევები ხდებოდა აგვისტოს დასაწყისიდან სექტემბრის შუა რიცხვებამდე. მეორე ტურის შემდეგ სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა სასამართლოში გადაგზავნა საქმე გირჩის წინააღმდეგ და მოითხოვა პასუხისმგებლობის ზომის დაკისრება ხუთი პარტიისა და 18 დამოუკიდებელი კანდიდატის მიმართ კამპანიის ფინანსური ანგარიშის წარდგენის

⁸² ეს ანონიმური ანტიოპოზიციური ბილბორდები ოპოზიციის ლიდერების, ტელევიზიის მფლობელისა და ჟურნალისტის გამოსახულებით თბილისსა და სხვა ქალაქებში 18 სექტემბრისთვის გამოჩნდა. სამი საჩივრის პასუხად ცესკომ დაადგინა, რომ ეს ბილბორდები არ იყო კამპანიის ნაწილი, რა შემთხვევაშიც გამოიყენა კანონის ვიწრო ინტერპრეტაცია.

⁸³ იხ. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანების უფლებების ოფისის და ვენეციის კომისიის [სახელმძღვანელო პოლიტიკური პარტიების რეგულირების შესახებ](#), პარაგრაფები 218-222, რომლებიც ითვალისწინებს არამატერიალური შემოწირულებების რეგულირების აუცილებლობას, მათ შორის, მესამე პირებისაგან.

⁸⁴ “გირჩი” საჯაროდ მოითხოვდა თანხის ამ ორგანიზაციის ანგარიშზე ჩარიცხვას.

⁸⁵ სახელმწიფო აუდიტის სამსახურს აქვს 20 დღიანი ვადა საჩივრების განხილვისთვის, რომელიც შეიძლება გაგრძელდეს დამატებით 20 დღით.

საქართველო

მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები, 2021 წლის 2 და 30 ოქტომბერი

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისია საბოლოო ანგარიში

ზოგიერთი ან ყველა საანგარიშო პერიოდის დარღვევისათვის.⁸⁶ პასუხისმგებლობის ზომები ითვალისწინებს გაფრთხილებას, ჯარიმებს, სახელმწიფო დაფინანსების ჩამორთმევას, ისე როგორც კანდიდატის რეგისტრაციის გაუქმებას არჩევნების საბოლოო შედეგების შემდეგ იმ დარღვევისათვის, რომლებსაც შეეძლო გავლენა მოეხდინა არჩევნების შედეგებზე. მთლიანობაში, დაჩქარებული ვადების არ არსებობის და აღსრულების მხრივ არსებული შეზღუდვების გამო კამპანიის დაფინანსება არასაკმარისად რეგულირებული აღმოჩნდა.

კამპანიის დაფინანსების ზედამხედველობის გასაუმჯობესებლად სასურველია გატარდეს ზომები ინსტიტუციური თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად და სახელმწიფო აუდიტის სამსახურისათვის იმ მონაცემთა ბაზებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, რომლებიც აუცილებელია შემოწირულებათა კანონიერების დასადგენად, ასევე რეკომენდირებულია ვადების შემცირება ინფორმაციის გაცვლისა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გამოვლენილ დარღვევებზე რეაგირებისათვის.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა განაცხადა, რომ არ შეუძლია გაუცხადებელი შემოსავლისა და ხარჯვის იდენტიფიცირება და დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიას მიაწოდა ინფორმაცია, რომ არ მიიჩნევს თავს საკმარისად დამოუკიდებლად პარტიათა ფინანსების აუდიტისათვის, რაკი პარლამენტზეა დამოკიდებული. იმ დროს, როდესაც სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დაფინანსება კანონით არის გარანტირებული, მისი ხელმძღვანელობის დანიშვნისა და გათავისუფლების მეთოდი სრულად ვერ უზრუნველყოფს მისი დამოუკიდებლობის გარანტირებას.⁸⁷

კამპანიის დაფინანსების ზედამხედველობის გასაუმჯობესებლად სასურველია გატარდეს ზომები ზედამხედველი ორგანოს დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად და იმისათვის, რომ ეს ზედამხედველი ორგანო სრულად ფლობდეს მანდატსა და რესურსს კამპანიის ხარჯების მონიტორინგისა და კამპანიის ანგარიშგებათა სრულყოფილად განსახილველად.

⁸⁶ კამპანიის დაწყებამდე პარტიებისთვის დაწესებული სანქციები მოიცავდა ლელოს 77,920 ლარის ჯარიმას უკანონო შემოწირულებებისთვის, 10,000 ლარის ჯარიმას „ქართული არჩევანისთვის“ 2020 წლის კამპანიის საბოლოო ფინანსური ანგარიშისა და წლიური ფინანსური ანგარიშის აუდიტისათვის არ წარდგენის გამო, ასევე გაფრთხილებები „დემოკრატიული განახლების“ და „დამცველთა ერთიანობის“ მიმართ წლიური ფინანსური ანგარიშების არ წარდგენის გამო.

⁸⁷ სახელმწიფო აუდიტის შესახებ კანონის საფუძველზე, მის დაფინანსებას ამტკიცებს პარლამენტი და დაფინანსება შესაძლებელია წინა წლის ანალოგიური იყოს ან უფრო მეტი. არჩეული აუდიტორის გადაყენება შესაძლებელია პარლამენტის უბრალო უმრავლესობით, საკონსტიტუციო სასამართლოს თანხმობის მიღების შემდეგ.

საქართველო

მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები, 2021 წლის 2 და 30 ოქტომბერი

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისია
საბოლოო ანგარიში

XI. ეროვნულ უმცირესობათა მონაწილეობა

ბოლო აღწერის მიხედვით, ეროვნული უმცირესობები შეადგენს მოსახლეობის 13,2 პროცენტს, ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფებს წარმოადგენენ ეთნიკური აზერბაიჯანელები (6,3 პროცენტი) და სომხები (4,5 პროცენტი).⁸⁸ კონსტიტუცია ეროვნულ უმცირესობებს ანიჭებს სრულ პოლიტიკურ უფლებებს და კრძალავს დისკრიმინაციას ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური ან ენობრივი ნიშნით, ასევე ისეთი პოლიტიკური პარტიების ფორმირებას, რომლებიც ქადაგებენ ეთნიკურ დაპირისპირებას, და ტერიტორიულ პრინციპზე დაფუძნებული პოლიტიკური პარტიების შექმნას. საარჩევნო კოდექსის მიხედვით საარჩევნო პლატფორმა არ უნდა აღვივებდეს ეთნიკურ შუღლს.

მაშინ როცა ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებული პირები გვხვდებიან მერობისა და საკრებულოს კანდიდატებად ეროვნული უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ ზოგიერთ რეგიონში, თავიანთი მოსახლეობის რაოდენობასთან შედარებით ისინი ნაკლებად არიან წარმოდგენილნი თბილისსა და იმ რეგიონებში, სადაც უმცირესობები ცხოვრობენ.⁸⁹ ეროვნულ უმცირესობას მიკუთვნებული ქალები წარმოდგენილი იყვნენ პარტიული სიების უმეტესობაში, განსაკუთრებით სომხებით დასახლებულ ტერიტორიებზე, მაგრამ ნაკლებად იყვნენ წარმოდგენილი მაჟორიტარ კანდიდატებად. დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიასთან საუბარში მრავალი აღნიშნავდა, რომ უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიებზე უმცირესობის წარმომადგენელი ზოგიერთი კანდიდატი აიძულეს მოეხსნა თავისი კანდიდატურა.⁹⁰ ეთნიკური უმცირესობების საკითხებს საარჩევნო კამპანიაში მნიშვნელოვანი ადგილი არ ეკავა, გარდა ინტეგრაციის მხარდაჭერის, ახალგაზრდობის განათლებისა და სახელმწიფო ენის ცოდნის დონის შესახებ ადგილობრივი გზავნილებისა.

⁸⁸ იხ. საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერა (2014). სხვა უმცირესობები მოიცავს: რუსები - 0.7 პროცენტი, ოსები - 0.4, იეზიდები - 0.3, უკრაინელები - 0.2, ქისტები - 0.2, ბერძნები - 0.1, ასირიელები - 0.1, სხვები - 0.4. მოსახლეობის აღწერა არ მოიცავს ხელისუფლების მიერ არაკონტროლირებად ტერიტორიებს.

⁸⁹ რამდენიმე ეროვნული უმცირესობის მერობის კანდიდატია ახალქალაქში, ნინოწმინდასა და მარნეულში, მაგრამ ნაკლებად - სხვა უმცირესობებით დასახლებულ ქალაქებსა თუ მუნიციპალიტეტებში. საკრებულოს წევრობის კანდიდატებს შორის ბევრ, მაგრამ არა ყველა უმცირესობებით დასახლებულ რაიონში არის ეროვნული უმცირესობის რამდენიმე წარმომადგენელი.

⁹⁰ ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ განაცხადა, რომ კანდიდატურის მოხსნის მოთხოვნის მიზნით ზეწოლა განხორციელდა ერთ ეთნიკურად აზერბაიჯანელ კანდიდატზე ყარაჯალაში; რამდენიმე ეთნიკურად სომეხ კანდიდატზე ახალქალაქში, დილისკასა და ბეჟანოში, ისევე როგორც ნინოწმინდაში. მედიის ცნობით, რამდენიმე ეთნიკურად სომეხ კანდიდატზე (“ევროპული საქართველო”, “გახარია საქართველოსთვის”, “ლელო”, “ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”) ახალქალაქსა და ნინოწმინდაში, და რამდენიმე ეთნიკურად აზერბაიჯანელ კანდიდატზე (“გახარია საქართველოსთვის”, “ევროპული საქართველო”) მარნეულში, ასევე “გახარია საქართველოსთვის” კანდიდატებზე კაბალიში და ყარაჯალაში ანალოგიური ზეწოლა განხორციელდა. გენერალურმა პროკურატურამ განაცხადა რომ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება დაიწყო.

საქართველო

მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები, 2021 წლის 2 და 30 ოქტომბერი

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისია

საბოლოო ანგარიში

ეთნიკური სომხები შედარებით უკეთ იყვნენ წარმოდგენილი საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებს შორის ეთნიკური სომხებით დასახლებულ რეგიონებში. ეთნიკური აზერბაიჯანელები წარმოდგენილი იყვნენ საოლქო საარჩევნო კომისიების მხოლოდ მცირე რაოდენობის წევრებით, მაგრამ საკმაოდ იყვნენ წარმოდგენილი ზოგიერთი საუბნო საარჩევნო კომისიაში ეთნიკური აზერბაიჯანელებით მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიებზე, თუმცა, შესამჩნევი იყო გენდერული დისბალანსი, რაკი ისინი უმეტესად მამაკაცები იყვნენ.⁹¹ კანონის შესაბამისად, ამომრჩეველთა სიები, ბიულეტენები, ოქმები და სარეგისტრაციო ჟურნალები თარგმნილი იყო საუბნო საარჩევნო კომისიებისათვის უმცირესობებით დასახლებულ ტერიტორიებზე. საუბნო საარჩევნო კომისიები ამ ტერიტორიებზე ასევე მომზადებული იყვნენ ცესკოს მიერ სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

XII. მედია

ა. მედიაგარემო

მედია ლანდშაფტი მრავალფეროვანია, მაგრამ ძლიერ არის დამოკიდებული ბიზნესსა თუ პოლიტიკურ ინტერესებზე და უმეტესწილად ასახავს პოლარიზაციას მმართველ და ოპოზიციურ პარტიებს შორის. ტელევიზია კვლავ არის ინფორმაციის ძირითადი წყარო მოსახლეობის უმრავლესობისთვის, თუმცა ონლაინმედია თანდათან იკიდებს ფეხს, ძირითადად ურბანულ ცენტრებში.⁹² მედიასექტორი მოიცავს 106 სატელევიზიო არხს, მათ შორის 14 ეროვნულ მაუწყებელს, 53 რადიომაუწყებელს და 7 ეროვნულ ბეჭდურ გამოცემას.

ბევრი მედია საშუალების სარედაქციო პოლიტიკას განსაზღვრავს პარტიული მიდგომები და დღის წესრიგი. სარეკლამო ბაზრის შედარებით სიმცირის გამო, მედიის სიცოცხლისუნარიანობა კვლავ გამოწვევაა. მთავარი კერძო ნაციონალური ტელევიზიები ძირითადად პარტიულ ხაზს ატარებენ: *იმედი TV* არის სატელევიზიო არხი, რომელსაც ყველაზე დიდი აუდიტორია ჰყავს და *მაესტროსა* და *Pos TV-სთან* ერთად აქტიურად უჭერს მხარს მთავრობასა და მმართველ პარტიას, ხოლო ოპოზიციისადმი კრიტიკულია. საპირისპიროდ, *მთავარი არხი*, *პირველი TV* და *ფორმულა TV* მმართველი პარტიის მიმართ არიან კრიტიკული.

საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება, ორ სატელევიზიო არხს და ორ რადიოსადგურს მართავს, საზოგადოებრივ

⁹¹ ცენტრალური საარჩევნო კომისიის თანახმად ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ 12 საოლქოში საოლქო კომისიის სამი წევრი იყო აზერბაიჯანულ ენაზე მოსაუბრე (კაცი), 15 კი სომხურ ენაზე მოსაუბრე (13 ქალი), მათ შორის ორი თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და კომისიის მდივანი სომხურ ენაზე მოსაუბრე წევრებს შორის; 643 იყო აზერბაიჯანულ ენაზე მოსაუბრე საუბნო კომისიის წევრი (104 ქალი) და 633 სომხურ ენაზე მოსაუბრე საუბნო კომისიის წევრი (328 ქალი).

⁹² იხ. მედიალანდშაფტი – ექსპერტთა ანალიზი მედიის მდგომარეობის შესახებ, [ციფრული მედია საქართველოში](#).

საქართველო

მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები, 2021 წლის 2 და 30 ოქტომბერი

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისია

საბოლოო ანგარიში

მაუწყებელს ჰყავს შედარებით მცირე აუდიტორია და შეზღუდული საგამომიებო ჟურნალისტური პროგრამები.⁹³ *აჭარა TV* რეგიონალური საზოგადოებრივი ტელევიზიაა. იგი დამოუკიდებელია საზოგადოებრივი მაუწყებლისაგან. რეგიონალურ და ადგილობრივ მედიას შეუძლია დაეყრდნოს მხოლოდ მეტად მწირ სარეკლამო შემოსავლებს, რაც საგრძნობლად ზემოქმედებს მათ უნარზე, შექმნან ხარისხიანი საინფორმაციო პროგრამები. მრავალი მათგანი დამოკიდებულია ადგილობრივი ხელისუფლების ან საერთაშორისო დონორების ფინანსურ დახმარებაზე.

გასული წლის განმავლობაში მედიაგარემო საგრძნობლად გაუარესდა ჟურნალისტებზე თავდასხმების, ასევე სავარაუდო დაშინებებისა და მუქარების გამო, რომლებმაც ბოლო ხანს იჩინა თავი, რაც იწვევს შეშფოთებას ჟურნალისტების უსაფრთხო და დაცულ გარემოში მუშაობის შესაძლებლობის შესახებ. დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიასთან საუბარში ზოგიერთი ხაზგასმით აღნიშნავდა მედიის მიმართ მმართველი პარტიის ნეგატიური რიტორიკის გაზრდას და სამართალდამცავი ინსტიტუტების მიერ დროულ გამოძიებისა და სამართლებრივი დევნის ნაკლებობას. განსაკუთრებით შემაშფოთებელია სათანადო რეაგირების არარსებობა მედიაპროფესიონალებზე ძალადობრივ თავდასხმებთან დაკავშირებით 2021 წლის 5 ივლისს თბილისი პრაიდის მარშის წინააღმდეგ დემონსტრაციების დროს, როდესაც 53 პირი დაზარალდა. ამ მიმართებით, ეუთოს წარმომადგენელმა მედიის თავისუფლების საკითხებში მოუწოდა ხელისუფლებას დაასრულოს ბოლო წლებში მედიის წარმომადგენლების მიმართ ძალადობისა და არასათანადო მოპყრობის ყველა შემთხვევის გამოძიება.⁹⁴

საარჩევნო კამპანიის დროს განახლდა რამდენიმე სასამართლო საქმე ხელისუფლების ან მმართველი პარტიისადმი კრიტიკული მედიის მფლობელების მიმართ, რაც, როგორც დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიასთან საუბარში ზოგიერთი აცხადებს, კრიტიკულ მედიაზე სასამართლოს გზით ზეწოლისთვის იყო გამიზნული.⁹⁵ მედიის მიმართ სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის 30-ზე მეტი შემთხვევის შესახებ განაცხადეს არასამთავრობო ორგანიზაციებმა და მედიამ როგორც კამპანიის მსვლელობისას, ისე არჩევნების დღეს. მედიის უფლებათა აქტივისტები ჩიოდნენ, ამ შეურაცხყოფათა ჩამდენები იშვიათად არიან იდენტიფიცირებული და შესაბამის შემთხვევებს იშვიათად იძიებენ, ასევე აღნიშნავდნენ, რომ

⁹³ იხ. საზოგადოებრივი მაუწყებლის [აუდიტორიის კვლევა, მაისი 2021](#).

⁹⁴ იხ. მედიის თავისუფლების საკითხებში ეუთოს წარმომადგენლის [2021 წლის 6 ივლისის განცხადება](#).

⁹⁵ 2021 წლის სექტემბერში, სექტემბერში ტელეკომპანია „ფორმულას“ მფლობელი და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პერიოდის ყოფილი თავდაცვის მინისტრი, დავით კეზერაშვილი, თანხის მითვისებასა და გაფლანგვაში დამნაშავედ ცნეს. კეზერაშვილის ამ საქმის ერთ-ერთი მოსამართლე უზენაეს სასამართლოში, საქართველოს ყოფილი გენერალური პროკურორი იყო, რომლის პროკურორობის დროსაც პროკურატურამ კეზერაშვილს ბრალდება წარუდგინა. „მთავარი არხის“ დირექტორის, ნიკა გვარამიას, მიმართ სამართლებრივი დევნა თანხის მითვისების ბრალდებით, ტელეკომპანია „პირველის“ მფლობელის ნათესავის, ავთანდილ წერეთლის, მიმართ კი, ფულის გათეთრების ბრალდებით მიმდინარეობს. ამ საქმეების წარმოება შესაბამისად 2012 და 2019 წლებში დაიწყო.

საქართველო

მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები, 2021 წლის 2 და 30 ოქტომბერი

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისია
საბოლოო ანგარიში

რამდენიმე გამოძიების სტატუსი ჯერ კიდევ უცნობია საჯარო ინფორმაციის ნაკლებობის გამო.⁹⁶

სასურველია, ხელისუფლებამ შეასრულოს თავისი ვალდებულება რათა დაიცვას მედიის წარმომადგენლები დაცვის ეფექტური და დროული ზომების გატარებით. ხელისუფლებამ სასურველია გადაუდებლად გამოიძიოს და მართლმსაჯულებას გადასცეს ისინი, ვინც მონაწილეობდნენ თავდასხმებში, ჟურნალისტებისა და მედიააქტორების არასათანადო მოპყრობაში.

ბ. სამართლებრივი ჩარჩო

არსებული საკანონმდებლო ჩარჩო იძლევა მყარ საფუძველს გამოხატვის თავისუფლებისა და მედიის უფლებებისთვის. კონსტიტუცია უზრუნველყოფს სიტყვისა და პრესის თავისუფლებას და კრძალავს ცენზურას. გამოხატვის თავისუფლების შესახებ 2004 წლის კანონით დეკრიმინალიზებულია ცილისწამება და ჟურნალისტებს არ მოეთხოვებათ კონფიდენციალური ინფორმაციის წყაროს გამჟღავნება. 1999 წლის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ინფორმაციის თავისუფლების ნაწილი უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლებას.

“მაუწყებლობის შესახებ“ კანონი ადგენს სიხშირეებზე ლიცენზიების მოპოვების წესს და ადგენს საზოგადოებრივი მაუწყებლის დაფუძნების სამართლებრივ საფუძველს. ის ასევე ავალდებულებს როგორც საჯარო, ისე კერძო მაუწყებელს, რომ საინფორმაციო გადაცემებში უზრუნველყონ ყველა რელევანტური მოსაზრების პლურალისტურად და არადისკრიმინაციულად გაშუქება. საარჩევნო კოდექსი მოითხოვს სამაუწყებლო მედიისაგან პატივი სცეს მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის პრინციპებს, იგი შეიცავს წინასაარჩევნო პერიოდში მედიის მარეგულირებელ დეტალურ დებულებებს. მაუწყებლები ვალდებული არიან კანდიდატებს დაუთმონ უფასო საეთერო დრო, მოაწყონ დებატები

⁹⁶ მედიის ადვოკატების კოალიციამ მეორე რაუნდის შემდეგ [განაცხადა](#), რომ "მაღალი თანამდებობის პირების აგრესიული რიტორიკა მყისირად აიტაცეს და გამოვლინდა მმართველი პარტიის მხარდამჭერების ქცევაში. არჩევნების დღეს მედიის წარმომადგენლები თითქმის ყველა ოლქში თავდასხმების სამიზნე გახდნენ." პირველ და მეორე ტურებს შორის, კოალიციამ გახსნა ცხელი ხაზი მედიის წარმომადგენლებისათვის სადაც, თავდასხმებისა და არასათანადო მოპყრობის შემთხვევაში სთავაზობდნენ სამართლებრივ დახმარებას. იხ. [მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec\(2016\)4 წევრ სახელმწიფოების ჟურნალისტების დაცვისა და ჟურნალისტების და სხვა მედიააქტორების უსაფრთხოების შესახებ](#) ხაზგასმით აღნიშნავს: "გრძელვადიანი ზომებია საჭირო საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე ჟურნალისტების დაცვისა და ჟურნალისტებისა და მედიის სხვა აქტორების უსაფრთხოების გასაძლიერებლად და დაუსჯელობის აღმოსაფხვრელად."

საქართველო

მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები, 2021 წლის 2 და 30 ოქტომბერი

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისია

საბოლოო ანგარიში

უფლებამოსილ საარჩევნო სუბიექტებს შორის და უზრუნველყონ თანაბარი პირობები ფასიანი სარეკლამო კამპანიისათვის.⁹⁷

კომუნიკაციების კომისია არის „მაუწყებლობის შესახებ“ კანონის დებულებისა და საარჩევნო კოდექსის ნებისმიერი მაუწყებლის მიერ დაცვის მარეგულირებელი და საზედამხედველო ორგანო. პირველი ტურის კამპანიის დროს მედიამარეგულირებელმა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის გამოქვეყნების რვა დარღვევა და ორი პარტიის პოლიტიკური რეკლამის განთავსებაზე უარის თქმასთან დაკავშირებული სამი დარღვევა დააფიქსირა.⁹⁸ არჩევნების პირველსა და მეორე ტურს შორის მან საარჩევნო რეკლამასთან დაკავშირებულ დარღვევებზე ორი კერძო არხის წინააღმდეგ სამი დამატებითი ადმინისტრაციული ოქმი გამოსცა.⁹⁹

გ. მედიამონიტორინგის დასკვნები

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის მედიამონიტორინგმა დაასკვნა, რომ სატელევიზიო არხები ფართოდ ამუშებდნენ არჩევნებსა და პოლიტიკურ საკითხებს. თუმცა, ზოგიერთ კერძო არხს,

⁹⁷ პირველი რაუნდისათვის, 186-ე მუხლი ავალდებულებს საზოგადოებრივ მაუწყებელს დაუთმოს ყოველ საათში ხუთი წუთი უფასო საეთერო დრო ყველა „კვალიფიცირებულ“ კანდიდატს, თანაბარი საფუძვლებით, ხოლო კერძო მაუწყებლებს - არანაკლებ 7.5 წუთისა. წინა საპარლამენტო არჩევნების შედეგების მიხედვით, საჯარო და კერძო ნაციონალურ ტელევიზიებზე უფასო საეთერო დროის კვალიფიკაცია 14-მა პოლიტიკურმა პარტიამ მიიღო: „ქართულმა ოცნებამ“, „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“, „ევროპულმა საქართველომ“, „პატრიოტთა ალიანსმა“, „სტრატეგია აღმაშენებელმა“, „ლელომ“, „გირჩმა“, „მოქალაქეებმა“, „ევროპელი დემოკრატები“, „მომრაობა სახელმწიფო ხალხისთვის“, „ლეიბორისტულმა პარტიამ“, „რესპუბლიკურმა პარტიამ“, „კანონმა და სამართალმა“ და „პროგრესი და თავისუფლებამ“. თერთმეტმა პარტიამ ეს საშუალება გამოიყენა. ‘არაკვალიფიცირებულმა’ პოლიტიკურმა პარტიებმა მიიღეს არსებითად ნაკლები უფასო საეთერო დრო და მხოლოდ საზოგადოებრივ მედიაზე. მეორე რაუნდისთვის, 76¹.21-ის მიხედვით, მაუწყებლებმა და ნაციონალურმა კერძო ტელევიზიებმა უნდა დაუთმონ პარტიებს პროპორციულად გადანაწილებული უფასო საეთერო დრო, ქვეყნის მასშტაბით კანდიდატთა შესაბამისი რაოდენობის მიხედვით.

⁹⁸ იმედი TV-მ უარი განაცხადა "ევროპულ საქართველოს" და "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" რეკლამებზე. მთლიანობაში, კომუნიკაციების კომისიამ გამოსცა 11 ადმინისტრაციული ოქმი რვა არხის მიმართ (*საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, საზოგადოებრივი მაუწყებელი აჭარა TV და რადიო, იმედი, პირველი, ფორმულა TV, რუსთავი 2, ობიექტივი TV და სტუდია მაცეტრო*).

⁹⁹ 27 და 28 ოქტომბერს, კომუნიკაციების კომისიამ შეადგინა ორი ადმინისტრაციული ოქმი *მთავარი TV*-სა და იმედი TV-ს მიმართ, საარჩევნო კოდექსის დარღვევით წინასაარჩევნო პოლიტიკური რეკლამის გაშვებისთვის. თუმცა სასამართლომ გააუქმა კომუნიკაციების კომისიის გადაწყვეტილება, რადგან არ მიიჩნია კლიპები პოლიტიკურ რეკლამად. 29 ოქტომბერს, "ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ" შეიტანა საჩივარი *იმედი TV*-ს წინააღმდეგ, რომელმაც უარი განაცხადა მათი რეკლამის გაშვებაზე, ეს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა კომუნიკაციების კომისიამ. კომუნიკაციების კომისიამ ასევე გამოსცა ადმინისტრაციული ოქმები *მთავარი TV*-ს, *ფორმულა TV*-ს და პირველი *TV*-ს მიმართ საარჩევნო რეკლამასთან დაკავშირებულ დარღვევებზე. 25 ნოემბერს კომუნიკაციების კომისიამ ადმინისტრაციული ოქმი შეადგინა *იმედი TV*-ს და *მაცეტრო TV*-ს მიმართ საარჩევნო დებატების ეთერში გაშვებაზე უარის გამო. *მთავარმა TV*-მ ასევე მიიღო *ჯარიმა* პოლიტიკური რეკლამის არასაარჩევნო პერიოდში - 17 და 18 ნოემბერს - გაშვებისთვის.

საქართველო

მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები, 2021 წლის 2 და 30 ოქტომბერი

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისია

საბოლოო ანგარიში

რომლებზეც მიმდინარეობდა დაკვირვება, ჰქონდა აშკარად მიკერძოებული პოზიცია მმართველი პარტიის სასარგებლოდ ან მის წინააღმდეგ; ისინი უმეტესად აშუქებდნენ კანდიდატთა ურთიერთბრალდებებსა და თავდასხმებს, ძალიან მწირი ანალიტიკური ან საგამომიებო რეპორტაჟების თანხლებით, რაც ართმევდა ამომრჩეველს ინფორმირებული არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას. საზოგადოებრივი მაუწყებლები ძირითადად დაბალანსებულ და პლურალისტურ სარედაქციო ხაზს ატარებდნენ, მიუხედავად მოქმედი მთავრობის მიმართ შემწყნარებლური ტონისა, რომელიც გამოავლინა საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მეორე ტურის დროს. ნაციონალური არხები უმეტესად ფოკუსირებული იყვნენ “ქართულ ოცნებასა” და “ერთიან ნაციონალურ მოძრაობაზე”, ასევე მთავრობაზე. ქალმა პოლიტიკოსებმა მიიღეს საერთო დროის 15 პროცენტი პირველი ტურის და 17 პროცენტი მეორე ტურის დროს.

4 სექტემბრიდან 29 ოქტომბრის ჩათვლით, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიამ ჩაატარა ექვსი ნაციონალური და ექვსი ადგილობრივი სატელევიზიო არხის მედიამონიტორინგი მათი პრაიმტაიმის პროგრამების რაოდენობრივი და ხარისხობრივი ანალიზით.¹⁰⁰

პირველი ტურის წინ მედიის მონიტორინგმა აჩვენა, რომ ბევრი კერძო ნაციონალური არხი გამოხატავდა მკაფიო მხარდაჭერას მმართველი პარტიის მიმართ და ნეგატიურად აშუქებდა ოპოზიციას, ან პირიქით, მიკერძოებული იყო “ქართული ოცნების” მიმართ. იმედი გამოხატავდა “ქართული ოცნების” და მთავრობის მხარდაჭერას, უძღვნიდა რა მათ არჩევნების გაშუქების 69 პროცენტს, რომელიც იყო სრულიად პოზიტიური ან ნეიტრალური. არხმა მიუძღვნა “ერთიან ნაციონალურ მოძრაობას” არჩევნების გაშუქების 17 პროცენტი, უმეტესად ნეგატიური (72 პროცენტი). საპირისპიროდ, *მთავარი არხი* და *პირველი TV* გამოხატავდნენ აშკარა მიკერძოებას “ქართული ოცნების” წინააღმდეგ. მთავრობამ და მმართველმა პარტიამ მიიღეს არჩევნების გაშუქების მთელი დროის 37 პროცენტი *მთავარზე* და 23 პროცენტი *პირველ TV-ზე*, რომელთა საშუალოდ 84 პროცენტი ნეგატიური იყო ორივე არხზე. *რუსთავი 2-ის* არჩევნების გაშუქება პრინციპულად ფოკუსირებული იყო მმართველ პარტიასა და მთავრობაზე (55 პროცენტი), რომელიც უმეტესად დახატული იყო დადებითად; თუმცა, უმეტესად ნეიტრალურად აშუქებდა ოპოზიციურ პარტიებს. *საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი* და *აჭარა TV* ძირითადად ნეიტრალურად აშუქებდნენ კამპანიას. კანდიდატებს ორივე შედარებით ნეიტრალურად და თანაბრად აშუქებდა. *აჭარა TV* გვთავაზობდა ადგილობრივი საარჩევნო კამპანიების ყოვლისმომცველ მიმოხილვას, რომლებიც ფოკუსირებული იყო კონკრეტულ საკითხებზე და კანდიდატების წინადადებებზე. ცალკეულ შემთხვევებში ორივე არხი აშუქებდა მთავრობას იმგვარად, რომ არ იყო გამიჯნული ინსტიტუციური და საარჩევნო კამპანიის აქტივობები. *საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა* მოაწყო ორი დებატი: ერთი 14 სექტემბერს, რომელშიც ყველა უფლებამოსილი

¹⁰⁰ შერჩეული იყო ორი საზოგადოებრივი (საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი და *აჭარა TV*) და ოთხი კერძო (*იმედი*, *მთავარი*, *პირველი* და *რუსთავი 2*) ნაციონალური სატელევიზიო არხი, ასევე ექვსი ადგილობრივი ტელევიზია (*გურჯაანი*, *რიონი.ოდიში*, TV4, TV9 და TV25).

საქართველო

მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები, 2021 წლის 2 და 30 ოქტომბერი

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისია

საბოლოო ანგარიში

კანდიდატი იყო მიწვეული, და მეორე 21 სექტემბერს, რომელში მონაწილეობასაც თბილისის მერობის ყველა კანდიდატი დათანხმდა.¹⁰¹ სხვა დებატები ძირითადი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს შორის არ გამართულა, თუმცა რამდენიმე თოქ-შოუმ ძირითად საარჩევნო სუბიექტებს პლატფორმის წარმოდგენის და ოპონენტების გაკრიტიკების შესაძლებლობა მისცა.¹⁰² ზოგიერთი რეგიონალური არხი ნაციონალურზე მეტად იყო კონცენტრირებული კანდიდატების პოლიტიკასა და შეთავაზებებზე, პოლიტიკური ძალების ზოგადად დაბალანსებულ გაშუქებაზე. კერძოდ, *ბათუმის TV 25* უზრუნველყოფდა კამპანიის პროფესიონალურ და საკითხებზე დაფუძნებულ გაშუქებას.

მეორე ტურის წინ, ძირითად კერძო სატელევიზიო არხებზე გაიზარდა მიკერძოების ხარისხი, რამაც გამოავლინა მათი პარტიული აქტივიზმი მეორე ტურის დროს. 18 ოქტომბერს *იმედმა* ოფიციალურად გამოაცხადა „საგანგებო სარედაქციო მდგომარეობა“, რათა არ დაემვათ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დაბრუნება ხელისუფლებაში. არხი ღიად უჭერდა მხარს „ქართულ ოცნებას“ და მთავრობას, უთმობდა რა მათ გაშუქების 64 პროცენტს, რაც უმეტესწილად პოზიტიური იყო. საწინააღმდეგოდ, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ ეთმობოდა გაშუქების 31 პროცენტი, რომელიც უმეტესად (90 პროცენტი) ნეგატიური იყო. *მთავარი არხი* და *პირველი TV* უფრო კრიტიკული „ქართული ოცნების“ მიმართ იყვნენ. მთავრობას და მმართველ პარტიას დაეთმო სრული დროის 26 პროცენტი *მთავარ არხზე* და 23 პროცენტი *პირველ TV-ზე*, საიდანაც 84 პროცენტი ნეგატიური იყო. *რუსთავი 2* უმეტესად ფოკუსირებული იყო მმართველ პარტიასა და მთავრობაზე (65 პროცენტი); გაშუქების ტონი „ქართული ოცნების“ მიმართ იყო შედარებით ზომიერი და ოპოზიციამ მიიღო ნეიტრალური გაშუქების დიდი ოდენობა (70 პროცენტი). *აჭარა TV-მ* უზრუნველყო კამპანიის უმეტესად ნეიტრალური და მრავალფეროვანი გაშუქება, რომელიც ფოკუსირებული იყო როგორც კანდიდატებზე, ისე არჩევნების ადგილობრივ ხასიათზე. *საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი* უთმობდა თანაბარ საეთერო დროს „ქართულ ოცნებას“ და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“, თუმცა, ვიდრე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ შუქდებოდა უმეტესად ნეიტრალურად, „ქართული ოცნების“ მიმართ ტონი ხშირად პოზიტიური იყო (48 პროცენტი). ზოგიერთი სატელევიზიო არხი ცდილობდა დებატების ორგანიზებას, თუმცა მათში მონაწილეობისათვის საარჩევნო სუბიექტთა უმეტესობის სურვილის ნაკლებობის გამო არცერთი მათგანი არ მოწყობილა.

¹⁰¹ თუმცა, უფლებამოსილ სუბიექტთა მხოლოდ 10 წარმომადგენელი დათანხმდა მონაწილეობის მიღებაზე. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ლიდერმა დატოვა დებატები მმართველი პარტიის და მოქმედი მერის მიმართ კრიტიკული შენიშვნების გამოთქმის შემდეგ.

¹⁰² ძირითად კერძო სატელევიზიო არხებს პარტიების მონაწილეობით დებატების გამართვა სურდათ, თუმცა მნიშვნელოვანმა საარჩევნო სუბიექტებმა მონაწილეობაზე უარი განაცხადეს. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის [CM/Rec\(2007\)15 მე-2 პარაგრაფის მე-2 ნაწილი](#) მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს „მიიღონ ზომები, რომელთა მიხედვითაც საზოგადოებრივ და კერძო მაუწყებლებს მოეთხოვებათ საარჩევნო პერიოდში იყვნენ განსაკუთრებით სამართლიანი, დაბალანსებული და მიუკერძოებელი მათი ახალი ამბებისა და მიმდინარე მოვლენების პროგრამებისას, მათ შორის სადისკუსიო პროგრამებში, როგორცაა ინტერვიუები და დებატები“.

საქართველო

მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები, 2021 წლის 2 და 30 ოქტომბერი

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისია საბოლოო ანგარიში

XIII. საჩივრები და სარჩელები

საარჩევნო სუბიექტებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შეეძლოთ საჩივრების შეტანა საარჩევნო პროცესის ყველა ასპექტზე. ამომრჩევლებს შეეძლოთ საჩივრების შეტანა მხოლოდ თავიანთი რეგისტრაციისა და ხმის მიცემის უფლების შესახებ, რაც კარგ პრაქტიკას ეწინააღმდეგება.¹⁰³ საჩივრების შეტანა შესაძლებელი იყო საარჩევნო კომისიებსა და სასამართლოებში. დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის წინა რეკომენდაციების საწინააღმდეგოდ, გარკვეული ტიპის საჩივრების საკითხის გადაწყვეტა კვლავ შესაძლებელი იყო თავმჯდომარეების მიერ და არა საარჩევნო კომისიების, როგორც კოლეგიური ორგანოების მიერ, თუმცა, დადებითი მოვლენაა, რომ მათი გადაწყვეტილებები, მათ შორის დაუშვებლობის შესახებ, ახლა უკვე შეიძლება გასაჩივრდეს.¹⁰⁴ 2021 წლის ივნისის შემდეგ დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის წინა რეკომენდაციების გათვალისწინებით შეტანილი ცვლილებებით, შესაძლებელი იყო საჩივრის შეტანა ელექტრონულად, მოსმენები შეიძლებოდა მოწყობილიყო ონლაინ და საჩივრების შეტანისა და გადაწყვეტილებების მიღების ვადები გაიზარდა როგორც რეკომენდებული იყო კარგი საერთაშორისო პრაქტიკით.

მაშინ, როდესაც კანონით განსაზღვრულია ორიდან ოთხ დღემდე ვადა საჩივრის შეტანისა და განხილვისთვის, ზოგიერთი ტიპის დავისათვის საარჩევნო კომისიებს ეძლევა ათი დღე საჩივრის სასამართლოსთვის გადასაცემად, ხოლო იმ საჩივრებს, რომლებიც მოითხოვენ საარჩევნო კომისიის წევრების მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებას, ეხება 30–დღიანი ვადა, რაც არ უზრუნველყოფს ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის საშუალების უზრუნველყოფას.¹⁰⁵ ცესკო უზრუნველყოფს საარჩევნო კომისიებისა და სასამართლოებისათვის ელექტრონულად წარდგენილი საჩივრების მონაცემთა ბაზის საჯაროდ ხელმისაწვდომობას, რაც ხელს უწყობს გამჭვირვალობას.

¹⁰³ [კარგი პრაქტიკის კოდექსის](#) სახელმძღვანელო პრინციპი II.3.3.3.f უზრუნველყოფს “საარჩევნო ოლქში რეგისტრირებული ყველა ამომრჩევლისა და კანდიდატისთვის გასაჩივრების უფლებას”.

¹⁰⁴ კანონის მოთხოვნის შესაბამისად ამ არჩევნებისთვის უწყებათაშორისი საკოორდინაციო ჯგუფი დაფუძნდა, რომლის მანდატიც ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენების თაობაზე საჩივრების განხილვა და შესასრულებლად არასავალდებულო რეკომენდაციების გაცემაა. გარდა ამისა, 19 აპრილის შეთანხმების შესაბამისად დაფუძნდა საკონსულტაციო ჯგუფი, რომელშიც სახალხო დამცველის და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლები შედიან. ამ ჯგუფის მანდატი საარჩევნო დავების გადაწყვეტასთან დაკავშირებული რეკომენდაციების გაცემა იყო. 19 სექტემბერს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 12-იდან 7 წევრის გასვლის შემდეგ ჯგუფი დაშალა, რადგან აღარ დგებოდა გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო კვორუმი, რომელსაც 9 წევრი ადგენს.

¹⁰⁵ [კარგი პრაქტიკის კოდექსის](#) II.3.3.3g სახელმძღვანელო პრინციპი ადგენს “საჩივრების შეტანისა და გადაწყვეტილების მიღებისათვის გამოყოფილი დრო უნდა იყოს მოკლე (თითოეულისთვის სამიდან ხუთ დღემდე პირველ ინსტანციაში).”

საქართველო

მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები, 2021 წლის 2 და 30 ოქტომბერი

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისია საბოლოო ანგარიში

იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას ეფექტური სამართლებრივი დაცვა, სასურველია საარჩევნო დავების გადაწყვეტის სამართლებრივი ბაზა გადაიხედოს საჩივრის შეტანასთან დაკავშირებული უფლებამოსილების წესების გაფართოებისა და სამართლებრივი ვადების თვალსაზრისით იმ საჩივრებისათვის, რომლებიც მოითხოვს საარჩევნო კომისიის წევრებისათვის პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას, რათა სათანადოდ დაჩქარდეს გადაწყვეტილების მიღება არჩევნებთან დაკავშირებულ ყველა საქმეზე.

გარდა ამისა, მაშინ როცა კანონი უზრუნველყოფს საჩივრების საუბნო საარჩევნო კომისიაში შეტანის შესაძლებლობას საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენამდე, საოლქო საარჩევნო კომისიები მოითხოვდნენ, რომ ეს საჩივრები იმ შემთხვევაშიც ყოფილიყო შეტანილი უბანზე, თუკი სავარაუდოდ დარღვევები გამოვლინდა მას შემდეგ რაც საუბნო საარჩევნო კომისიის ოქმები უკვე შედგენილი იყო. კანონის ამგვარმა ვიწრო გაგებამ შეამცირა დავის გადაწყვეტის ეფექტიანობა. მეტიც, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიასთან საუბარში ზოგიერთმა აღნიშნა, რომ მათ არ მიეცათ საჩივრის საუბნო საარჩევნო კომისიაში შეტანისა და სარეგისტრაციო ჟურნალში რეგისტრირების საშუალება.

არჩევნების პირველი ტურის წინ საარჩევნო კომისიაში 446 საჩივარი შევიდა, რომელთა შორის იყო კანდიდატთა (უმეტესად “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის”) 256 და სამოქალაქო სადამკვირვებლო ორგანიზაციების 190 საჩივარი.¹⁰⁶ საჩივრები ძირითადად შეეხებოდა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების დანიშვნებს, გადასატანი ყუთის საარჩევნო სიების შედგენასა და გამოქვეყნებას.¹⁰⁷ დაახლოებით 40 საჩივარი შეეხებოდა სახელმწიფო რესურსების ბოროტად გამოყენებას, განსაკუთრებით საჯარო მოსამსახურეთა წინააღმდეგ, სოციალური ქსელების მათ პირად გვერდებზე სამუშაო საათებში გამოქვეყნებული მიკერძოებული პოსტების ან საარჩევნო კამპანიების (ძირითადად – “ქართული ოცნების”) ფარგლებში ღონისძიებებზე

¹⁰⁶ მათ შორის, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საია“ (GYLA), „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ (TI), „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებას“, (ISFED); „ახალგაზრდა თაობამ“ ხობის საოლქო საარჩევნო კომისიაში 28 საჩივარი შეიტანა, ძირითადად, პროცედურულ საკითხებზე.

¹⁰⁷ „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ გამოთქვა ვარაუდი, რომ დაახლოებით 12 საოლქო საარჩევნო კომისია და 5,448 საუბნო საარჩევნო კომისიის პროფესიული წევრი „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები იყვნენ, ძირითადად იმის გამო, რომ ისინი საჯარო მოხელეთა ნათესავები იყვნენ, რაც არ ეწინააღმდეგება კანონს; და ასევე ვარაუდი იმის თაობაზე, რომ გადასატანი საარჩევნო ყუთის სია შვიდ საოლქო საარჩევნო კომისიაში არ შეესაბამებოდა კანონის მოთხოვნებს; მათ შორის, ვარაუდები რომ განმცხადებელთა ხელმოწერები შესაძლოა გაყალბებული ყოფილიყო.

საქართველო

მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები, 2021 წლის 2 და 30 ოქტომბერი

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისია

საბოლოო ანგარიში

დასწრების გამო.¹⁰⁸ დაახლოებით ათი საჩივარი შეეხებოდა უარს კანდიდატად რეგისტრირებაზე.¹⁰⁹

დაახლოებით 200 საჩივარი, რომლებიც მოითხოვდა საუბნო და საოლქო კომისიების წევრების მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებას, იყო 30–დღიანი ვადის საგანი, ამიტომ მათი არჩევნების დღემდე განხილვა არ მომხდარა, რამაც შეუძლებელი გახადა ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფა. საჩივრების უმეტესობა განხილულ და უარყოფილ იქნა დაუსაბუთებლობის გამო.¹¹⁰ ცესკომ და სასამართლოებმა საჩივრები განიხილეს პროცედურების დაცვით და გადაწყვეტილებები გამოქვეყნდა დროულად. თუმცა, გადაწყვეტილების მიმღებთა მიერ მიღებული ზოგიერთი გადაწყვეტილება ეფუძნება კანონის ვიწრო ინტერპრეტაციას.¹¹¹ თუმცა, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და

¹⁰⁸ საჩივრები სახელმწიფო რესურსების ბოროტად გამოყენების შესახებ შეიტანეს ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ, ევროპულმა საქართველომ, „საქართველოს ახალგაზრდა ოურისტთა ასოციაციამ“ (GYLA), საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ (TI), სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ (ISFED), „საერთო სამოქალაქო მოძრაობა მრავალეროვნმა საქართველომ“ (PMMG) და „დემოკრატიული ცვლილებების ცენტრმა“ (CDT). საჩივრები შეეხებოდა „ქართულმა ოცნების“ მიერ ბათუმის წყალმომარაგების კომპანიის კუთვნილი ავტომანქანების გამოყენებას; ქ. ამბროლაურის მერის - „ქართული ოცნების“ კანდიდატის შეხვედრას მუნიციპალიტეტის თანამშრომლებთან; საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ თავის ოფიციალურ ვებგვერდზე საქართველოს იუსტიციის მინისტრის იმ განცხადებების გამოაქვეყნებას რომლებიც გაკეთებული იყო „ქართული ოცნების“ საარჩევნო ღონისძიების დროს; და ქუთაისის მერის - „ქართული ოცნების“ კანდიდატის შეხვედა მასწავლებლებს.

¹⁰⁹ „თავისუფალმა საქართველომ“ და „გირჩმა“ საჩივრები შეიტანეს მათი რამდენიმე სიის რეგისტრაციაზე უარის თქმის თაობაზე მაშინ, როცა 7 საჩივარი დაიწერა კანდიდატებისა და პარტიული სიების რეგისტრაციის წინააღმდეგ. ერთის გარდა ყველა საჩივარი არსებითად განხილული და უარყოფილი იყო. პარტიებმა „ახალი ქრისტიან-დემოკრატები“, „ლელო“, „სტრატეგია - აღმაშენებელი“, „გახარია - საქართველოსთვის“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და „რეფორმატორები“ ექვსი იდენტური საჩივარი შეიტანეს „ქართული ოცნების“ ორი კანდიდატის რეგისტრაციის წინააღმდეგ, რომლებმაც ერთმანეთს საარჩევნო ოლქები გაუცვალეს. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციამ, „ახალგაზრდული ცენტრი - ჩვენი თაობა 1921“, საჩივარი შეიტანა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ რამდენიმე სიის დარეგისტრირების წინააღმდეგ. ყველა 7 საჩივარი სავარაუდოდ ტექნიკური ხარვეზებით შევსებულ რეგისტრაციის დოკუმენტებს შეეხებოდა. ერთ შემთხვევაში, საარჩევნო ადმინისტრაციამ „თავისუფალი საქართველოს“ თავდაპირველად უარყოფილი სია დაარეგისტრირა.

¹¹⁰ დაახლოებით 55 საჩივარი შეიტანა „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციამ „პროფესიული განათლების ცენტრმა“ ქ. სენაკის საოლქო საარჩევნო კომისიის წინააღმდეგ გადასატანი საარჩევნო ყუთის სიების წესების სავარაუდოდ დარღვევით გამოქვეყნების შესახებ, მაგრამ დარღვევები აღწერილი არ იყო.

¹¹¹ მაგალითად, საჩივრები საჯარო მოხელეების შესახებ, რომლებიც ესწრებოდნენ საარჩევნო კამპანიის შეხვედრებს, უარყვეს იმ მოტივით, რომ მას სხვა პროფესიის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ, ანტი-ოპოზიციური ბილბორდების მოხსნა, რომლებზეც არ იყო დატანილი კანონით მოთხოვნილი ნიშნები საარჩევნო კამპანიის ნაწილად არ მიიჩნეის რადგან მათ არ ჰქონდათ კონკრეტული პარტიის ნიშნები. ორი საზოგადოებრივი ორგანიზაციისა და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ შეტანილი საჩივრის განხილვისას, რომელიც ითხოვდა ანტი-ოპოზიციური ბილბორდების მოხსნას კანონით მოთხოვნილი ნიშნების არქონისა და სიძულვილის გაღვივების გამო, ცესკომ კანონის ვიწრო ინტერპრეტაცია გამოიყენა. მან არ დააკმაყოფილა საჩივარი იმ მოტივით, რომ ბილბორდების საფასური გადაიხადა პირმა, რომელიც არ იყო საარჩევნო სუბიექტი და, შესაბამისად არ ჩაითვალა საარჩევნო კამპანიის მასალად.

საქართველო

მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები, 2021 წლის 2 და 30 ოქტომბერი

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისია საბოლოო ანგარიში

ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიამ შენიშნა, რომ საჩივრები ყოველთვის არ იყო იურიდიული საფუძვლის მქონე და სრულიად დასაბუთებული. დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიისათვის ცნობილი გახდა რომ 8 საჩივარი დაკმაყოფილდა.¹¹² თბილისის საქალაქო სასამართლოში შევიდა სულ 12 სარჩელი ცესკოს გადაწყვეტილებების წინააღმდეგ.¹¹³ სამი მათგანის გარდა ყველა განხილულ იქნა ღია მოსმენებზე და უარყოფილ იქნა უსაფუძვლობის გამო.¹¹⁴ თბილისის სააპელაციო სასამართლოში წარდგენილი ორი სარჩელიდან ორივე უარყოფილ იქნა.¹¹⁵

შინაგან საქმეთა მინისტრის ინფორმაციით, ჩაატარეს გამოძიება ამომრჩეველთა სავარაუდო დაშინების, არჩევნებთან დაკავშირებულ ძალადობასა და ქონების დაზიანებასთან დაკავშირებულ უამრავ საქმეზე. პროკურორის ინფორმაციით, გამოძიება ჩატარდა ხმების სავარაუდო მოსყიდვის და საჯარო პირების, მათ შორის – პოლიციელების, მიერ ამომრჩეველთა დაშინების საქმეზე. გამოძიება ამომრჩევლების სავარაუდო დაშინების თაობაზე ეხებოდა “გახარია საქართველოსთვის” დაახლოებით 100 მხარდამჭერს. პოლიციის თანახმად, ზოგიერთი მათგანი გამოიკითხა და მხოლოდ სამმა აღიარა დაშინება, თუმცა მტკიცებულებები არ იქნა წარმოდგენილი. გამოძიებათა უმეტესობა კვლავ მიმდინარეობდა მეორე ტურის შემდეგ. ზოგიერთ პირს არჩევნების დღეს ჩადენილი ძალადობისათვის ბრალი წაუყენეს. დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიასთან საუბარში ზოგიერთი ვარაუდობდა, რომ ზოგიერთ ამომრჩეველს ჩამოერთვა პირადობის მოწმობა ორივე საარჩევნო დღეს, რათა ხელი შეეშალათ მათთვის თავიანთი ხმის გამოყენებაში და თაღლითური გზით უზრუნველყოთ სხვის ნაცვლად ხმის

¹¹² დაკმაყოფილებული საჩივრები მოიცავს რეგისტრაცია მოხსნილი კანდიდატისთვის რეგისტრაციის აღდგენას, ორი კანდიდატისთვის უფლების მიცემას შეეცვალათ საარჩევნო ოლქები და საარჩევნო კამპანიის პოსტერების ჩამოხვევის ფაქტებს, რომლებიც გამოძიების მიზნით პოლიციას ეცნობა.

¹¹³ მათ შორის, ერთი საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის მიერ, რომელმაც საჩივარი შეიტანა „მწვანე დედამიწისთვის“ საარჩევნო სუბიექტად რეგისტრაციაზე უარის თქმის თაობაზე, ერთი სამოქალაქო სადამკვირვებლო ორგანიზაციამ, „სამოქალაქო პლატფორმა 20/20“ საარჩევნო უბნებზე ვიდეოგადაღების წინააღმდეგ, ორი „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების პირისპირ გასაუბრების გარეშე დანიშვნისა და მე-18 საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ საარჩევნო ოლქების საზღვრების განსაზღვრის თაობაზე.

¹¹⁴ სასამართლომ დააკმაყოფილა „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საზოგადოების“ (ISFED), „დემოკრატიული ცვლილებების ცენტრისა“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საჩივრები და 2,000 ლარიანი ჯარიმა დააკისრა ოზურგეთის მოქმედ მერს მუნიციპალიტეტის თანამშრომლებთან შეხვედრის გამო და გაფრთხილება მისცა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს ლენტეხში „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ საარჩევნო კამპანიის წარმართვისთვის. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ საჩივარი, რომელიც შეეხებოდა ამბროლაურის მერის შეხვედრას მუნიციპალიტეტის თანამშრომლებთან, შემდგომი გამოძიებისათვის შესაბამის საოლქოში ხელახლა გადაიგზავნა.

¹¹⁵ ერთი სარჩელი მოითხოვდა თბილისის მერობის ქართული ოცნების კანდიდატის რეგისტრაციიდან მოხსნას ხმების მოსყიდვის გამო მოქალაქეებისათვის ბინების შეთავაზების გზით მუნიციპალური სოციალური პროექტის ფარგლებში, კიდევ ერთი სარჩელი მოითხოვდა რეგისტრაციის გაუქმებას „ქართული ოცნების“ იმ ორი კანდიდატისთვის, რომლებმაც გაცვალეს საარჩევნო ოლქები.

საქართველო

მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები, 2021 წლის 2 და 30 ოქტომბერი

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისია საბოლოო ანგარიში

მიცემა.¹¹⁶ უნდობლობის მომიზეზებით, თანამოსაუბრეებმა არ განაცხადეს პოლიციაში და ამ შემთხვევების გამოძიება არ მომხდარა.

მთლიანობაში, სამართლებრივი მექანიზმი უზრუნველყოფს დავების ოპერატიულ გადაწყვეტას. თუმცა, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიასთან საუბარში ზოგიერთი გამოხატავდა ნდობის ნაკლებობას საარჩევნო კომისიის, სასამართლოს და კანონის აღმასრულებელი ორგანოების მიმართ, რომ ისინი მიუკერძოებლად და ეფექტიანად განიხილავენ არჩევნებთან დაკავშირებულ საჩივრებს.¹¹⁷

XIV. დაკვირვება არჩევნებზე

კანონი უზრუნველყოფს არჩევნების ყველა ეტაპის პროცესზე დაკვირვებას ეროვნული და საერთაშორისო დამკვირვებლების მიერ, ასევე საარჩევნო სუბიექტთა წარმომადგენლებისა და მედიის მიერ.¹¹⁸ პირველი ტურის განმავლობაში, ინკლუზიური წესით, ცესკომ მისცა აკრედიტაცია 88 ეროვნულ სამოქალაქო საზოგადოებას 31,000 დამკვირვებლით.¹¹⁹ სამ ორგანიზაციას უარი ეთქვა რეგისტრაციაზე.¹²⁰ ორმოცდათორმეტი საერთაშორისო სადამკვირვებლო ჯგუფი და 89 მედიასამუშაოება დარეგისტრირდა.¹²¹ დამკვირვებელთა და მედიასამუშაოებათა აკრედიტაცია, რეგისტრირებული პირველი ტურის განმავლობაში, ავტომატურად გავრცელდა მეორე ტურზე, 2020 წლის საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე, ამასთანავე, ახალი დამკვირვებლებისათვის აკრედიტაციის მიღების საშუალება

¹¹⁶ თანამოსაუბრეები აცხადებდნენ, რომ ოპოზიციის მხარდამჭერებზე ზეწოლას ახდენდნენ მათგან პირადობის მოწმობების გამორთმევის მიზნით ან იბირებდნენ სოციალური დახმარების დაპირებით.

¹¹⁷ დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის მეოთხე [ანგარიშში](#) საქართველოში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა წარდგენისა და დანიშვნის შესახებ ხაზგასმულია საზოგადოების ნდობის ნაკლებობა სასამართლო ხელისუფლების და სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის, ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობისადმი.

¹¹⁸ არჩევნებზე აკრედიტაციის მისაღებად, ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოებები, რომელთა მიზანია არჩევნების მონიტორინგი ან/და ადამიანის უფლებების დაცვა, იურიდიულ პირებად რეგისტრირებული უნდა იყვნენ არჩევნების დღემდე არა უგვიანეს ერთი წლისა.

¹¹⁹ საოლქო საარჩევნო კომისიები არეგისტრირებენ იმ სამოქალაქო საზოგადოებებს, რომლებსაც სურვილი აქვთ ერთ ოლქში დააკვირდნენ არჩევნებს, ასევე საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებს საუბნო საარჩევნო კომისიის დონეზე.

¹²⁰ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ უარი თქვა „სოციალურ მუშაკთა რეგიონალური ასოციაციისთვის“ აკრედიტაციის მიცემაზე, რადგან ორგანიზაციის დამფუძნებელი დოკუმენტები არ ითვალისწინებს არჩევნების მონიტორინგს და/ან ადამიანის უფლებებზე მუშაობას. ასევე არ მისცა აკრედიტაცია ორგანიზაციას, „ვეტერანები ძლიერი და ერთიანი საქართველოსთვის“, რომელმაც არ შეასწორა წარმოდგენილი დოკუმენტაცია; და „პოლიტიკისა და სამართლის ობსერვატორიას“, რადგან ორგანიზაციის თავმჯდომარე კანდიდატად იყრიდა კენჭს.

¹²¹ მათ შორის, „ALLMEDIA“-ს ჰყავს 668 მედია წარმომადგენელი, „იმედს“ – 256, „საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელს“ – 203, „რუსთავი 2“-ს - 159, „მთავარს“ - 148, „ფორმულას“ - 133, „ტვ პირველს“ - 118.

საქართველო

მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები, 2021 წლის 2 და 30 ოქტომბერი

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისია

საბოლოო ანგარიში

ვრცელდებოდა 25 ოქტომბრის ჩათვლით. სამოქალაქო სადამკვირვებლო ორგანიზაციების დამკვირვებელთა რიცხვი თითქმის 4,000-ით გაიზარდა მეორე ტურის დროს.

ზოგიერთმა სამოქალაქო სადამკვირვებლო ორგანიზაციამ გრძელვადიანი დაკვირვება განახორციელა და გამოაქვეყნა შუალედური დასკვნა წინასაარჩევნო გარემოს შესახებ.¹²² სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ ჩაატარა პარალელური ხმის დათვლა პირველი ტურის გამავლობაში.¹²³ შექმნილმა სამოქალაქო სადამკვირვებლო ორგანიზაციებმა განაგრძეს კამპანიის გარემოზე დაკვირვება არჩევნების არჩევნების პირველსა და მეორე ტურების პერიოდში, ასევე ორივე ტურისათვის შედეგების დათვლისა და საჩივრებისა და სარჩელების განხილვის პროცესზე.

პოლიტიკური პარტიების მრავალწლიანი პრაქტიკა, ხელოვნურად გაზარდონ თავიანთი წარმომადგენლობა საარჩევნო უბნებზე არჩევნებზე დაკვირვების საკანონმდებლო ჩარჩოს ბოროტად გამოყენების გზით, ფართოდ იქნა აღნიშნული დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლების მიერ. გამჭვირვალობის გაზრდის ნაცვლად, ზოგიერთი ამ დე-ფაქტო პარტიული დამკვირვებლის მოქმედება შეფასდა შემაფერხებლად, ხელისშემშლელად და მანდატით მინიჭებული უფლების გადამეტებად. ორგანიზაციების გარკვეულ რაოდენობას, რომელთაც ათასზე მეტი დამკვირვებელი დაარეგისტრირეს, არ ჰქონდათ მოქმედი ვებგვერდი ან არჩევნებზე დაკვირვების საგულისხმო დასკვნის გამოქვეყნების ისტორია.¹²⁴

საარჩევნო დღეებში, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა შენიშნეს, რომ განსაკუთრებით აქტიურობდნენ პარტიის დამკვირვებლები, რომლებიც წარმოდგენილი იყვნენ ისეთი ორგანიზაციებიდან, როგორებიც არის „მწვანე დედამიწა“ (3,000-ზე მეტი აკრედიტებული დამკვირვებელი პირველ ტურში და თითქმის 2,000 მეორეში), „პოლიტიკისა და სამართლის დამკვირვებელი“ (5,000-ზე მეტი დამკვირვებელი პირველ ტურში და 7,000-ზე მეტი მეორეში) და „საქართველოს იურისტთა და ადვოკატთა საერთაშორისო ორგანიზაცია“ (შესაბამისად, 150

¹²² მათ შორის, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებას“, (ISFED), საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ (TI), „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას“ (GYLA) და „საერთო სამოქალაქო მოძრაობა მრავალეროვანი საქართველოს“ (PMMG).

¹²³ სამ ოქტომბერს „სამართლიანმა არჩევნებმა“ გამოაქვეყნა ხმების პარალელური დათვლის შედეგები, რომლებიც შეესაბამება ცესკოს მიერ გამოქვეყნებულ ოფიციალურ წინასწარ შედეგებს.

¹²⁴ ცესკოს მიერ აკრედიტებული ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების შესახებ დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის კვლევის სადამკვირვებლო მისიის მიმოხილვის მიხედვით, მათგან დაახლოებით 53 პროცენტს არ ჰქონდა მოქმედი ვებგვერდი; 71 პროცენტს აკლდა მათი აქტივობის ინფორმაცია ან წლიური ანგარიში; სამოქალაქო საზოგადოებების 60 პროცენტს, რომელთაც ჰქონდათ მოქმედი ვებგვერდი, არ ანახლებდნენ მას რეგულარულად. მათგან დაახლოებით 72 პროცენტი არ აქვეყნებდა ინფორმაციას თავიანთი დაფინანსების შესახებ და 65 პროცენტი არ აქვეყნებდა დაკვირვების ანგარიშებს სისტემატურად ან თანმიმდევრულად.

საქართველო

მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები, 2021 წლის 2 და 30 ოქტომბერი

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისია საბოლოო ანგარიში

და 1,600–ზე მეტი).¹²⁵ დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლები აცხადებდნენ, რომ ეს ორგანიზაციები აშკარად იყვნენ დაკავშირებული მმართველ პარტიასთან და ხშირად შეიმჩნეოდა მათი წარმომადგენლების ურთიერთობა საარჩევნო უბნის გარეთ, 100 მეტრის პერიმეტრს შიგნით შეკრებილ ჯგუფებთან. დამკვირვებლები „ამერიკის დახმარების ლიგიდან“ (1,500–ზე მეტი) და „სოციალური გარემოდან“ (1,100–ზე მეტი), რომლებიც უმეტესად საარჩევნო უბნის შიგნით იმყოფებოდნენ, ჩანდა, რომ იყვნენ ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან ასოცირებული. არცერთ ამ ერთმნიშვნელოვნად პარტიულ ორგანიზაციას არ ჰქონდა არჩევნებზე დაკვირვების აღიარებული ანგარიში და არც რეგულარულად გამოქვეყნებული დასკვნები.

კამპანიები, რომელთა მიზანი იყო სამოქალაქო საზოგადოებების ნუსხების გამოქვეყნება პრო-ოპოზიციური და პრო-სამთავრობო ნიშნით მიკერძოებულთა გამოსავლენად დამკვირვებლებს შორის, ხელი შეუწყო საერთო აღქმის ჩამოყალიბებას, რომ დამკვირვებელთა ჯგუფები პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენება, პოტენციურად ნეგატიურად იმოქმედა საზოგადოების რწმენაზე არჩევნების არაპარტიული დამკვირვებლების სანდოობისა და საჭიროების შესახებ.

საზოგადოებრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების დამკვირვებლების როლის დაცვისა და მათი არასათანადოდ გამოყენების თავიდან აცილებისათვის, სასურველია პოლიტიკურმა პარტიებმა უარი თქვან თავიანთი წარმომადგენლობის ხელოვნურად გაზრდის მიზნით საარჩევნო სადამკვირვებლო ჩარჩოს ბოროტად გამოყენებაზე.

XV. კენჭისყრის დღე

ა. პირველი ტური

2 ოქტომბერს არჩევნებზე სადამკვირვებლო საერთაშორისო მისია დააკვირდა 126 საარჩევნო უბნის გახსნას, ხმის მიცემას 1,342 საარჩევნო უბანზე, ხმის დათვლას 116 საარჩევნო უბანზე და შედეგების შეჯამებას 73 საოლქო საარჩევნო კომისიიდან 60–ში. დაკვირვების არეალში მოქცეული უბნები ძირითადად გაიხსნა დროულად, საორგანიზაციო საკითხების გამო დაგვიანებით გაიხსნა რამდენიმე მათგანი. არჩევნებზე სადამკვირვებლო საერთაშორისო მისიის დამკვირვებლებმა დადებითად შეაფასეს 126–იდან 117 საარჩევნო უბნის გახსნა და აღინიშნა, რომ პროცედურები ძირითადად დაცული იყო, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში ბიულეტენებისა და საარჩევნო სიებში ამომრჩეველთა რაოდენობა არ იყო გამოცხადებული და სათანადოდ აღბეჭდილი.

¹²⁵ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებას“, (ISFED) ჰყავდა დაახლოებით 1,400 აკრედიტებული დამკვირვებელი.

საქართველო

მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები, 2021 წლის 2 და 30 ოქტომბერი

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისია საბოლოო ანგარიში

ხმის მიცემის პროცესი პოზიტიურად შეფასდა დაკვირვების არეალში მოქცეული საარჩევნო უბნების 96.2 პროცენტში. დამკვირვებლები პროცესი დაახასიათეს როგორც კარგად ორგანიზებული და გამჭვირვალე, პროცედურები ძირითადად დაცული იყო, მაგრამ ამასთანავე განაცხადეს რომ 17.2 პროცენტ შემთხვევაში უბანზე იმყოფებოდა პირთა გადაჭარბებული რაოდენობა და 3.9 პროცენტ შემთხვევაში არ იყო უზრუნველყოფილი ხმის მიცემის ფარულობა. ქალები შეადგენდნენ საუბნო საარჩევნო კომისების დიდ უმრავლესობას. თბილისის კრწანისის რაიონში გამოყენებულ იქნა საცდელი ელექტრონული ბიულეტენების სკანერი.¹²⁶ კანდიდატთა წარმომადგენლები და სამოქალაქო სადამკვირვებლო ორგანიზაციების დამკვირვებლები იმყოფებოდნენ დაკვირვების არეალში მოქცეული საარჩევნო უბნების 83.1 პროცენტში. 7 პროცენტ შემთხვევებში აღინიშნა მათი ჩარევა პროცესში. დაკვირვების არეალში მოქცეული საარჩევნო უბნების 36.1 პროცენტში შეინიშნებოდა, რომ სამოქალაქო სადამკვირვებლო ორგანიზაციების წარმომადგენლები პარტიებისა და კანდიდატების სახელით მოქმედებდნენ. ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მცდელობის მიუხედავად, არჩევნებზე სადამკვირვებლო საერთაშორისო მისიის დამკვირვებლებმა დაკვირვების არეალში მოქცეული საარჩევნო უბნების 59.6 პროცენტი ეტლით მოსარგებლეთათვის გამოსაყენებლად რთულად მიიჩნიეს.¹²⁷ თუმცა, ამომრჩევლებს ჰქონდათ საშუალება მოეთხოვათ ხმის მიცემა ადაპტირებულ საარჩევნო უბანზე თავიანთ მასობრივ რაიონში.

მიუხედავად ბოლოდროინდელი ცვლილებისა, რომლის თანახმადაც აკრძალულია პირთა თავმოყრა საარჩევნო უბანთან 100 მეტრის ფარგლებში, არჩევნებზე სადამკვირვებლო საერთაშორისო მისიის დამკვირვებლებმა მაინც შენიშნეს ინდივიდთა ჯგუფების არსებობა საარჩევნო უბნის უშუალო სიახლოვეს მათ მიერ მონახულ უბანთან 21 პროცენტის შემთხვევაში, ასევე ამომრჩევლების აღრიცხვის ფაქტები 8 პროცენტ შემთხვევებში, რაც შეშფოთებას იწვევდა ამომრჩევლების შესაძლებლობაზე ხმა მისცენ ზეწოლისაგან თავისუფალ გარემოში.¹²⁸ გარდა ამისა, აღინიშნა ძალადობის ცალკეული შემთხვევები.¹²⁹

¹²⁶ დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა შენიშნეს, რომ კრწანისის ოლქში საცდელი ელექტრონული ბიულეტენების სკანერის საშუალებით ხმის მიცემისას ზოგჯერ ამომრჩევლის არჩევანი შესამჩნევი იყო. სამ საარჩევნო უბანს მოუწია კვლავ კონვერტებით ხმის მიცემას დაბრუნებოდა, რადგან დაბეჭდილი ბიულეტენები დიდი ზომის იყო და არ ეტეოდა ბიულეტენების სკანერში. ერთ საარჩევნო უბანზე ვაკის ოლქში საჭირო გახდა მერობის კანდიდატთა ბიულეტენის შეცვლა სხვა უბნიდან მოტანილი ბიულეტენებით, ბეჭდვის შეცდომების გამო.

¹²⁷ [1991 ეუთოს მოსკოვის დოკუმენტის](#) 41.5-ე მუხლი მოუწოდებს მონაწილე სახელმწიფოებს “ხელი შეუწყონ უნარშეზღუდული პირებისათვის საზოგადოებრივ შენობებსა და მომსახურებებთან ხელმისაწვდომობისათვის სათანადო პირობების შექმნას”. [გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონვენციის\(CRPD\)](#) 29-ე მუხლი მოითხოვს მონაწილე სახელმწიფოებისაგან “ხმის მიცემის პროცედურები, საშუალებები და მასალები იყოს შესაბამისი, ხელმისაწვდომი და გასაგებად და გამოსაყენებლად იოლი.”

¹²⁸ ეს აღინიშნა განსაკუთრებით რუსთავეში, ბოლნისში, გორსა და ქუთაისში.

¹²⁹ შინაგან საქმეთა მინისტრის თანახმად, იყო ფიზიკური შეურაცხყოფის რვა შემთხვევა, მათ შორის მარნეულში ლეიბორისტული პარტიის მხარდამჭერის დანიით დაჭრა და ჟურნალისტების პროფესიულ საქმიანობაში ჩარევის ორი შემთხვევა.

საქართველო

მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები, 2021 წლის 2 და 30 ოქტომბერი

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისია საბოლოო ანგარიში

სასურველია საარჩევნო სუბიექტებმა პატივი სცენ საარჩევნო უბნების ირგვლივ კანონიერად დადგენილ პერიმეტრს, რომლის ფარგლებშიც არ უნდა იმყოფებოდნენ კოორდინატორები და აქტივისტები, რათა ამომრჩევლებს შეეძლოთ ხმის მიცემა დაბრკოლების, ზეწოლისა და არასათანადო გავლენის გარეშე; რეკომდენირებულია ხელისუფლებამ უზრუნველყოს ასეთი აკრძალვის აღსრულება და ასევე იმუშაონ კანდიდატთა წარმომადგენლებისა და დამკვირვებლების ჩარევის თავიდან ასაცილებლად.

არჩევნებზე სადამკვირვებლო საერთაშორისო მისიის დამკვირვებლებმა ხმის დათვლის პროცესი უარყოფითად შეაფასეს დაკვირვების არეალში მოქცეული 116 საარჩევნო უბნიდან 20–ში, რაც ძირითადად პროცედურული დარღვევებით იყო გამოწვეული ან იმის გამო, რომ საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებს გაუჭირდათ საბოლოო შედეგების შემაჯამებელი ოქმების შევსება. კანდიდატთა წარმომადგენლები იმყოფებოდნენ თითქმის ყველა დაკვირვების არეალში მოქცეულ საარჩევნო უბანზე და დამკვირვებლებმა პროცესი შეაფასეს როგორც გამჭვირვალე დაკვირვების არეალში მოქცეული უბნების 98 პროცენტში. პროცედურული ხარვეზები, მათ შორის – გამოუყენებელი ბიულეტენების ბათილად არ გამოცხადება 19 საარჩევნო უბანზე, ხელმოწერების რაოდენობის არასათანადოდ აღრიცხვა საარჩევნო ყუთის გახსნამდე დაკვირვების არეალში მოქცეულ 14 საარჩევნო უბანში, საკონტროლო ფურცლების არასათანადოდ შემოწმება და მათი უსაფრთხოდ შენახვა არ მოხდა დაკვირვების არეალში მოქცეულ ყოველი ოთხიდან ერთ უბანში. 16 საარჩევნო უბანში საზოგადოებრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების წარმომადგენლები ან პარტიების წარმომადგენლები ერეოდნენ დათვლის პროცესში ან წარმართავდნენ მას. დაკვირვების არეალში მოქცეულ 39 საარჩევნო უბანში, პროცედურების საწინააღმდეგოდ, გაურკვეველი ბიულეტენების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებდა თავმჯდომარე, ნაცვლად იმისა, რომ გადაწყვეტილება მიღებულიყო საუბნო საარჩევნო კომისიაში წევრებს შორის კენჭისყრის საფუძველზე. არჩევნებზე სადამკვირვებლო საერთაშორისო მისიის დამკვირვებლებმა შენიშნეს, რომ 28 შემთხვევაში საუბნო საარჩევნო კომისიის წარმომადგენლებს გაუჭირდათ შედეგების კენჭისყრის საბოლოო შემაჯამებელ ოქმებში შეტანა. საუბნო საარჩევნო კომისიებმა საჯაროდ არ გამოაკრეს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების ასლები დაკვირვების არეალში მოქცეულ საარჩევნო უბნების მესამედში. ვიდეოკამერები დამონტაჟებული იყო 3,200 საარჩევნო უბანში სანდობის გაზრდის მიზნით; ამ ზომამ ხმის დათვლის პროცესი შეანელა.¹³⁰

¹³⁰ ცესკოს კამერები მმართველმა პარტიამ ხმის დათვლის პროცესის ჩასაწერად შესთავაზა. ცესკოს ინფორმაციით, კამერები დაურიგდა იმ საუბნო საარჩევნო კომისიებს, რომლებშიც 300-ზე მეტი ამომრჩეველი იყო რეგისტრირებული.

საქართველო

მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები, 2021 წლის 2 და 30 ოქტომბერი

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისია საბოლოო ანგარიში

ბ. მეორე ტური

30 ოქტომბერს არჩევნების მეორე ტური 40 საოლქო საარჩევნო კომისიისა და 1,830 ჩვეულებრივი საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ იყო ადმინისტრირებული.¹³¹ არჩევნებზე სადამკვირვებლო საერთაშორისო მისია აკვირდებოდა გახსნას 52 საარჩევნო უბანზე, ხმის მიცემას 480 საარჩევნო უბანზე, დათვლას 52 საარჩევნო უბანზე და დაჯამებას 40-იდან ერთის გარდა ყველა საოლქო საარჩევნო კომისიაში. დაკვირვების არეალში მოქცეული საარჩევნო უბნები, ჩვეულებრივ, გაიხსნა დროულად და მათი გახსნა შეფასდა პოზიტიურად დაკვირვების არეალში მოქცეულ 52-ივე საუბნო საარჩევნო კომისიაში, პროცედურები უმეტესად დაცული იყო. თუმცა, ამომრჩევლებისა და გაცემული ბიულეტენების რაოდენობის სადემონსტრაციო ოქმებში შეტანა მრავალ საარჩევნო უბანზე პირველი ტურის მსგავსად, კვლავაც პრობლემად დარჩა მეორე ტურში.

მონიტორინგს დაქვემდებარებულ 480 საარჩევნო უბნის 97 პროცენტში საარჩევნო პროცესი დადებითად შეფასდა. კოვიდ-19-ის პრევენციული ზომები, ძირითადად, დაცული იყო, თუმცა, დაკვირვების არეალში მოქცეული საარჩევნო უბნების 15 პროცენტში ხალხმრავლობის გამო რთული იყო საჭირო ფიზიკური დისტანცირების წესების დაცვა. სადამკვირვებლო ორგანიზაციების დამკვირვებლები იმყოფებოდნენ მონახულებულ საარჩევნო უბანთა თითქმის 96 პროცენტში; თუმცა საარჩევნო უბნების 53 პროცენტში, სამოქალაქო სადამკვირვებლო ორგანიზაციის დამკვირვებლად დარეგისტრირებული ან მედიის წარმომადგენლად აკრედიტებული პირები, არჩევნებზე სადამკვირვებლო საერთაშორისო მისიის დამკვირვებლების გადმოსახედიდან დე-ფაქტო საარჩევნო სუბიექტების ინტერესებს წარმოადგენდნენ და ზოგჯერ პროცესში ერეოდნენ. დამკვირვებლების შეფასებით საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები საარჩევნო პროცედურებს სათანადოდ იცავდნენ, მხოლოდ რამდენიმე გამონაკლისის გარდა, რომლებიც უმეტესად მარკირებას და მარკირების კვალის შემოწმებას უკავშირდებოდა, და ამომრჩევლებს საშუალება ჰქონდათ ფარულად მიეცათ ხმა. ახალი საარჩევნო კაბინების გამოყენება, რომელთა დიზაინი ამომრჩევლის მიერ ბიულეტენში გაკეთებული არჩევანის გადაღების საშუალებას არ იძლევა, არ არღვევდა ხმის მიცემის ფარულობას.¹³² მონახულებული საარჩევნო უბნების 12 პროცენტში დამკვირვებლებმა შენიშნეს, რომ ერთმა ან მეტმა ამომრჩეველმა ვერ შეძლო ხმის მიცემა, უმეტეს შემთხვევებში ეს მოხდა საფუძვლიანი მიზეზით, როგორც არის საიდენტიფიკაციო დოკუმენტის არქონა, ხოლო შემთხვევათა ნახევარში პირი სხვა შესაბამის საარჩევნო უბანზე გააგზავნეს. არჩევნებზე სადამკვირვებლო საერთაშორისო მისია დააკვირდა ზოგიერთ შემთხვევას, როდესაც ზოგიერთი ამომრჩეველი, მიუხედავად იმისა, რომ იმყოფებოდა გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში ან COVID-19-ის სპეციალურ სიაში, ხმის მისაცემად საარჩევნო უბანში მოვიდა. კანონის

¹³¹ გარდა ამისა, არჩევნები ჩატარდა რვა სასჯელაღსრულების საარჩევნო უბანზე და 29 სპეციალურ უბანზე კოვიდ-19-ის გამო კარანტინში მყოფ ამომრჩეველთათვის.

¹³² ცესკომ გადაწყვიტა კრწანისის რაიონში კვლავაც გაეგრძელებინა ბიულეტენების სკანირება და ასევე ხმის დათვლის პროცესის ვიდეო გადაღება ქვეყნის მასშტაბით.

საქართველო

მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები, 2021 წლის 2 და 30 ოქტომბერი

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისია

საბოლოო ანგარიში

თანახმად, მარკირება არ არის გათვალისწინებული გადასატანი საარჩევნო ყუთის გამოყენების შემთხვევაში, რასაც პოტენციურად შესაძლებელს ხდის მრავალგზის ხმის მიცემას.

კენჭისყრის პროცესის მთლიანობის განსამტკიცებლად, სასურველია, მარკირების პროცედურის წესი გავრცელდეს გადასატანი ყუთის საშუალებით ხმის მიცემის პროცესზე.

ისე როგორც პირველ ტურში, არჩევნებზე სადამკვირვებლო საერთაშორისო მისიის დამკვირვებლებმა შენიშნეს, ზოგჯერ შემაშფოთებლადაც, პირთა დაჯგუფებების ყოფნა მათ მიერ მონახულებული საარჩევნო უბნების 29 პროცენტის უშუალო სიახლოვეში, რამაც მიუთითა, რომ ხელისუფლებას გაუჭირდა აღესრულებინა საარჩევნო უბნის გარშემო 100 მეტრის სიახლოვეს შეკრებების ახლად შემოღებული აკრძალვა. ამომრჩეველთა აღრიცხვა დაფიქსირდა მონახულებული საარჩევნო უბნების დაახლოებით 9 პროცენტში, და დამკვირვებლებმა მიიღეს დამაჯერებელი ბრალდებები ხმების მოსყიდვის შესახებ რამდენიმე მუნიციპალიტეტში.¹³³ მედიამ ასახა დამაბულობა მცირე რაოდენობის საარჩევნო უბნებზე და მათ გარშემო, მათ შორის დაპირისპირება ორი ძირითადი პარტიის მხარდამჭერებს შორის, ასევე მუქარა და თავდასხმა ჟურნალისტებზე, დამკვირვებლებზე, ამომრჩეველებსა და კანდიდატებზე. გავრცელებული ინფორმაციით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ არაერთი გამოძიება დაიწყო, მათ შორის “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” თბილისის მერობის კანდიდატზე თავდასხმის გამო საარჩევნო უბნის გარეთ, ფიზიკურ თავდასხმებს ზუგდიდსა და ქარელში და კანდიდატის მიმართ სიკვდილის მუქარასთან დაკავშირებით.

არჩევნებზე სადამკვირვებლო საერთაშორისო მისიის დამკვირვებლებმა ხმების დათვლის პროცესი შეაფასეს პოზიტიურად დაკვირვების 52 საარჩევნო უბნიდან 48-ში. თითქმის ყველა საარჩევნო უბანში, რომლებშიც ისინი ხმის დათვლას აკვირდებოდნენ, იმყოფებოდნენ კანდიდატთა წარმომადგენლები და ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების დამკვირვებლები; ექვს მათგანში შეიმჩნეოდა მათი ჩარევა პროცესში. პირველ ტურთან შედარებით ხმის დათვლის პროცედურა საგრძნობლად არ გაუმჯობესებულა, ანალოგიური პროცედურული ხარვეზები კვლავ შეინიშნებოდა, კერძოდ, საარჩევნო ყუთის გახსნამდე შესასრულებელი მოქმედებებისა და ბიულეტენების ვარგისიანობის დადგენის მხრივ. მონახულებულ ოთხ საარჩევნო უბანში საუბნო საარჩევნო კომისიას კვლავ გაუჭირდა შედეგების საბოლოო პროტოკოლში ასახვა. დამკვირვებლებმა და კანდიდატთა წარმომადგენლებმა მიიღეს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების ასლები, მაგრამ 18 საარჩევნო უბანში არ უზრუნველყვეს მათი საჯაროდ გამოკვრა, რაც პროცედურებთან არაა თანხვედრაში.

¹³³ თბილისის უბნებში (საბურთალო, ვაკე, კრწანისი, სამგორი), ქუთაისში, ჩხოროწყუს, თელავსა და ბათუმში.

საქართველო

მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები, 2021 წლის 2 და 30 ოქტომბერი

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისია საბოლოო ანგარიში

XVI. შედეგების ტაბულაცია და გადათვლა

2021 წლის ივნისის საკანონმდებლო ცვლილებებით შემოთავაზებულია ხმების დაჯამების პროცესის ახალი პროცედურული ელემენტები და გარანტიები. შესაბამისად, საუბნო საარჩევნო კომისიებს აღარ ჰქონდათ საშუალება შეეცვალათ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმები საარჩევნო მასალის დალუქვის შემდეგ, მათ შორის, არჩევნების დღის შემდეგ, და საოლქო საარჩევნო კომისიებს ჰქონდათ გადათვლის ვალდებულება, თუკი რომელიმე მონაცემი საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში შესწორების ოქმის გარეშე შეიცვალა, და მათ მხოლოდ გადათვლის შემდეგ შეეძლოთ საუბნო საარჩევნო კომისიის შედეგის შეცვლა. დამატებით, საკანონმდებლო ცვლილებების მიხედვით, საოლქო საარჩევნო კომისიას უნდა გადაეთვალა ნებისმიერი ხუთი საუბნო საარჩევნო კომისიის შედეგი.¹³⁴ ამ ცვლილებების გათვალისწინებით, შედეგების დაჯამების ვადა 11 დღიდან 14 დღემდე გაიზარდა.

ა. პირველი ტური

არჩევნების ღამეს, საოლქო საარჩევნო კომისიებმა თავდაპირველად გადახედეს და ატვირთეს საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმები ცესკოს მონაცემთა ელექტრონულ სისტემაში და დააჯამეს ოლქის შედეგები ცხრილებში, რომლებიც ასევე ხელმისაწვდომი იყო დამკვირვებლებისა და კანდიდატების წარმომადგენლებისთვის. დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიამ შეაფასა ეს თავდაპირველი ეტაპები როგორც ძირითადად გამჭვირვალე და კარგად ორგანიზებული დაკვირვების არეალში მოქცეული 60 საოლქო საარჩევნო კომისიიდან უმეტესობაში, გარდა რუსთავის, მარნეულის, ზუგდიდის და ნაძალადევისა.¹³⁵ წინასწარი შედეგების დაჯამება მოხდა ცესკოში ატვირთული კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების გაციფრულების მეშვეობით, ორმაგი შეტანის პროცედურის დაცვით.¹³⁶ დადებით ჭრილში, საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების დასკანერებული ასლები თანდათანობით ქვეყნდებოდა ცესკოს

¹³⁴ ეს განაწილება შეესაბამება ყველა უბნის 10 პროცენტს, როგორც ეს იყო გათვალისწინებული 19 აპრილის შეთანხმებით, მაგრამ ის არ ითვალისწინებს განსხვავებებს თითოეულ საოლქო საარჩევნო კომისიაში შემავალი საუბნო საარჩევნო კომისიების რაოდენობას შორის.

¹³⁵ გამოვლენილი ხარვეზები მოიცავდა პროცესში არაუფლებამოსილი პირების ჩარევას, არასრულყოფილ ან არასწორად დალუქულ საარჩევნო მასალებს და ოქმებში არსებულ მონაცემებს, რომლებიც ყოველთვის არ იყო შეჯერებული.

¹³⁶ პოლიტიკური პარტიების მიერ დანიშნულ ცესკოს წევრებს პირველად მიეცათ შესაძლებლობა დაესახელებინათ 72-იდან 18-ი მონაცემების შეყვანის ოფიცერი. დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლების მიერ წინასწარ შედეგებში აღმოჩენილი ზოგიერთი შეცდომიდან გამომდინარე ვარაუდობენ, რომ საბოლოო შედეგების შემაჯამებელი ზოგიერთი ოქმი შესაძლოა მხოლოდ ერთხელ შეიყვანეს. ცესკოს მიერ განხორციელებულმა გადამოწმების პროცედურებმა ასეთი შეცდომები წინასწარი შედეგების მეორედ გამოქვეყნებამდე გამოასწორა.

საქართველო

მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები, 2021 წლის 2 და 30 ოქტომბერი

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისია საბოლოო ანგარიში

ვებგვერდზე საარჩევნო ღამიდან მოყოლებული, და პირველი დაჯამებული შედეგები გამოქვეყნდა დილას, რამაც გამჭვირვალობას შეუწყო ხელი.

2021 წლის ივნისის ცვლილებები ავალდებულებდა საოლქო საარჩევნო კომისიებს საარჩევნო დღიდან არაუგვიანეს ექვსი დღისა, შემთხვევითი შერჩევის წესით მოეწყო 5 გადათვალა. პროცედურა შემდგომ ცესკოს დადგენილებით განისაზღვრა, რომლითაც ვადები არ დაზუსტებულა, რაც იძლევა ხუთივე გადათვლის ერთდროულად ჩატარების საშუალებას და ამასთანავე, არა საოლქო საარჩევნო კომისიის ტერიტორიაზე. დამატებით, დადგენილება ავალდებულებს საოლქო საარჩევნო კომისიებს მოიწვიონ ის დამკვირვებლები და პარტიების წარმომადგენლები, რომლებიც თავდაპირველ დათვლას ესწრებოდნენ შესაბამის საარჩევნო უბნებში. ამან შეიძლება შეამციროს პროცესის გამჭვირვალობა, ვინაიდან არჩეულ ხუთ უბანზე შესაძლოა არ ყოფილიყვნენ დამკვირვებლები ან პარტიების წარმომადგენლები. ცესკომ არაოფიციალურად მისცა საოლქო საარჩევნო კომისიებს ინსტრუქცია, რომ შემთხვევითი წესით შერჩეულიყო ხუთი საუბნო საარჩევნო კომისია არჩევნების მეორე დღეს, და მომდევნო დღეს ერთდროულად მოეწყოთ ხუთივე გადათვლა. ეს გადაწყვეტილება არ ყოფილა საჯაროდ გამოცხადებული, და ასევე საოლქო საარჩევნო კომისიების სესიების შესახებ, რომელზეც 5 საუბნო საარჩევნო კომისია უნდა შერჩეულიყო, დაინტერესებული მხარეებისათვის სათანადოდ მიწოდებული არ ყოფილა. შედეგად, ნდობის განმამტკიცებელი ეს მნიშვნელოვანი ღონისძიება ხელიდან გაშვებული შესაძლებლობა აღმოჩნდა გამჭვირვალობისა და საუბნო საარჩევნო კომისიის შედეგების სანდოობის განსამტკიცებლად. ცესკოს ინფორმაციით, შემთხვევითმა გადათვლამ მცირეოდენ შეცვალა რიცხვები 360 საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმიდან 121-ში, და მთლიანობაში არ უმოქმედია არჩევნების შედეგებზე, გარდა ერთი პროპორციული ადგილისა წალენჯიხის საკრებულოში, რომელიც “გახარია საქართველოს” ნაცვლად “ქართულ ოცნებას” გადაეცა.

გარდა შემთხვევითი გადათვლებისა, საოლქო საარჩევნო კომისებმა ჩაატარეს 194 ხელახალი გადათვლა საჩივრების საფუძველზე ან თავისი ინიციატივით (*იხილეთ საჩივრები და სარჩელები*). ამას შედეგად მოყვა რიცხვების მცირე ცვლილებები, მაგრამ ამასთანავე ზუგდიდის მე-11 მაჟორიტარული ოლქის ადგილის “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” ნაცვლად “ქართული ოცნებისათვის” გადაცემამ ამ პარტიების წარმომადგენლების შორის დაპირისპირება გამოიწვია საოლქო საარჩევნო კომისიის შენობაში. გარდა ამისა, 9 ოქტომბერს, საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ საჩივრებზე გადაწყვეტილების მიღების ბოლო დღეს, ცესკოს თავმჯდომარემ გამოსცა არაოფიციალური რეკომენდაცია საოლქო საარჩევნო კომისიებისთვის, რომ გადაეთვალათ უბნების შედეგები იმ შემთხვევაში, თუკი ამას დაკვირვების ხანგრძლივი გამოცდილების მქონე სამოქალაქო საზოგადოებები მოითხოვდნენ ან თუ ბათილი ბიულეტენების რიცხვი განსაკუთრებით დიდი იყო ან თუ ბიულეტენებით მიცემული ხმების რაოდენობა ხელმოწერებს ხუთით აჭარბებდა. თუმცა ეს რეკომენდაცია არ ყოფილა მიღებული ცესკოს, როგორც კოლეგიური ორგანოს მიერ, იგი არ იყო სავალდებულო და შეთავაზებულ იქნა პროცესის გვიან სტადიაზე, რამაც გავლენა მოახდინა მის

საქართველო

მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები, 2021 წლის 2 და 30 ოქტომბერი

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისია საბოლოო ანგარიში

სამართლებრივ განჭვრეტადობაზე.¹³⁷ ამ რეკომენდაციის თანახმად, ჩატარდა 257 გადათვლა, თითოეულმა საოლქო საარჩევნო კომისიამ საშუალოდ დამატებით ოთხი უბანი გადაითვალა.

ცესკოს დადგენილება არეგულირებდა შემთხვევითი შერჩევით გადათვლის ზოგიერთ ასპექტს და დააწესა, რომ ბიულეტენები უნდა შემოწმებულიყო და გადაწყვეტილება მიღებულიყო სათითაოდ, იგი არ მოითხოვდა საარჩევნო სიებში ხელმოწერების რაოდენობის გადათვლას. მიუხედავად იმისა, რომ დადგენილება სთავაზობდა საოლქო საარჩევნო კომისიებს ეხელმძღვანელათ მასში მოცემული დებულებებით ყველა შემდგომი გადათვლისას, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლები აკვირდებოდნენ, რომ არაერთგვაროვანი მიდგომები იქნა გამოყენებული და როდესაც ზოგიერთმა საოლქო საარჩევნო კომისიამ გადათვალა მხოლოდ ბათილი ბიულეტენები ან მხოლოდ რომელიმე კონკრეტული კანდიდატის ხმები, ან მხოლოდ ხელმოწერები, სხვებმა გადაითვალეს ყველა ის ბიულეტენი, რომლითაც ხმა იყო მიცემული და ასევე ხელმოწერებიც. იმ ხმების ნამდვილობის შემოწმება, რომლებიც ასეთად იყო აღიარებული, როგორც წესი, არ ხდებოდა.

ხელახალი დათვლის პროცესის ერთგვაროვნების, ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის გასაზრდელად, სასურველია ყველა სახის გადათვლა ჩატარდეს თანმიმდევრულად, გადათვლა იყოს ყოვლისმომცველი და გამჭვირვალე, ჩატარდეს მკაფიო და ყოვლისმომცველი კრიტერიუმების საფუძველზე. ხელახალი გადათვლა და გადასათვლელი საარჩევნო უბნების ნებისმიერი შერჩევა სასურველია იყოს ღია დამკვირვებლებისა და იმ კანდიდატთა წარმომადგენლებისთვის, რომლებზეც პოტენციურად აისახება გადათვლა.

მთლიანობაში, ცესკოს თანახმად, 811 ხელახალი გადათვლა ჩატარდა.¹³⁸ გარდა ორი გამონაკლისისა, როდესაც საკრებულოს ადგილები “ქართულ ოცნებას” გადაეცა, ყველა წინა შედეგი უცვლელი დარჩა. შედეგების მართვის სანდოობა კიდევ უფრო გაიზარდა სეგრეგირებული შედეგების გამოქვეყნებით მომხმარებლისათვის იოლად გასაგები ცხრილების სახით, რომლებიც შეიცავდა იმ ამომრჩეველთა რაოდენობას, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს კენჭისყრაში, და ბათილი ბიულეტენების რაოდენობას, რაც ცესკომ პირველად გააკეთა.¹³⁹

¹³⁷ ცესკოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ეს რეკომენდაცია მოჰყვა რეზიდენტი საერთაშორისო აქტორების მოთხოვნას.

¹³⁸ მათ შორის იყო 360 შემთხვევით შერჩეული საუბნო საარჩევნო კომისია, 194 საოლქო საარჩევნო კომისიების ინიციატივით ან საჩივრების საფუძველზე და 257 ცესკოს თავმჯდომარის რეკომენდაციით. ხელახალი დათვლის შემდეგ საუბნო საარჩევნო კომისიის ოქმების 30 პროცენტში გარკვეული შეუსაბამობები დარჩა.

¹³⁹ ისინი პირველად გამოქვეყნდა 5 ოქტომბერს 360 შემთხვევითი გადათვლის შემდეგ და 11 ოქტომბერს საოლქო საარჩევნო კომისიებში საჩივრების განხილვის შემდეგ.

საქართველო

მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები, 2021 წლის 2 და 30 ოქტომბერი

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისია

საბოლოო ანგარიში

საუბნო საარჩევნო კომისიების მეოთხედში პროპორციული და მერობის კენჭისყრის გამოქვეყნებულმა სეგრეგირებულმა შედეგებმა აჩვენა დისბალანსი ამომრჩევლების რაოდენობასა (რომლებმაც ხმა მისცეს) და მიცემული ხმების რაოდენობას შორის.¹⁴⁰ უმეტეს შემთხვევებში ბიულეტენები ერთი ან ორი ნაკლები იყო, ზოგიერთ შემთხვევაში – ერთი ან ორით მეტი, ვიდრე ამომრჩეველთა ხელმოწერები. კარგი საერთაშორისო პრაქტიკის საპირისპიროდ, საუბნო საარჩევნო კომისიებს კანონით არ მოეთხოვებათ თავდაპირველად დათვალონ საარჩევნო ყუთში მოთავსებული ყველა ბიულეტენი და მათი რიცხვი კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში შეიტანონ, ვიდრე კანდიდატთა მიერ მიღებული ხმების დათვლას დაიწყებენ.¹⁴¹ საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებმა მთლიანობაში 1,016 განმარტება დაწერეს, რათა ეს დისბალანსი აეხსნათ და 570 შესწორების ოქმი, როდესაც შეცდომა კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენისას მოხდა. თანდართული შესწორების ოქმების ან/და განმარტებითი ჩანაწერების არსებობა უშუალოდ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმებში არ არის აღნიშნული. ზოგიერთ შემთხვევაში დისბალანსი შედარებით დიდი იყო და ხშირ შემთხვევაში გამოიწვია უბნის შედეგების გადათვლა. გადათვლის შედეგად საუბნო საარჩევნო კომისიების კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების 25 პროცენტი „დაუბალანსებელი“ დარჩა.¹⁴²

არჩევნების შედეგების მთლიანობის ნდობის გასაზრდელად, სასურველია, დამატებითი ზომების მიღება დათვლის პროცესის ანგარიშვალდებულების გასაძლიერებლად, საერთაშორისო კარგი პრაქტიკის შესაბამისად.

¹⁴⁰ ვინაიდან სპეციალურ სიებში მყოფ ამომრჩევლებს (მათ შორის, ისინი ვინც სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდა თავისი რეგისტრაციის ადგილის გარეთ) არ ჰქონდათ მაჟორიტარულ არჩევნებში ხმის მიცემის უფლება, შესაბამისად დისბალანსის გაზრდა გარდაუვალი იყო საკრებულოს არჩევნების პროპორციულ ნაწილში.

¹⁴¹ [კარგი პრაქტიკის კოდექსის](#) სახელმძღვანელო პრინციპის 3.2.vii ადგენს: „კენჭისყრის შედეგის სიზუსტის შესაფასებლად გამოყენებული უნდა იყოს მინიმუმ ორი კრიტერიუმი: მიცემული ხმების რაოდენობა და საარჩევნო ყუთში მოთავსებული კენჭისყრის ბიულეტენების რაოდენობა“; 32-ე პარაგრაფში ნათქვამია, რომ „კენჭისყრის სამართლიანობა უნდა შეფასდეს მხოლოდ ორი ძირითადი კრიტერიუმით: საარჩევნო ყუთში არსებული ბიულეტენების რაოდენობის იმ ამომრჩეველთა რაოდენობასთან შედარებით რომლებმაც ხმა მისცეს უბანზე, რომელიც განისაზღვრება არჩევნების დღეს რეგისტრირებული ხელმოწერების რაოდენობით.“

¹⁴² 7 და 8 ოქტომბერს „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ და „ლელომ“ წყალტუბოს საოლქო საარჩევნო კომისიაში ყველა საუბნო საარჩევნო კომისიის და ბათუმში ერთი საუბნო საარჩევნო კომისიის განმეორებითი გადათვლა მოითხოვეს იმ მოტივით, რომ საუბნო საარჩევნო კომისიების ხუთი კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმიდან სამში შემთხვევითი გადათვლის შემდეგ დისბალანსი დარჩა. საოლქო საარჩევნო კომისიებმა და სასამართლოებმა მოთხოვნების დასაშვებობაზე უარი თქვეს მათი დაგვიანებით წარდგენის გამო. 5 ოქტომბერს „დროამ“ ნამალადევის ოლქის განმეორებითი გადათვლა მოითხოვა, 4 ოქტომბერს ნაციონალურმა მოძრაობამ ქობულეთის ოლქის მიერ გადათვლილი უბნების შედეგების გაუქმება მოითხოვა. საარჩევნო ბიულეტენების გაცემისას შესაძლო შეცდომების ან ხელმოწერის გამოტოვების გარდა, საარჩევნო ბიულეტენებისათვის კონვერტების გამოყენება თავისთავად არის ის ფაქტორი, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს აცდენა საარჩევნო ყუთში აღმოჩენილი ბიულეტენების და არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობას შორის.

საქართველო

მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები, 2021 წლის 2 და 30 ოქტომბერი

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისია

საბოლოო ანგარიში

პირველი ტურის შედეგების დაჯამება დასრულდა დასაშვები ვადის ბოლო დღეს, არჩევნებიდან 14 დღის შემდეგ, როდესაც ცესკომ გამოაცხადა გამარჯვებულები და მეორე ტურის თარიღი – 30 ოქტომბერი. ცესკოს იმ მონაცემებით, რომელიც ერთმანეთს ადარებს აპარატურით და ხელით დათვლილის შედეგებს ბიულეტენების ექსპერიმენტული სკანერის გამოყენებით, ამ ორს შორის მცირედი განსხვავება გამოვლინდა. ამომრჩეველთა აქტივობის ოფიციალურმა მაჩვენებელმა 51.9 პროცენტი შეადგინა.

ბ. მეორე ტური

საარჩევნო უბნების კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების მიღება, შემოწმება და ატვირთვა მონახულებულ 39 საოლქო საარჩევნო კომისიაში არჩევნებზე სადამკვირვებლო საერთაშორისო მისიის დამკვირვებლების მიერ უმეტეს შემთხვევაში შეფასდა როგორც გამჭვირვალე, მოწესრიგებული და ეფექტურად. თუმცა, თანდათანობით განახლებადი შედეგები აისახებოდა დაკვირვებული საოლქო საარჩევნო კომისიების ნახევარში. ცესკომ საუბნო საარჩევნო კომისიების პირველი შედეგები ხმის მიცემის დასრულებიდან დაახლოებით ორი საათის შემდეგ გამოაქვეყნა და ცოტაოდენ მოგვიანებით დაიწყო თანდათანობით განახლებადი წინასწარი შედეგების გამოქვეყნება, რაც განამტკიცებდა გამჭვირვალობას. სრულად სეგრეგირებული წინასწარი შედეგები იოლად გასაგები ცხრილების სახით, რომლებიც შეიცავდა ხმის მიმცემთა და ბათილი ბიულეტენების რაოდენობას, ცესკომ ვებგვერდზე გამოაქვეყნა 31 ოქტომბერს.¹⁴³ ამომრჩეველთა აქტივობამ ოფიციალურად შეადგინა 49.1 პროცენტი, პირველ ტურთან შედარებით ოდნავ ნაკლები.

ცესკომ შეცვალა შემთხვევითი გადათვლის პროცედურა იმ ოლქებში, სადაც მხოლოდ მაჟორიტარული არჩევნები იმართებოდა, და შესაბამისად, მეორე ტურში, მხოლოდ რამდენიმე საარჩევნო უბანი ფუნქციონირებდა.¹⁴⁴ ეს შეეხო 11 საოლქო კომისიას 40 საოლქო საარჩევნო კომისიიდან. 31 ოქტომბერს, პრესკონფერენციაზე, ცესკოს თავმჯდომარემ გამოაცხადა საუბნო საარჩევნო კომისიების შემთხვევითად შერჩევის დროდ პირველი ნომბრის დილა ხოლო მათი გადათვლის შესახებ პირველი ნომბრის შუადღე. შედეგების მიღების პროცესის გამჭვირვალობის გაზრდის მიზნით, ცესკომ გადასათვლელი შემთხვევითად შესარჩევი საუბნო საარჩევნო კომისიების რაოდენობა 29–ვე საოლქო საარჩევნო კომისიაში ხუთიდან შვიდამდე გაზარდა.¹⁴⁵ “მოქალაქეების” მიერ დანიშნული ცესკოს წარმომადგენლის ინიციატივით, იმ საუბნო საარჩევნო კომისიებს შორის, რომლებშიც არ იყო დამონტაჟებული ვიდეოკამერა ხმების დათვლის პროცესში, დამატებით შემთხვევითად

¹⁴³ წინასწარმა შედეგებმა აჩვენა, რომ შედეგების პროტოკოლების დაახლოებით რვა პროცენტი შეიცავდა დისბალანსს.

¹⁴⁴ თუ საოლქო საარჩევნო კომისიის ფარგლებში მოქმედი საარჩევნო უბნების რაოდენობა არ აღემატება ხუთს, შემთხვევითი გადათვლა არ ტარდება, თუმცა საოლქო საარჩევნო კომისიები ვალდებული არიან ჩაატარონ გადათვლა, თუ უბანზე გადათვლის მოთხოვნით შემოვა საჩივარი.

¹⁴⁵ ხელახლა დათვლილი საუბნო საარჩევნო კომისიების საერთო წილი 8-იდან 11 პროცენტამდე გაიზარდა.

საქართველო

მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები, 2021 წლის 2 და 30 ოქტომბერი

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისია საბოლოო ანგარიში

შეირჩა ორი უბანი და გადათვლილ იქნა ყოველ საოლქო საარჩევნო კომისიაში 2 ნომბერს.¹⁴⁶ საბოლოოდ, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა კანდიდატთა ხმების გადათვლის სწრაფი პროცესის შესახებ, მაგრამ ამასთანავე ამომრჩეველთა სიებში ხელმოწერების გადამოწმების ან გადათვლის სრული არარსებობის შესახებ აღნიშნეს. ზოგიერთ შემთხვევაში ბათილად ცნობილი იმ ბიულეტენების თაობაზე, რომელთა მიხედვითაც ამომრჩეველის არჩევანი არ იყო ნათელი, ხელახალი შეფასებისა და მათზე კენჭისყრის პროცესში შემჩნეულ იქნა შეუსაბამობა, მათ შორის, ხშირად ერთი და იმავე გადათვლის სხდომაზე, რამაც გაზარდა ეჭვები საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიების წევრების მიკერძოებულობის შესახებ. მთლიანობაში 259 შემთხვევითად შერჩეული გადათვლა ჩატარდა, რასაც, ცესკოს თანახმად, არჩევნების შედეგებზე არ უმოქმედია. მეორე ტურის შედეგების დაჯამება 13 ნომბერს დასრულდა.

XVII. შედეგები და არჩევნების შემდეგ განვითარებული მოვლენები

პირველ ტურში პროპორციული კენჭისყრის ბარიერი თექვსმეტმა პარტიამ გადალახა. „ქართულმა ოცნებამ“ ქვეყნის მასშტაბით პროპორციული ხმების 46.7 პროცენტი მიიღო, „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ 30.7 პროცენტი და გახარია საქართველოსთვის – 7.8 პროცენტი.¹⁴⁷ 664 მაჟორიტარული ოლქიდან 622-ში გამარჯვებული პირველივე ტურში გამოცხადდა. „ქართულმა ოცნებამ“ მოიპოვა ამ მანდატების 90 პროცენტი, „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ – 8,5 პროცენტი, სხვა პარტიებმა ერთ პროცენტზე ნაკლები. „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვა 64 მუნიციპალიტეტიდან 44-ვე მუნიციპალიტეტში, სადაც მერი პირველ ტურში აირჩიეს.

მეორე ტურში „ქართულმა ოცნებამ“ 20-იდან 19 მერის არჩევნები მოიგო, ერთი კი ნაციონალურმა მოძრაობამ. 42 მაჟორიტარული მანდატიდან „ქართულმა ოცნებამ“ 27 მიიღო, „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ – 7, „გახარია საქართველოსთვის“ – 6 და „ევროპულმა საქართველომ“ და „თავისუფალმა საქართველომ“ თითო-თითო. 1,404 პროპორციული მანდატიდან 31,4 პროცენტი მოიპოვეს ქალებმა, 664 მაჟორიტარული მანდატიდან ქალებმა 7,5 პროცენტი, 64 არჩეულ მერს შორის 3 ქალი იყო.¹⁴⁸

ორივე ტურის შემდეგ, რამდენიმე ოპოზიციურმა პარტიამ გამოხატა უნდობლობა პროცესის ზოგიერთ ასპექტთან დაკავშირებით, რასაც მოწმობს პარტიებისა და სამოქალაქო სადამკვირვებლო ორგანიზაციების მიერ დიდი რაოდენობით საჩივრების შეტანა, რომლებიც ამასთანავე ხშირად ითხოვდნენ ხმების ხელახალ გადათვლას. ზოგიერთმა თანამოსაუბრემ

¹⁴⁶ ცესკოს ინფორმაციით, „ქართულმა ოცნებამ“ პირველი ტურის შემდეგ კამერების ნაწილის დაბრუნება მოითხოვა. დაახლოებით 300 უბანზე ხმების დათვლის ვიდეო გადაღება მეორე ტურში არ დაფიქსირებულა.

¹⁴⁷ გარდა ამისა, მანდატები ცამეტმა სხვა პარტიამ და სამმა დამოუკიდებელმა კანდიდატმა მოიპოვა.

¹⁴⁸ პროპორციული ნაწილისთვის, კანდიდატთა სიაში რეგისტრაციისთვის გენდერული კვოტის მოთხოვნაა, რომ ყოველი მესამე კანდიდატი იყოს საპირისპირო სქესის. 21 ოქტომბერს საკონსტიტუციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა „ევროპული საქართველოს“ საჩივარი ამ მოთხოვნის კონსტიტუციურობის წინააღმდეგ.

საქართველო

მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები, 2021 წლის 2 და 30 ოქტომბერი

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისია

საბოლოო ანგარიში

საექვოდ მიიჩნია მმართველი პარტიის მიერ სასჯელაღსრულების დაწესებულებებსა და COVID-19-ის გამო სპეციალურ სიებში განთავსებული ამომრჩევლებისაგან მიღებული ხმების დიდ რაოდენობასთან დაკავშირებით.¹⁴⁹

მეორე ტურის შედეგების შეჯამების შემდეგ, “ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ” და მისმა პარტნიორებმა ოპოზიციიდან არჩევნები გაყალბებულად და მოპარულად გამოაცხადეს და სხვადასხვა ქალაქში გააპროტესტეს, განაახლეს ვადამდელი არჩევნების მოთხოვნა და სააკაშვილის ციხიდან გათავისუფლება მოითხოვეს. გარდა ამისა, რამდენიმე ოპოზიციურმა პარლამენტარმა უარი თქვა საპარლამენტო მანდატზე, აცხადებდნენ რა, რომ არჩევნები მოიპარეს და ითხოვდნენ ვადამდელ არჩევნებს.¹⁵⁰ ოპოზიციის რამდენიმე დეპუტატმა შიმშილობა დაიწყო.

XVIII. საჩივრები და სარჩელები არჩევნების შემდეგ

ა. პირველი ტური

არჩევნების დღეს კენჭისყრისა და დათვლის პროცედურების დროს დარღვევებზე საჩივრების შეტანა შესაძლებელი იყო საუბნო საარჩევნო კომისიებში.¹⁵¹ საუბნო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებების გასაჩივრება, მათ შორის მათი ქმედების და უმოქმედობის, შესაძლებელი იყო საოლქო საარჩევნო კომისიებში ორი დღის განმავლობაში. საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების შევსების დასრულების შემდეგ, საუბნო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებების წინააღმდეგ საჩივრები, მათ შორის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების თაობაზე, უნდა შეტანილიყო საოლქო საარჩევნო კომისიებში და სარჩელები რაიონულ სასამართლოებში. კანონი იძლევა საჩივრების შეტანის შესაძლებლობას უშუალოდ საუბნო საარჩევნო კომისიებში კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების შედგენამდე, თუმცა, საოლქო საარჩევნო კომისიები არ იღებდნენ საჩივრებს, თუ სავარაუდო დარღვევები ეხებოდა საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების შედგენას. კანონის ამ ვიწრო ინტერპრეტაციამ შეამცირა დავის გადაწყვეტის ეფექტიანობა. უფრო მეტიც, რამდენიმე თანამოსაუბრემ აღნიშნა, რომ მათ არ მიეცათ საუბნო საარჩევნო კომისიებში საჩივრების შეტანისა და მათი დარეგისტრირების საშუალება.

¹⁴⁹ პირველ ტურში „ქართულმა ოცნებამ“ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პროპორციული ხმების 81,6 პროცენტი მიიღო, ხოლო COVID-19-ის გამო სპეციალურ სიებში მყოფი ამომრჩევლების ხმების 58,2 პროცენტი.

¹⁵⁰ ორმა პარლამენტარმა, "ლელოდან" და "გირჩი მეტი თავისუფლებიდან" ოფიციალურად უარი თქვეს მათ მანდატებზე, როცა მეტმა პარლამენტარმა გამოთქვა სურვილი იმავს გაკეთების შესახებ.

¹⁵¹ კენჭისყრის შესახებ საჩივრები უნდა წარდგენილიყო საარჩევნო ყუთის გახსნამდე, ხოლო საჩივრები დათვლის შესახებ საბოლოო შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენამდე.

საქართველო

მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები, 2021 წლის 2 და 30 ოქტომბერი

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისია საბოლოო ანგარიში

ეფექტიური სამართლებრივი დაცვის საშუალების უზრუნველსაყოფად, სასურველია ყველა საჩივარი ზედმიწევნით იქნეს განხილული, რეკომდენირებულია კანონი არ იყოს ინტერპრეტირებული ან გამოყენებული ისე, რომ კიდევ უფრო ზღუდავდეს ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის საშუალების ძიების შესაძლებლობებს.

მთლიანობაში, საჩივრების განხილვის მექანიზმი ითვალისწინებს დავის მიზანშეწონილ გადაწყვეტას. თუმცა, კანონი არ ითვალისწინებს მკაფიო და ხელახალი დათვლის ჩატარებისა და შედეგების ანულირების ობიექტურ კრიტერიუმებს, რაც ეწინააღმდეგება დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის დიდი ხნის წინანდელ რეკომენდაციებს.¹⁵² ამ პირობებში საოლქო საარჩევნო კომისიებსა და სასამართლოებს აქვთ გადაწყვეტილების მიღების ფართო დისკრეციული უფლებამოსილება. ზოგიერთ შემთხვევაში, საოლქო საარჩევნო კომისიებს შეიძლება ჰქონოდათ შერჩევითი მიდგომა.¹⁵³

პირველი ტურის შემდეგ, საოლქო საარჩევნო კომისიებმა მიიღეს დაახლოებით 1,300 საჩივარი, თითოეული საჩივარი ეხებოდა ერთ ან მეტ საუბნო საარჩევნო კომისიას, მათ შორის 900-ზე მეტი მოთხოვნა შეეხებოდა გადათვლას, 200-ზე მეტი – საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებას და 60 მოთხოვნა – შედეგების გაუქმებას.¹⁵⁴ დაახლოებით 450 გადათვლის საფუძველი იყო საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმებში არსებული დისბალანსი, რადგან ხმა მიცემული ბიულეტენების რაოდენობა სრულად არ შეესაბამებოდა ამომრჩეველთა სიაში ხელმოწერების

¹⁵² ვენეციის კომისიის „[საარჩევნო საკითხებში კარგი პრაქტიკის კოდექსის](#)“ მე-2 თავის 3.3.e სახელმძღვანელო პრინციპი ადგენს: „სააპელაციო ორგანოს უნდა ჰქონდეს უფლებამოსილება გააბათილოს არჩევნების შედეგები, იქ სადაც დარღვევებმა შეიძლება გავლენა იქონიოს შედეგზე. შესაძლებელი უნდა იყოს მთლიანი არჩევნების ან მხოლოდ ერთი ოლქის ან ერთი საარჩევნო უბნის შედეგების გაუქმება. გაუქმების შემთხვევაში, შესაბამის ტერიტორიაზე უნდა დაინიშნოს ახალი არჩევნები.“

¹⁵³ ზუგდიდის 67-ე საოლქო საარჩევნო კომისიაში პარტია „გახარია - საქართველოსთვის“ მოითხოვა 102 საუბნო საარჩევნო კომისიის შედეგების გადათვლა, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობამ“ – 103 უბნის, „ქართულმა ოცნებამ“ – 5 უბნის და ამავე 5 უბნისთვის სადამკვირვებლო ორგანიზაცია „კავშირი მწვანე დედამიწამ“. ყველა ეს მოთხოვნა წამოაყენეს ბიულეტენების კანონის საწინააღმდეგოდ გაბათილების საფუძველით. საოლქო საარჩევნო კომისიამ არ განიხილა აღნიშნული მოთხოვნები იმ მოტივით, რომ დათვლის დროს საუბნო საარჩევნო კომისიებში საჩივრები შეტანილი არ ყოფილა. თუმცა 7 ოქტომბერს საოლქო საარჩევნო კომისიამ საკუთარი ინიციატივით გადათვალა ის 5 საუბნო საარჩევნო კომისია, რომელთა გადათვლაც თავდაპირველად „ქართული ოცნებამ“ და „მწვანე დედამიწამ“ მოითხოვეს. გადათვლის შედეგად „ქართულმა ოცნებამ“ კიდევ ერთი ადგილი მოიპოვა საკრებულოში.

¹⁵⁴ გადათვლის შესახებ მოთხოვნები ძირითადად „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“, „გახარია საქართველოსთვის“, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ“ (ISFED), „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“ (საია), „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ (TI) და „ადამიანის უფლებათა ცენტრმა“ (HRC) წარმოადგინეს.

საქართველო

მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები, 2021 წლის 2 და 30 ოქტომბერი

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისია საბოლოო ანგარიში

რაოდენობას.¹⁵⁵ 180-მდე გადათვლის მოთხოვნის საფუძველი (ძირითადად, *გახარია საქართველოსთვის* მიერ მოთხოვნილი) იყო ის, რომ ბათილი ბიულეტენების რაოდენობა ძალიან მაღალი იყო, რაც არ არის კანონდარღვევა. დაახლოებით 80 მოთხოვნაში მითითებული იყო, რომ საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმები იყო არასრული ან შეიცვალა შესწორების ოქმის გარეშე, კანონის დარღვევით.¹⁵⁶

საოლქო საარჩევნო კომისიებმა თითქმის ყველა საჩივარი არსებითად და კანონიერ ვადებში განიხილეს ღია სხდომებზე და მომჩივნებს საშუალება ჰქონდათ წარმოედგინათ თავიანთი საქმეები. საჩივრების უმეტესობა, მათ შორის ხელახალი დათვლის მოთხოვნა, საოლქო საარჩევნო კომისიებმა არ დააკმაყოფილეს. იმის გამო, რომ არ არსებობს გადათვლის მოთხოვნის დაკმაყოფილების კრიტერიუმები, საოლქო საარჩევნო კომისიებმა თავიანთ გადაწყვეტილებებში სხვადასხვაგვარი და არაერთი საფუძველი დაასახელეს; მათ შორის ისიც, რომ მათ უკვე გადათვლილი ჰქონდათ მოთხოვნილი საუბნო საარჩევნო კომისიების შედეგები,¹⁵⁷ და რომ შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიებში მანამდე არანაირი საჩივარი არ შესულა,¹⁵⁸ რომ დაუბალანსებელი კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმები არ წარმოადგენდა კანონდარღვევას და ასევე ისიც, რომ საჩივარში არ იყო წარმოდგენილი სხვა სავარაუდო დარღვევა.¹⁵⁹ საერთო ჯამში, 15-მა საოლქო საარჩევნო კომისიამ დააკმაყოფილა 50-მდე მოთხოვნა და ძირითადად ნაწილობრივ, მხოლოდ ხელმოწერები ან ბათილი

¹⁵⁵ საუბნო საარჩევნო კომისიებს კანონით არ მოეთხოვებოდათ, შეეჯერებინათ გაცემული ბიულეტენები იმ ამომრჩეველთა რაოდენობასთან, რომლებმაც მისცეს ხმა, ისე რომ ჯერ დაეთვალიათ ყველა გაცემული ბიულეტენის რაოდენობა, შემდეგ ბიულეტენების რაოდენობა მაჟორიტარული და პროპორციული კენჭისყრის მიხედვით, და ეს რიცხვი შეეტანათ საბოლოო შედეგების შემაჯამებელ ოქმში და შეედარებინათ ეს რიცხვი და სამაგიდო საარჩევნო სიაში ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობა.

¹⁵⁶ სხვა დასახელებულ საფუძველებს შორის იყო საუბნო საარჩევნო კომისიის არასრული კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმები, საჩივრების სადავო ბათილობა, დამკვირვებლების საქმიანობის ან საჩივრების შეტანის უფლების შეზღუდვა, საოლქო საარჩევნო კომისიებისთვის მასალების დაუღუპავად მიწოდება, დაუღუპავი ჟურნალები, ამომრჩევლების მიერ ხელმოწერილი ბიულეტენები, ბიულეტენების არასწორი ბათილობა, ელექტროენერჯის გათიშვა ხმების დათვლის დროს, ვიდეოგადაღების შეწყვეტა.

¹⁵⁷ ამავდროულად, ზოგიერთმა საოლქო საარჩევნო კომისიამ დააკმაყოფილა მოთხოვნები იმ საფუძველით, რომ მათ საკუთარი ინიციატივით უკვე გადათვალეს აღნიშნული უბნები.

¹⁵⁸ „ქართული ოცნების“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ შეტანილი მოთხოვნები ხელახალი გადათვლის თაობაზე საუბნო საარჩევნო კომისიაში საარჩევნო ბიულეტენების უკანონო ბათილობის გამო, ზუგდიდის 67-ე საოლქო საარჩევნო კომისიამ არ დააკმაყოფილა იმ მოტივით, რომ დათვლის დროს საუბნო საარჩევნო კომისიებში საჩივრები არ შესულა, თუმცა საოლქო საარჩევნო კომისიამ მოთხოვნილი საუბნო საარჩევნო კომისიის შედეგები გადათვლა საკუთარი ინიციატივით.

¹⁵⁹ „გახარია საქართველოსთვის“ საჩივარი ჩუღურეთის მე-7 საოლქო საარჩევნო კომისიაში, ნამალადევის მე-9 საოლქო საარჩევნო 50 საუბნო საარჩევნო კომისიის შედეგების გადათვლის მოთხოვნა „დროას“ მიერ, ვაკის მე-2 საოლქო საარჩევნო კომისიაში „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ საჩივარი და თეთრიწყაროს საოლქო საარჩევნო კომისიაში „გახარია საქართველოსთვის“ მოთხოვნა.

საქართველო

მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები, 2021 წლის 2 და 30 ოქტომბერი

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისია

საბოლოო ანგარიში

ბიულეტენები გადათვალა. არცერთ საუბნო საარჩევნო კომისიაში კენჭისყრის ბათილად ცნობის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.¹⁶⁰

48 საოლქო საარჩევნო კომისიის ზოგიერთი გადაწყვეტილება გადათვლაზე უარის თქმის შესახებ გასაჩივრდა რაიონულ სასამართლოში და ორის გარდა არცერთი არ დაკმაყოფილდა. სასამართლოს გადაწყვეტილებით, დამატებით ორ საუბნო საარჩევნო კომისიაში გაიმართა ხმების გადათვლა.¹⁶¹ სასამართლოებმა განიხილეს ყველა საჩივარი საჯარო სხდომებზე, შესაბამისი პროცედურების დაცვით. მიუხედავად იმისა, რომ საჩივრების აბსოლუტური უმრავლესობა საოლქო საარჩევნო კომისიებისა და სასამართლოების მიერ ფორმალურად არ დაკმაყოფილდა, პრაქტიკაში, ჩატარდა მოთხოვნილი ხელახალი დათვლების მნიშვნელოვანი ნაწილი, თუმცა ბევრი მათგანი ნაწილობრივ, საოლქო საარჩევნო კომისიების ინიციატივით, უმეტესად კი ცესკოს თავმჯდომარის რეკომენდაციით მოხდა. საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ შედეგების შეჯამების დასრულების შემდეგ, “ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ” მოითხოვა ქობულეთის საოლქო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის ბათილად ცნობა. ცესკომ საჩივარი არ დააკმაყოფილა იმ მოტივით, რომ მოთხოვნები ცალკეული საუბნო საარჩევნო კომისიების შედეგების გადათვლის შესახებ საოლქო საარჩევნო კომისიასა და სასამართლოს უკვე განხილული ჰქონდა და შემდეგი განხილვა საჭირო აღარ იყო.

ბ. მეორე ტური

